

ნაზიბროლა ჩინჩალაძე

გარემოს დაცვის
საერთაშორისო
სამართალი

დამხმარე სახელმძღვანელო

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC-349.6(100)

ს-627

ნაზიბროლა ჩინჩალაძე

გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

Nazibrola Chinchaladze

INTERNATIONAL ENVIRONMENTAL LAW

Sulkhan-Saba Orbeliani University

Tbilisi, 2022

ტექნიკური რედაქტორი: ლადო სულაბერიძე

© ნაზიბროლა ჩინჩალაძე, 2022

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2022

ISBN 978-9941-8-4418-8

ავტორისაგან

დისციპლინა გარემოს საერთაშორისო სამართალი სულ უფრო საჭიროა კლიმატის გლობალური ცვლილებისა და გარემოს სხვადასხვა სუბსტანციის დაცვისა და შენარჩუნების გამო. საქართველოს ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი იმპერატივი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან ერთად გარემოს დაცვის პრინციპების განუხრელი შესრულებაც არის. იურიდიულ ფაკულტეტზე ამ საგნის რამდენიმე წლიანმა სწავლებამ, მიჩვენა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამავე სახელწოდების სასწავლო კურსის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლითაც სტუდენტებს ამ სფეროში ცოდნა გადაეცემოდათ. ბრიტანელი და ამერიკელი ავტორების ფ. სენდსი, ჟ.ფილი, ა.ფაბრა და რ.მაქკენზი ვრცელი ნაშრომის გარემოს საერთაშორისო სამართლის პრინციპები გამოყენებით და სტუდენტთა ინტერესის სფეროების, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით, შევარჩიე ძირითადი თემები, რომლებიც სტუდენტებს საფუძვლიან ცოდნას მისცემს. გარკვეული ადგილი დავუთმე საქართველოს დონეზე არსებულ პრობლემატურ საკითხებს, შესაბამისი ქართველის ავტორების ნაშრომების გამოყენებითა და მათზე მითითებით. გარდა ამისა გამოვიყენე გახმაურებული საერთაშორისო პრეცედენტები, რომლებიც შეადგენს სპეციფიურ სახელმწიფოთა პრაქტიკას გარემოს საერთაშორისო სამართალში. ამდენად წიგნი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან.

ამ პრეცედენტების არსებითი შინაარსი მოვაქციე სახელმძღვანელოს დასკვნით თავში, რათა სტუდენტებმა საფუძვლიანად იცოდნენ სახელმწიფოთა შორის გარემოს სხვადასხვა სუბსტანციასთან, - ჰაერი, ტრანსსასაზღვრო წყალმდინარება, გარკვეული სახეობები დაკავშირებული დავების მიზეზები და მათი გადაჭრის მექანიზმები.

შინაარსი

I თავი. გარემო და საერთაშორისო საზოგადოება – საკითხები და დეფინიციები	1
სუვერენიტეტი და ტერიტორია	7
საერთაშორისო აქტორები	12
გარემო და საერთაშორისო სამართალი. დეფინიციები და საკითხები	13
II თავი. გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარების მოკლე ისტორია, ძირითადი პერიოდები	20
III თავი. საერთაშორისო სამართალწარმოება და რეგულირება	41
1. ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო აქტები	43
ხელშეკრულების მიღების პროცესი	47
დათქმები	50
შესწორება	51
სხვა საერთაშორისო აქტები	52
2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი	53
სახელმწიფოთა პრაქტიკა	54
სამართლის მოსაზრება (Opinio Juris)	58
ჯიუტი მონინააღმდეგე (დაჟინებით უარმყოფელი)	58
რეგიონული ჩვეულება	59
3. ძირითადი პრინციპები და დამხმარე წყაროები	60
IV თავი. ძირითადი პრინციპები და ნორმები	62
1. სუვერენიტეტი ბუნებრივ რესურსებზე და პასუხისმგებლობა, არ გამოიწვიონ გარემოს ზიანი (სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე და რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპები)	63
2. აღძვეთი მოქმედების პრინციპი	66
3. თანაპროშობის პრინციპი	69
4. მდგრადი განვითარების პრინციპი	72
მომავალი თაობები	76

5. წინდახედულობის პრინციპი	77
6. პრინციპი - „ვინც აბინძურებს - ანაზღაურებს“	80
7. საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობის პრინციპი	82

**V თავი. მართვა: სახელმწიფოები, საერთაშორისო
ორგანიზაციები და არასამთავრობო აქტორები ...85**

1. სახელმწიფოები.....	87
2. საერთაშორისო ორგანიზაციები.....	88
3. არასამთავრობო აქტორები	95

VI თავი. საერთაშორისო პრევენციები 100

1. თრეილ სმელტერის (TRAIL SMELTER) საქმე, კანადა აშშ-ის წინააღმდეგ	100
2. გაბჩიკოვოს (GABCIKOVO-NAGYMAROS) საქმე, უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ	101
კომპენსაციის საკითხი	104
აღნიშნული საქმის წარმოებით გარემოს საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების განვითარება	105
3. სელაპის ტყავის (PACIFIC FUR SEAL) საქმე, აშშ ბრიტანეთის წინააღმდეგ	106
ბრიტანეთის ჩართულობა	109
მოლაპარაკებები.....	109
არბიტრაჟი.....	110
4. ლენოს ტბის (LAC LANOUX) საქმე, საფრანგეთი ესპანეთის წინააღმდეგ	116
5. ბირთვული ცდების (NUCLEAR TESTING) საქმე, ავსტრალია და ახალი ზელანდია საფრანგეთის წინააღმდეგ.....	119
6. მდინარე ურუგვაის სანარმოს (PULP MILLS) საქმე, არგენტინა ურუგვაის წინააღმდეგ	120
7. ანტარქტიკის (ANTARCTIC WHALING) საქმე, ავსტრალია იაკონიის წინააღმდეგ და ახალი ზელანდიის ჩართულობა.....	124

ბიბლიოგრაფია 128

I ტავი.

გარემო და საერთაშორისო საზოგადოება — საკითხები და დეფინიციები

რაკი დედამიწის ხმელეთი, ზღვა და საჰაერო სივრცე დანაწილებულია და სახელმწიფოები მათ არაბუნებრივად, არარაციონალურად იყენებენ, ხოლო ეკონომიკური საქმიანობები პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ გარემოს უდიდეს ნაწილზე, დაისმის კითხვა: როგორ უნდა შეაჯეროს საერთაშორისო სამართალმა მემკვიდრეობითი და ძირეული დამოკიდებულება გარემოზე; როგორ შეიძლება, სამართლებრივმა კონტროლმა თავიდან აიცილოს იმ საქმიანობების ზიანი, რომლებიც მავნედ ზემოქმედებენ მსოფლიოს გარემოზე, როცა ასეთი საქმიანობები ცალკეული სახელმწიფოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმიტომ არის, რომ სახელმწიფოთა ნაწილის (განვითარებადის) არსებობა და მათი განვითარების შესაძლო პერსპექტივაც ასეთ საქმიანობებზე არის დამოკიდებული. სახელმწიფოთა მეორე ნაწილი (განვითარებული) ამ ეკონომიკური საქმიანობებით უფრო მეტად განვითარებისა და ეკონომიკურად გაძლიერების პერსპექტივას ესწრაფვის.

ასწლეულზე მეტია, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების (კონსერვაციის) შესახებ საერთაშორისო სამართალი გაერთიანდა მნიშვნელოვან და მზარდ დარგში, რომელიც შეიძლება, ასე განვმარტოთ: *საეხთაშორისო საჯაჰო სამაჰთდის დამოუკი-*

ებები დახვი, ხომელიც მოიცავს ხევიონუდი და გლობალური დონის პიხინციკებსა და ნოხმებს გახემოს სუბსტანციების (ჰაეხის, წყდის, მიწის, წიაღის, ფდოხის, ფაუნის და ა.შ.) ათვისების, დაცვისა და შენახუნების წესისთვის.

ალიარებულია, რომ ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება სახელმნიფო საზღვრებს არ ცნობს და გარემოს თითოეული სუბსტანცია ერთმანეთზე არის გადაჭაჭვული და დამოკიდებული. გარემოს საკითხები, რომლებიც შიდასახელმნიფოებრივ, სუვერენული ხასიათის პრობლემებად მოიაზრება, საერთაშორისო მნიშვნელობისაა.¹ ამდენად, საქმიანობათა საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლი უკვე რეგულარულია და ხშირად, ცალკეული ინციდენტებისთვის, რეაქციულიც, რასაც ახალ სამეცნიერო აღმოჩენებამდე მივყავართ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე სახელმნიფოები საერთო მდინარეებთან დაკავშირებული საქმიანობების ტრანსსასაზღვრო შედეგებს არ აღიარებდნენ. ასევე, არ აღიარებდნენ ველური ფაუნის დამანგრეველ მოქმედებებს ეროვნული იურისდიქციის² ფარგლებს გარეთ არსებულ ღია ზღვაში, საჰაერო სივრცესა და ზღვის ფსკერზე.

¹ „ადამიანის გარემოს შესახებ“ 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე და გარემოსა და განვითარების შესახებ 1992 წლის რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპები.

² იურისდიქციაში იგულისხმება სახელმნიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ორგანოს უფლებამოსილება, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ თავიანთ სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო სივრცეებში მოქმედი შიდასახელმნიფოებრივი ან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულება. ვინრო გაგებით, იურისდიქციაში იგულისხმება სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოების უფლება, განიხილონ სამართლის დამრღვევი პირის საქმე და აიძულონ იგი, სამართლით დადგენილი წესით აგოს პასუხი. არსებობს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იურისდიქცია.

1930-იან წლებში ჰაერის დაბინძურების ტრანსსასაზღვრო შედეგები აისახა სასამართლო საქმეში, რომელმაც სათავე დაუდო საარბიტრაჟო ტრიბუნალს, Trail Smelter (თრეილ სმელტერი).³

1950-იან წლებში საერთაშორისო საზოგადოებამ ნავთობით ოკეანეების დაბინძურების შესახებ კანონების შექმნა დაიწყო.

1970-იან წლებში ფლორისა და ფაუნის დაბინძურება და რღვევა გამოიკვეთა.

1980-იანი წლებისთვის საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში გარემოს გლობალური ხელშეკრულებები გაჩნდა. ეს იყო მეცნიერული მტკიცებულება, რაც ოზონის შრეში გაჩენილმა ხვრელმა, კლიმატის ცვლილებამ და ბიომრავალფეროვნების განადგურებამ განსაზღვრა. ლოკალური საკითხები ჯერ ტრანსსასაზღვრო, შემდეგ რეგიონული, საბოლოოდ კი გლობალური შედეგების მქონედ აღიარეს.

გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციაზე (UNCED) საერთაშორისო საზოგადოებამ გარემოს სამართლებრივი საკითხების პრიორიტეტები განსაზღვრა და მათი კონსოლიდაცია შეძლო. 1992 წლის რიო დე ჟანეიროს კონფერენციის პრიორიტეტები ორ კატეგორიად იყოფა:

1. გარემოს სხვადასხვა სუბსტანციის დაცვა.
2. ცალკეული საქმიანობები ან პროდუქტები.

გარემოს ცალკეული სუბსტანციების დაცვა-შენარჩუნებაში იგულისხმება:

- ა. ატმოსფეროს დაცვა. კერძოდ, ბრძოლა კლიმატის ცვლილებასა და ოზონის ამონურვასთან, სანყისი დონისა და ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კუთხით;

³ ვრცლად იხ.: Reports of International Arbitral Awards, Trail smelter case (United States, Canada), Volume III, United Nations, 2006.

- ბ. სახმელეთო რესურსების დაცვა;
- გ. გაუდაბნოების შეჩერება;
- დ. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ე. მტკნარი წყლის რესურსების დაცვა;
- ვ. ზღვებისა და ოკეანეების, ასევე, ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვა (სანაპირო ზონების ჩათვლით).

მეორე კატეგორია მოიცავს პროდუქტებს, რომლებიც გარემოსთვის განსაკუთრებით მავნეა და საერთაშორისო რეგულირებას მოითხოვს, როგორც არის მენეჯმენტი:

1. ტოქსიკური ნივთიერებების, საერთაშორისო ვაჭრობის ჩათვლით;
2. აგრარული პრაქტიკის;
3. მავნე ნარჩენების, საერთაშორისო ვაჭრობის ჩათვლით;
4. მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების საკითხის;
5. რადიოაქტიური ნარჩენების.

პრიორიტეტების ორივე კატეგორიისთვის სამართლებრივი საკითხები კომპლექსურია და პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, მეცნიერული მიდგომების გარეშე ვერ განიხილება.

ლოკალური, რეგიონული და გლობალური გარემოს დაცვის საქმეში, საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობისა და უწყვეტი კომუნიკაციისთვის, საერთაშორისო სამართალი და მისი ინსტიტუტები ძირითადი ჩარჩოა. სამართლებრივ პროცესში ახალი აქტორებისა და ინტერესების გაჩენით, ამოცანა თითოეულ დონეზე პროგრესულად კომპლექსური ხდება. თუ მე-19 საუკუნეში თევზის შენარჩუნების (კონსერვაციის) კონვენციები ორ მონაწილე სახელმწიფოს

ეხებოდა, 1992 წლის კლიმატის ცვლილების⁴ კონვენციაზე მოლაპარაკებებში 150-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობდა. ორივე შემთხვევაში საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს ანალოგიური ფუნქციები აქვთ. ეს ფუნქციებია:

1. შექმნან ატმოსფერო, რომელშიც საერთაშორისო საზოგადოების სხვადასხვა წევრები ითანამშრომლებენ;
2. დაადგინონ ამ წევრთა ქცევის ნორმები.

ამ მხრივ, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ფუნქციები არის ნორმათშემოქმედებითი, ადმინისტრირებისა და მომრიგებლური:⁵

- ა. ნორმატიული ფუნქცია გულისხმობს ისეთი პრინციპებისა და ნორმების შექმნას, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო მოვალეობებს ადგენენ. ამ მოვალეობებით, სახელმწიფოები და საერთაშორისო საზოგადოების სხვა წევრები ქცევის გარკვეულ წესებზე უნდა შეთნხმდნენ. ამასთან, ეს ვალდებულებები გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ფარგლებსა და იმ საქმიანობებს ადგენს, რომლებიც შეიძლება, შესრულდეს ან

⁴ 2021 წლის 9 ივლისს გაიმართა აზიის წყნარი ოკეანის კლიმატის ცვლილების ვირტუალური თემატური სესიები. ამით გაკეთდა განაცხადი, რომ მიმდინარეობს რეგიონულ ძალისხმევა კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ, გაეროს კლიმატის ცვლილების მომავალი კონფერენციის, COP26-ის წარმატებისთვის, რომელიც 2021 წლის ნოემბერში, გლასგოში გაიმართა. აზიის წყნარი ოკეანის რეგიონი ავრცელებს მსოფლიოს სითბური აირების ნახევარზე მეტს და ის მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონია, გლობალური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნილით. www.regionalclimateweeks.org

⁵ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 10-11.

დაშვებულ იქნას. გარემოზე ზემოქმედება შეიძლება, მოხდეს სახელმწიფოს საზღვრებში, ორი ან მეტი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ან ისეთ ადგილას, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ან კონტროლის გარეთ არის.

- ბ. ადმინისტრირების ფუნქცია ნიშნავს, როცა საერთაშორისო სამართალი დაუსახავს ამოცანებს სხვადასხვა აქტორებს, გახდნენ იმის გარანტი, რომ გარემოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და ნორმებით დადგენილი სტანდარტები განუხრელად შესრულდეს.
- გ. მომრიგებლური ფუნქცია არის შეთანხმების მექანიზმები, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი სთავაზობს აქტორებს, რომ მშვიდობიანად მოაგვარონ უთანხმოებები ან დავები. ეს დავები საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შორის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ან ისეთი საქმიანობების გამო წარმოიშობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედებენ.

სუვერენიტეტი⁶ და ტერიტორია⁷

საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო საზოგადოების საქმიანობებს აწესრიგებს, საერთაშორისო საზოგადოება კი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო აქტორებისგან შედგება. თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის შემქმნელ და საერთაშორისო უფლება-მოვალეობების მქონე სახელმწიფოებს მთავარი როლი ეკისრებათ. საერთაშორისო სამართლით, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად, სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრები, სუვერენულები არიან და მათ თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. სუვერენიტეტისა და თანასწორობის დოქტრინა სამ

⁶ სახელმწიფო სუვერენიტეტი სახელმწიფო ხელისუფლების ნიშანია, ამ ნიშნის გამო სახელმწიფოს აქვს სრული სამართალსუბიექტობა, უნარი და უფლებამოსილება, გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარე; იყოს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და სარგებლობდეს ხმის უფლებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ვრცლად იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 352.

⁷ პლანეტა დედამიწა, საჰაერო სივრცე მის ზემოთ, კოსმოსი, მთვარე და ციური სხეულები, ფართო გაგებით, ტერიტორიაა. იურიდიული ბუნების მიხედვით, საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ შემდეგი სახის ტერიტორიებს: 1. სახელმწიფო ტერიტორია; 2. საერთაშორისო ტერიტორია და 3. კონტინენტური შელფი. გარემოს საერთაშორისო სამართალი, ასევე, იცნობს დაცული ტერიტორიების ცნებასაც. ესენია: 1. ეროვნული პარკი; 2. მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი; 3. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია. 1996 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომლის საფუძველზეც, ჩამოთვლილის გარდა, არსებობს დაცული ტერიტორიების ისეთი კატეგორიებიც, როგორც არის: 1. აღკვეთილი; 2. სახელმწიფო ნაკრძალი; 3. ბიოსფერული რეზერვატი; 4. დაცული ლანდშაფტი.

კომპონენტს მოიცავს. სახელდობრ, სახელმწიფოებს აქვთ:⁸

1. ექსკლუზიური (Prima Facie) იურისდიქცია თავიანთ ტერიტორიასა და მასზე მცხოვრებ მუდმივ მოსახლეობაზე;
2. სხვა სახელმწიფოს ექსკლუზიურ იურისდიქციაში შეუჭრელობის ვალდებულება;
3. დამოკიდებულება ვალდებულებებზე, რაც, მათივე თანხმობით, ჩვეულებითი სამართლიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს.

200-მდე სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ექსკლუზიური იურისდიქცია თავიანთ ტერიტორიაზე, ძირითადად, ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მათ აქვთ კომპეტენცია, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს პოლიტიკა და კანონები თავიანთი ტერიტორიის⁹ ფარგლებში გაატარონ. სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავს:

- ა. ხმელეთს თავისი წიაღით, სახელმწიფო საზღვრების შიგნით;
- ბ. შიდა წყლებს, როგორც არის ტბები, მდინარეები, არხები;
- გ. მისი ნაპირის მიმდებარე ტერიტორიულ ზღვას, ფსკერის, წიაღისა და რესურსების ჩათვლით;
- დ. საჰაერო სივრცეს, მისი ხმელეთის, შიდა წყლებისა და ტერიტორიული ზღვის ზემოთ, იმ წერტილამდე, საი-

⁸ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 11.

⁹ სახელმწიფო ტერიტორიას განეკუთვნება კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული სახმელეთო, საჰაერო და წყლოვანი ტერიტორიები. ვრცლად იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 340. საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 3 ივნისს მიიღო N261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“.

დანაც კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმი¹⁰
ინყება.¹¹

სახელმწიფოებს სუვერენული უფლებები და იურისდიქცია ეზღუდებათ სხვა სივრცეებში, როგორც არის მიმდებარე ზონა,¹² კონტინენტური შელფის¹³ რესურსები, მისი ფსკერი და წიაღი, გარკვეული თევზსაჭერი ზონები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გარკვეული სივრცეები რჩება, სადაც ექსკლუზიური იურისდიქცია არც ერთ სახელმწიფოს აქვს. ეს სივრცეები ზოგჯერ „გლობალურ მემკვიდრეობად“ (global commons) მოიხსენიება. მათში შედის ღია ზღვა,¹⁴ მისი ფსკერი და წიაღი, კოსმოსური სივრცე და (სახელმწიფოთა უმ-

¹⁰ სამართლებრივი რეჟიმი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ამა თუ იმ ტერიტორიის (სახელმწიფო, საერთაშორისო და კონტინენტური შელფის) გამოყენებას.

¹¹ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 12.

¹² საზღვაო სივრცე, მდებარე სანყის ხაზებთან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე 24 საზღვაო მილში. ეს არის წყლოვანი ტერიტორია („საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის 33-ე მუხლი).

¹³ სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური შელფი მოიცავს ზღვის ფსკერს, მის წიაღსა და წყალქვეშა რაიონებს, რომლებიც ვრცელდება მისი ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ და წარმოადგენს მისი სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივ გაგრძელებას სანყის ხაზებიდან ზღვისკენ, კონტინენტის კიდემდე ან 200 საზღვაო მილის ფარგლებში, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე („საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის 76-ე მუხლის პირველი პუნქტი).

¹⁴ ზღვის ყველა ნაწილი, რომელიც არ განეკუთვნება განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას, სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვას, სახელმწიფოს შიდა წყლებს ან არქიპელაგი სახელმწიფოს არქიპელაგურ წყლებს („საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის 86-ე მუხლი).

რავლესობის თანხმობით) ანტარქტიკა. ზოგჯერ „გლობალურ საკუთრებად“ ატმოსფეროსაც მოიხსენიებენ.¹⁵

მრავალი ბუნებრივი რესურსი და მათი გარემო კომპონენტები ეკოლოგიურად დანაწილებულია. ერთი სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე ერთი კომპონენტის გამოყენება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის მეორე კომპონენტზე ზემოქმედებს. ასეთი არის, მაგალითად, მდინარე ორ სახელმწიფოს შორის ან ცოცხალი რესურსები, რომლებიც ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიგრირებენ. ტექნიკური პროგრესის შედეგად დასტურდება, რომ ერთ ქვეყანაში უწყინარი საქმიანობა, რაც ქლოროფლორონახშირბადის ემისიას იწვევს, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სხვა სახელმწიფოების გარემოზე, ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს მიღმა სივრცეზე. ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება იწვევს პრობლემას და ამით აიხსნება, თუ რატომ არის გარდაუვალი საერთაშორისო თანამშრომლობა და გარემოს საერთაშორისო სტანდარტების განვითარება.

სადღეისოდ პრობლემურ საკითხად სჩანს გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა მიმართება სხვადასხვა გადასახედიდან. ამ საკითხზე მ. ბითაძე შენიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის ერთიან საერთაშორისო პოლიტიკაში შესაძლებელია გაიმიჯნოს სამი ძირითადი მიდგომა: ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით არსებული უფლებების მობილიზაცია; არსებული უფლების გადასინჯვა მათში ეკოლოგიური უფლებების ცალკე გამიჯვნის მიზნით; ახალი საერთაშორისო დოკუმენტის შექმნა ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით... არსებული უფლებების მობილიზაციის

¹⁵ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 12.

განხილვისას შეიძლება ითქვას, რომ არსებული უფლებები იმდენად გამჭვირვალე და ნათელია, რომ მათში ახალი ეკოლოგიური უფლებების გამიჯვნა, თითქოს ზედმეტიცაა. მაგრამ ამ არგუმენტის სიმყარე დამოკიდებულია თვით არსებული უფლებების გამოყენების სპექტრზე, რაც უპირველეს ყოვლისა, როგორც აღინიშნა, მოიაზრებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, შემდეგ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს... ამ უფლებებს შორის მოიაზრება თვითგამორკვევის უფლებაც.¹⁶

საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობის ნაკლოვანებათა შესახებ საუბრისას, ავტორი შენიშნავს: „იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ეკოლოგიური უფლებების ამსახველი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში და მათი ერთობლივი აღქმა საკმაოდ გართულებულია, შესაძლებელია მოხდეს ეკოლოგიური უფლებების ნორმატიული შინაარსის გარკვეულწილად სისტემატიზება და სპეციალური კანონის მიღება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლისა და ორჭუსის კონვენციის დებულებების დაკონკრეტებასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.“¹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იგივე ავტორი შენიშნავს, რომ ამ სასამართლოს მიდგომა ეკოლოგიური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ორი სახით ვლინდება: სასამართლო

¹⁶ ბითაძე მ., ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2008, 24.

¹⁷ იქვე, 189.

აქტიურობით და სასამართლო პასიურობით. პირველი ვლინდება სასამართლოს სწრაფვაში, მოახდინოს კონვენციით გარანტირებული უფლებების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მას ეკოლოგიური უფლებების არაპირდაპირი გზით დაცვაში ეხმარება. ამ მიზნით სასამართლო ძირითადად კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების განმარტებებს ეყრდნობა; მეორე შემთხვევასთან მიმართებით აღსანიშნავია სასამართლოს თავისებური მიდგომა კონვენციის სხვა მუხლებთან, რაც სასამართლოს აშკარა თავშეკავებულობაში გამოიხატება. კერძოდ, სასამართლო თავს იკავებს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის მოტივით განმარტოს კონვენციის ზოგიერთი მუხლი (გარდა მე-8 და მე-10 მუხლებისა), თუმცა სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს წევრი სახელმწიფოების დისკრეტულ უფლებას.¹⁸

საერთაშორისო აქტორები

გარემოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების განვითარება-გამოყენებაში მნიშვნელოვანი საკითხი არის საერთაშორისო საზოგადოების წევრობა და აქტორების მონაწილეობა. გარემოს საერთაშორისო სამართალი შორს დგას იმ პოზიციისგან, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ სახელმწიფოებისგან შედგება და მოიცავს (ფიზიკურ და იურიდიულ) პირებს, სახელმწიფოებთან ერთად და მათ შორის. ამით არასამთავრობო აქტორები და საერთაშორისო

¹⁸ ბითაძე მ., ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 24.

ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. 1992 წლის რიო დე ჟანეიროს დეკლარაცია¹⁹ და 21-ე დღის წესრიგი²⁰ ორგანიზაციებისა და არასამთავრობო აქტორების როლის ზრდას გარემოსა და განვითარების საერთაშორისო სამართლებრივი პროცესის თითქმის ყველა ასპექტში ასახავს. სწორედ ამიტომ გარემოს საერთაშორისო სამართალში არ ვიყენებთ ტერმინს „სუბიექტი“ და მას ტერმინი - „აქტორი“, უფრო ზუსტად, „საერთაშორისო აქტორი“ ჩაანაცვლებს.

გარემო და საერთაშორისო სამართალი. დეფინიციები და საკითხები

გარემოს საერთაშორისო სამართლის პირდაპირი მიზანი არის გარემოს დაცვა. მისი დაცვის სფერო გლობალური გარემოა. განმარტებით ლექსიკონებში „გარემო“ რაიმეთი შემოფარგულ²¹ ობიექტებს ან რეგიონს ნიშნავს. შესაბამისად, იგი მოიცავს ბუნებრივ მსოფლიოს, ადამიანთა ცივილიზაციის შემადგენელსა და პროდუქტსაც. ამ დეფინიციაში გარემო უფრო ფართო ცნებაა, თუმცა ბუნებას, მსოფლიოს ბუნებითი მახასიათებლებით მოიცავს.

ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც გარემოს, ბუნებას უკავშირდება და ცხოველებსა და მცენარეებს შეეხება. ის ბიოლოგიის დარგია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ

¹⁹ იხ. Report of The United Nations Conference on Environment and Development, United Nations, General Assembly, Rio de Janeiro, 3-14 June 1992.

²⁰ სრულად იხ.: United Nations Conference on Environment & Development Rio de Janeiro, Brazil, 3 to 14 June 1992, Agenda 21. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf>

²¹ The Compact Edition of The Oxford English Dictionary, 2nd edition, redacted by E. S. C. Weiner, J. A. Simpson, Oxford University Press, 1991, 523.

გარემოს, ჩვევებსა და ცხოვრების ციკლს სწავლობს.²²

ეკოსისტემა ეკოლოგიის ნაწილია, რომელიც მოიცავს მცენარეებს, ცხოველებსა და იმ გარემოს, რაზეც ისინი გავლენას ახდენენ.²³

გარემოს იურიდიული განმარტებები მეცნიერულ კატეგორიზაციასა და დაჯგუფებებს, ასევე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტებს ასახავს. მეცნიერულად გარემო დაყოფილია საკითხებად, როგორიც არის ატმოსფერო, წიაღი, წყლის ხარისხი, ბიოლოგია და ადამიანები. პოლიტიკური პროცესით მეცნიერული დეფინიციები იურიდიულ დეფინიციებად ტრანსფორმირდება, რასაც საერთაშორისო ხელშეკრულებებში ვხვდებით. ტერმინს, „გარემო“ საყოველთაოდ არ იყენებენ და თანამედროვე შეთანხმებებში ის სხვადასხვა სუბსტანციას ასახავს. ადრე ხელშეკრულებებში იყენებდნენ ტერმინს, „ფლორა და ფაუნა“²⁴.

1974 წლის 19 თებერვლის (სტოკჰოლმის) გარემოს დაცვის კონვენციაში ვკითხულობთ: „გარემოსთვის საზიანო საქმიანობებია, რასაც ზიანი მოაქვს წყალმდინარეების, ტბების ან ზღვის, ასევე, მიწისა და ფსკერის გამოყენების, ნაგებობებისა და დანადგარებისათვის.“²⁵

გარემოს მოდიფიცირების შესახებ 1977 წლის კონვენციით, „გარემოს მოდიფიკაცია ნიშნავს ცვლილებას დედამიწის დინამიკის, შემადგენლობის, ან სტრუქტურის, მისი ბიოტას,

²² Sands P., Peel J., with Fabra A. and Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Fourth edition, Cambridge University Press, 2018, 13.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, 14.

²⁵ Convention on the Protection of the Environment, 1998, Art. 1.

ლითოსფეროს, ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს ან კოსმოსის ჩათვლით.”²⁶

გარემოსა და განვითარების შესახებ 1992 წლის რიო დე ჟანეიროს დეკლარაციის მე-7 პრინციპში ვკითხულობთ:

„სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ გლობალური პარტნიორობის სულისკვეთებით, დედამიწის ეკოსისტემების ჭანმრთელობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, დასაცავად და აღსადგენად.“

2018 წლის შემოდგომაზე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით სამართლებრივი საკითხები გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაში სავარაუდოდ შესაბამისი ექსპერტების ჩხიროძე დ., ჩაჩხიანი ნ., ბანძელაძე მ. მონაწილეობით ფორმულირებული იქნა შემდეგ დასკვნა: „ეკოლოგიური პრობლემების გათვითცნობიერება, ეკოლოგიური განათლების პოპულარიზაცია არის საფუძველი მასიური ეკოლოგიური მოძრაობის გააქტიურების, ამიტომაც ხშირად ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკურ ელფერსაც კი იღებს. თანამედროვე საერთაშორისო და არასაერთაშორისო ეკოლოგიური მოძრაობები ორგანიზებული და პოლიტიზირებულია. „მწვანეების“ პარტია არსებობს მრავალ განვითარებულ ქვეყნებში, მათი წარმომადგენლობები შედიან მრავალ საკანონმდებლო ორგანოებში, გამონაკლისია საქართველოს პარლამენტი.“²⁷

²⁶ UN Convention “on the Prohibition of Military or Any Other Hostile Use of Environmental Modification Techniques”, 1977, Art. 2

²⁷ ჩხიროძე დ., ჩაჩხიანი ნ., ბანძელაძე მ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, შრომები, ქუთაისი, 21-22 სექტემბერი 2018, 363.

უნდა ითქვას, რომ კონფერენცია მონაწილეთა დასკვნა მწვანეების საქართველოს პარლამენტში ყოფნის, მათი ეფექტური მუშაობის თაობაზე გადაჭარბებულია, რადგან საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტებში იყვნენ წარმოდგენილი მწვანეები, თუმცა მათი მუშაობა განსაკუთრებული შედეგებით გამორჩეული არ ყოფილა. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ასეთ საკითხებს სვამდნენ ხოლმე პარლამენტის ისეთი დეპუტატები, რომლებსაც გარემოს სფეროში ექსპერტიზის საკითხებზე კვალიფიკაცია არ ჰქონდათ. მაგალითად, 1998-2000 წლებში ისტორიკოს გ. შარაძის მიერ სადისერტაციო ნაშრომის - „მდინარე ქოროხის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი“ და მასთან დაკავშირებული თემის აქტუალიზება.²⁸

მოკლედ მინდა შევხვო ქართველი ავტორის კ. ყალიჩავას ნაშრომებს, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის სფეროა გარემოს დაცვითი საქმიანობების კუთხით. თავის სადოქტორო ნაშრომში ხსენებული ავტორი წერს: „საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში დერეგულირებული წესრიგის აქცეპტაბელურობის ხარისხი საკუთრივ ინვესტორებისათვისაც დაბალია. აღნიშნული დეფიციტების დასაძლევად საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი შესაძლებლობა, რითაც ის მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში გაამარტივებდა სანებართვო წარმოებას და რეგულირების მომენტს გადაიტანდა სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის თანამშრომლობის განსხვავებულ ფორმაში (მაგ., ინფორმაციის შეტყობინების

²⁸ იხ. ჩინჩალაძე ნ., რეკომენდაციები და წინადადებები მდინარე ქოროხის ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენებისათვის, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ტ.IV, №1, 2001, 182.

ვალდებულებაში). შესაბამისად დერეგულირების პროცესი, რომლის მიზანი საქართველოში ეკონომიკური აქტივობების წახალისება იყო, ინვესტიციის სამართლებრივი სტაბილიზაციის თვალსაზრისით, დასახულ მიზანს ვერ აღწევს, ხოლო შინაარსობრივად ის რადიკალურად უპირისპირდება საჯარო მმართველობის მოდერნიზაციის იდეას.²⁹

უკვე სხვა ნაშრომში გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობების დასაშვებობის თემაზე იგივე ავტორი წერს: “საქმიანობების დასაშვებობის კონტროლი (Eröffnungskontrolle) გერმანული სამართლის დოგმატიკაში აღმოცენებული ინსტიტუტია, რომლის დამკვიდრებას ქართულ სამართალში აქვს ბევრი ლეგიტიმური მიზეზი: უპირველესად, მასში მოაზრებული სამივე მოდელური კონფიგურაცია ემსახურება როგორც ცალკეულ შემთხვევებზე ორიენტირებული პირდაპირი რეგულირების წესრიგის-სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას, ისე სანებართვო ადმინისტრაციულ წარმოებაში კონცენტრაციის ეფექტის(ერთი სარკმლის პრინციპის) შექმნას. მეორე: თანამედროვე საჯარო მმართველობაში მისი როლი სულ უფრო იზრდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ინსტიტუტის მეშვეობით შესაძლებელი ხდება კონსტიტუციასთან შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრება, ტრიპოლარული ურთიერთობების შინაარსის სწორად განსაზღვრა, სამართლებრივი სტაბილიზაციისა და კონტროლის ფუნქციის რეალიზება, რეგულირება/დერეგულირება/რე-რეგულირების პოლიტიკის გონივრულად განხორციელება. მესამე, ქართულ

²⁹ ყალიჩავა კ., საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის კონტროლი გარემოს დაცვის სამართალში (ევროპული, გერმანული და ქართული სამართლის შედარებითი ანალიზი), დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2015, 29-30.

რეალობაში ეს თემა არ არის დამუშავებული. საქართველოში განხორციელებული გაუაზრებელი დერეგულირების პოლიტიკა და ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება კი მის წინ წამოწევის საქმიანობას გარდაუვალად იყენებს დღის წესრიგში.³⁰ ავტორი შენიშნავს, რომ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება ამ წიგნში საქმიანობის დასაშვებობის კონტროლის ცალკეული კონფიგურაციების დეტალური დახასიათება და მათი გამიჯვნის თეორიული საფუძვლების ანალიზი.³¹

ქართველი ავტორი კ. ყალიჩავა საექვოდ უყურებს საქართველოს მხრიდან ევროპასთან ასოცირების შეთანხმებისათვის მიერთების საკითხში მთავრობის გულწრფელობას და ამაზე იქვე წერს: „ევროპასთან ასოცირების შეთანხმებამ, ამ სფეროს კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შესძინა, რამეთუ მისი ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი დანართი, სწორედ გარემოს დაცვას დაეთმო. შეთანხმებაში ცხადად ჩაიწერა, რომ „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამსრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.“ თუ ჩვენი სახელმწიფო გულწრფელი იყო ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერისას, მაშინ ბუნებრივია, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იქნება ფუნდამენტური სახის ცვლილებები, პროგრესული და სტაბილური სახის საკანონმდებლო აქტების ამოქმედების თვალსაზრისით, რამაც, ცხადია, მეცნიერული და სხვა სახის

³⁰ ყალიჩავა კ., გარემოსდაცვითი საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე. ქართული, გერმანული და ევროპული სამართლის შედარება, თბილისი, 2016, 209.

³¹ იქვე, §53-4.

ინტერესი ამ სფეროს მიმართ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს“³², - თვლის ის.

გარემოს სამართლის საკითხებიდან საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება³³ საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში დავის საგანი იყო „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57¹⁰ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57¹⁰ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო.

³² იქვე, 11.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

II ტაკი.

გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარების მოკლე ისტორია, ძირითადი პერიოდები

გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარების საწყისი ეტაპი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება, ხოლო მისი ამჟამინდელი ფორმა და სტრუქტურა გასულ საუკუნეში გამოიკვეთა. ამ დარგის თანამედროვე პრინციპებისა და ნორმების სათანადო გაგებას მეცნიერული, პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების ისტორიის ცოდნა სჭირდება.

გარემოს საერთაშორისო სამართალი ევოლუციას ოთხი განსხვავებული პერიოდის განმავლობაში განიცდიდა.³⁴ თითოეული ეს პერიოდი მეცნიერულ ცოდნას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასა და მათი ზემოქმედების გაგებას ასახავს, ასევე, ცვლილებებს პოლიტიკურ ცნობიერებასა და შეგნებაში.

როგორც უცხოელი ავტორები ფ.სენდსი, ადრიანა ფაბრა და რუთ მაქკენზი წერენ, პირველი პერიოდი თევზჭერის ორმხრივი ხელშეკრულებებით, მე-19 საუკუნეში დაიწყო და 1945 წელს, ახალი ორგანიზაციების დაარსებით დასრულდა. ამ პერიოდში ერებმა შეიგნეს, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი, გარკვეული ბუნებრივი რესურსების (ფლორისა და ფაუნის) გამოყენების დროს, შეზღუდვებს მოითხოვდა, რასაც შესაბამისი

³⁴ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 22.

სამართლებრივი აქტების (ინსტრუმენტების) მიღება სჭირდებოდა.³⁵

მეორე პერიოდს გაეროს დაარსებამ უბიძგა, რისი კულმინაციაც ადამიანის გარემოს შესახებ 1972 წლის ივნისში, სტოკჰოლმში გამართული გაეროს კონფერენცია³⁶ იყო. ამ პერიოდში გარემოს საკითხებზე მომუშავე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია დაფუძნდა. როგორც რეგიონული, ისე გლობალურ დონეზე სამართლებრივი ინსტრუმენტები მიიღეს. ისინი დაბინძურების გარკვეულ წყაროებს, ასევე, ცალკეული ბუნებრივი რესურსების ზოგად და კონკრეტულ დაცვას შეეხებოდა. ეს საკითხებია: ნავთობით დაბინძურება, ბირთვული ცდები, ქარბ-ტენიანი ნიადაგები, ზღვის გარემო და მისი ცოცხალი რესურსები, მტკნარი წყლის ხარისხი და ნარჩენების ჩამარხვა ზღვაში.

მესამე პერიოდი „ადამიანის გარემოს შესახებ“ 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციით იწყება და 1992 წლის ივნისში, გარემოსა და განვითარების შესახებ (UNCED) გაეროს კონფერენციით მთავრდება.³⁷ ამ პერიოდში გაერო შეეცადა, გარემოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის კოორდინაციის სისტემა შეექმნა. მიიღეს რეგიონული და გლობალური კონვენციები და საერთაშორისო დონეზე გარკვეული პროდუქტებით ვაჭრობა პირველად აიკრძალა.

მეოთხე პერიოდის ათვლა გაეროს ამავე კონფერენციიდან (UNCED) იწყება და დღემდე გრძელდება.³⁸ მას ინტეგრაციის პერიოდად ახასიათებენ, როცა გარემოს საკითხები, როგორც

³⁵ იქვე., 23-24.

³⁶ იქვე., 26-30.

³⁷ იქვე., 31-33.

³⁸ იქვე., 34-39.

საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის საგანი ინტეგრირებულია ყველა საქმიანობაში.

პირველი პერიოდი - თევზჭერის ადრეული კონვენციებიდან გაეროს დაარსებამდე.

გარემოს საერთაშორისო სამართლის ნორმების განვითარების ადრეული ძალისხმევა უფრო ველური ბუნების (თევზის, ფრინველების, სელაპის) შენარჩუნებაზე, შედარებით ნაკლებად კი მდინარეებისა და ზღვების დაცვაზე იყო ფოკუსირებული. გარემოს პირველი კანონმდებლობა ეროვნულ დონეზე ამ პერიოდში შემუშავდა. ხელშეკრულებებს შებლუდულად, მხოლოდ საგანგებოდ იღებდნენ. თევზჭერის ორმხრივი კონვენციები მე-19 საუკუნის შუა პერიოდში მიიღეს, რომ თევზის გადაჭარბებით მოპოვება შეეჩერებინათ. მაგალითად, ხამანწყის (უსტრიცის) შენარჩუნების კონვენციით³⁹ თევზჭერა გარკვეულ დღეებში აიკრძალა. ასევე, სხვა აქტები მდინარეებსა და ტბებში, ტერიტორიულ წყლებსა და მათ გარშემო ქარბად მოპოვებისგან თევზის დაცვას ემსახურებოდა.⁴⁰ პირველი კონვენცია, რითიც ცხიმის და ხორცის მოპოვების მიზნით ვეშაპზე ნადირობა აიკრძალა, 1931 წელს⁴¹ მიიღეს. საერთაშორისო თანამშრომლობას მიგრირებადი ფრინველების შენარჩუნებაც მოითხოვდა. 1872 წელს შვეიცარია ფრინველთა დაცვის საერთაშორისო მარეგულირებელი კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. საკითხი არასამთავრობო ორნითოლოგიურ კონგრესზე განი-

³⁹ Paris Convention Between France and Great Britain Relative to Fisheries, 1867, Art. XI.

⁴⁰ UN Convention for Regulating the Police of the North Sea Fisheries (Overfishing Convention), 1882, the Hague.

⁴¹ The International Convention for the Regulation of Whaling, 1946, Washington.

ხილეს და 1884 წელს ორგანიზაცია „საერთაშორისო ორნითო-ლოგიური კომიტეტის“ სახელწოდებით დაარსდა. კომიტეტმა 1902 წელს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ფრინველთა დაცვის კონვენცია⁴² მიიღო. პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულ რეგიონში ველური ბუნების დაცვას შეეხებოდა, 1900 წლის კონვენცია იყო. კონვენციამ ევროპული სახელმწიფოების აფრიკულ კოლონიებში ველური ბუნების კონსერვაცია დაადგინა და მოიცავდა შეზღუდვებს ვაჭრობასა და ტყავის გარკვეული სახეობების ექსპორტზე. ის 1933 წლის კონვენციამ ჩაანაცვლა, რომელიც ფლორის წარმოშობის სახელმწიფოში მის შენარჩუნებას შეეხებოდა.⁴³ ამ კონვენციას 1968 წლის აქტი⁴⁴ მოჰყვა, რაც აფრიკის ყოფილი კოლონიური ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ მიიღეს. ამ პერიოდში ველური ბუნების დაცვის ხელშეკრულებებს კიდევ ერთი, ამერიკის რეგიონი იღებდა.

აშშ-სა და კანადას შორის, წყლის საზღვრებზე 1909 წლის ხელშეკრულება იყო პირველი, რამაც მხარეებს დაბინძურებისგან დაცვა დაავალდებულა.⁴⁵ ხელშეკრულებით ერთობლივი კომისია დაარსდა, რომლის ფარგლებშიც დაბინძურების თავიდან აცილების დოკუმენტის პროექტი შემუშავდა, თუმცა ის არ მიუღიათ. ამ პერიოდში გარემოს შესახებ ორი დავა სა-

⁴² International Convention for the Protection of Birds Useful to Agriculture, 1902, Paris.

⁴³ Convention relative to the Preservation of Fauna and Flora in their Natural, 1933, London.

⁴⁴ The African Convention on the Conservation of Nature and Natural Resources, 1968, Algiers.

⁴⁵ Treaty between the United States and Great Britain Relating to Boundary Waters and Questions Arising Between the United States and Canada, 1909.

ერთაშორისო არბიტრაჟს გადაეცა. ორივე არბიტრაჟის გადაწყვეტილება მომავალი საქმიანობების მართვისთვის საჭირო მარეგულირებელ დებულებებს მოიცავდა, რამაც შემდგომ განვითარებაზე გავლენა იქონია.

1. წყნარი ოკეანის სელაპის ტყავის არბიტრაჟი (Pacific Fur Seal Arbitration).⁴⁶ ეს დავა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის წარმოიშვა და ბრიტანეთის მიერ, ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს მიღმა სივრცეში, სელაპის ტყავის გადაჭარბებულ მოპოვებას შეეხებოდა. რესურსების შენარჩუნების მიზნით, არბიტრაჟმა თავის გადაწყვეტილებაში უარყო არგუმენტი, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, გაავრცელონ იურისდიქცია იმ ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ სივრცეში მდებარეობს. ამ სივრცეში სელაპის ტყავის „სათანადო დაცვისა და შენარჩუნებისთვის“ არბიტრაჟმა რეგულაციები დაადგინა, რაც ადრინდელ სახელშეკრულებო დებულებებს ასახავდა. რეგულაციებმა საფუძველი მოამზადა კონვენციისათვის, რომელმაც აკრძალა ორი რამ: სელაპის ტყავის მოპოვება ჩრდილოეთ წყნარი ოკეანის ნაწილში და სელაპის ტყავის იმპორტი.
2. მეორე საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ პერიოდში უფრო „თრეილის სადნობის საქმით“ (Trail Smelter) იყო ცნობილი. დავა აშშ-სა და კანადას შორის წარმოიშვა, რაც კანადის ქალაქ თრეილში მდებარე სადნობი ქარხ-

⁴⁶ nb. Reports of International Arbitral Awards Recueil des Sentences Arbitrales Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of United States in the Bering's sea and the preservation of fur seals, 15 August 1893, VOLUME XXVIII, 263-276, United Nations, 2007.

ნიდან ქალაქ ვაშინგტონში გოგირდოვანი კვამლის გავრცელებას მოჰყვა. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ „არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გამოიყენოს ან დაუშვას თავისი ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომ კვამლით ზიანი მიადგეს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას, ქონებას ან იქ მყოფ პირებს, როცა ამას სერიოზული შედეგი მოჰყვება და ზიანი აშკარაა.“⁴⁷

მეორე პერიოდი - გაეროს დაარსებიდან სტოკჰოლმამდე, 1945-1972 წლები.

გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარების მეორე ფაზა 1945 წელს, გაეროსა და მისი სპეციალიზებული უწყებების დაარსებით დაიწყო. ეს პერიოდი ორი ნიშნით ხასიათდება.

1. საერთაშორისო ორგანიზაციებმა რეგიონულ და გლობალურ დონეზე დაიწყეს გარემოს, მათ შორის მომეტებულად მავნე საქმიანობების საკითხებზე მუშაობა;
2. გარკვეულწილად აღიარეს ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირი.

1948 წლის ოქტომბერში, მთავრობებმა და არასამთავრობო აქტორებმა გარემოს საკითხებზე პირველი მთავარი საერთაშორისო ორგანიზაცია შექმნეს. კონფერენცია „იუნესკოს“ დახმარებით ჩატარა და მას 18 მთავრობის წარმომადგენელი, 7 საერთაშორისო ორგანიზაცია და 107 ეროვნული ორგანიზაცია ესწრებოდა. მათ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUPN)⁴⁸ დააფუძნეს, რომლის მიზანიც იყო ველური

⁴⁷ Trail Smelter Arbitral Tribunal Decision, American Journal of International Law, Vol. 35, No. 4, 1941, 716.

⁴⁸ ამჟამად IUCN – International Union for Conservation of Nature (ბუნების შენარჩუნების საერთაშორისო კავშირი).

ბუნებისა და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, საზოგადოების განათლება, მეცნიერული კვლევა და კანონმდებლობა. ეს უნიკალური ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც მთავრობები და არასამთავრობო აქტორები არიან. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ხელშეკრულებათა სრულყოფაში, რომლებიც ველური ბუნების დაცვასა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას შეეხება.

1950 წლის 8-13 თებერვალს, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან ერთად მიღებული შესაბამისი რეზოლუციის საფუძველზე, გაიმართა კონფერენცია „რესურსების შენარჩუნებისა და ათვისების შესახებ“ (UNCCUR)⁴⁹. რეზოლუცია პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტისა და ჰარი ტრუმენის ინიციატივა იყო და ბუნებრივი რესურსების მართვისა და შენარჩუნების მიმართ დაბალანსებულ მიდგომას ასახავს. რეზოლუციაში ხაზი გაესვა მსოფლიო ბუნებრივი რესურსების ზოგად მნიშვნელობასა და მათ დანიშნულებას გაჩანაგებული ადგილების რეკონსტრუქციისათვის. რეზოლუციამ რესურსების კონსერვაციისა და ათვისების საშუალებათა ფართო და განგრძობადი გამოყენება აღიარა. მან დაადგინა გაეროს ნაგულისხმევი კომპეტენცია გარემოს საკითხებზე და 1972 წელს ადამიანის გარემოს შესახებ სტოკჰოლმის კონფერენცია, ხოლო 1992 წელს გარემოსა და განვითარების კონფერენცია განაპირობა.⁵⁰

⁴⁹ იხ. United Nations Scientific Conference on the Conservation and Utilization of Resources, February 8-13, 1950, NY. <https://digitallibrary.un.org/record/212442?ln=en>

⁵⁰ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 27.

1955 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო პირველი რეზოლუცია იმ მრავალთაგან, რომელიც ატომური ენერჯის გამოყენებასა და ატომური რადიაციის შედეგებს შეეხება. ამ რეზოლუციის შედეგად, 1963 წლის ცდების აკრძალვის⁵¹ ხელშეკრულება დაიდო. ასევე, შეიქმნა პოლიტიკური კონტექსტი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისთვის, მიემართათ საერთაშორისო სასამართლოსთვის, რომ სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონში საფრანგეთს ატმოსფერული ბირთვულის ცდები შეენწყვიტა.

ამ პერიოდშივე, 1971 წელს, ირანის ქალაქ რამსარის კონვენცია მიიღეს, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქარბტენიან ტერიტორიებს შეეხებოდა. მან პირველად დაადგინა ნორმები გარკვეული ტიპის ეკოსისტემის შესანარჩუნებლად.⁵²

1949 წელს საერთაშორისო სასამართლომ განსაზღვრა თითოეული სახელმწიფოს ვალდებულება, შეცნობით არ დაუთმოს თავისი ტერიტორია ისეთ აქტებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოს უფლებებს შეეხება. ეს დებულება 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციის 21-ე პრინციპში აისახა.

1959 წელს ანტარქტიკის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც მხარეებს ამ რეგიონში მშვიდობიანი საქმიანობებისკენ მოუწოდებს და ბირთვული აფეთქებების ან რადიოაქტიური ნარჩენების განთავსებას კრძალავს. ასევე, მისი მოქმედების განმავლობაში აიკრძალა პრეტენზიები სახელმწიფო სუვერენიტეტზე,⁵³ რაც იმას ნიშნავს, რომ ვიდრე ხელშეკრულება

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე, 29.

⁵³ იქვე.

ძალაშია, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ განაცხადებს პრეტენზიას ანტარქტიკის გარკვეული ან მთელი ტერიტორიის სუვერენიტეტზე. ამასთან, ანტარქტიკის ხელშეკრულებას მოქმედების ვადა არ აქვს, ის უვადო ხელშეკრულებაა.

1957 წელს ტაა ლენოს (Lac Lanoux) საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დანაწილებული მდინარეების გამოყენებაში სახელმწიფოს⁵⁴ უფლების შეზღუდვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრინციპი აღიარა.

1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციამდე რამდენიმე ხნით ადრე, ოსლოს კონვენცია გახდა პირველი ხელშეკრულება, რამაც ზღვაში მთელი რიგი მავნე ნივთიერებების ჩამარხვა აკრძალა. ამავე პერიოდში მიიღეს ხელშეკრულებები, რომლებიც მდინარეებისა და საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის ძალისხმევით, შრომითი გარემოს დამცავადაც მოიაზრება.⁵⁵

უმნიშვნელოვანესი კონფერენცია, ადამიანის გარემოს შესახებ, სტოკჰოლმში, 1972 წლის 5-16 ივნისს, კანადელი მაურის სთრონგის თავმჯდომარეობით გაიმართა. მასში 114 სახელმწიფო, მრავალი საერთაშორისო უწყება და დამკვირვებელი მონაწილეობდა. კონფერენციამ მიიღო სამი არასავალდებულო აქტი, ე.წ. რბილი სამართლის წყარო:

1. რეზოლუცია ინსტიტუციური და ფინანსური ღონისძიებების შესახებ;
2. 26 პრინციპისგან შემდგარი დეკლარაცია, სახელწოდებით „სტოკჰოლმის დეკლარაცია ადამიანის გარემოს შესახებ“ (შემდგომ ტექსტში - „სტოკჰოლმის დეკლარაცია“);

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე.

3. მოქმედების გეგმა, რომელიც 109 რეკომენდაციას მოიცავდა.⁵⁶

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები სავალდებულო არ არის, კონფერენცია ინოვაციის მნიშვნელოვან ელემენტებსა და საერთაშორისო საკითხების ხელახალ განმარტებას მოიცავდა, ასევე, თანამშრომლობისთვის რაციონალური და წარმატებული იყო. კონფერენციაზე საერთაშორისო პასუხისმგებლობისადმი მიდგომა გამოვლინდა და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთმიმართების კონცეპტუალიზაცია მოხდა.

მესამე პერიოდი - 1972 წლის სტოკჰოლმიდან 1992 წლის რიო დე ჟანეირომდე.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNEP) შექმნა და 21-ე პრინციპის მიღება სტოკჰოლმის კონფერენციის ყველაზე დიდი მიღწევა იყო.⁵⁷ UNEP-ს 30-მდე რეგიონულ ხელშეკრულების ჩათვლით, რეგიონულ ზღვების პროგრამის შექმნასა და შესრულებაზე, ასევე, ოზონის ამონურვის, ბიომრავალფეროვნებისა და მავნე ნარჩენებით ვაჭრობის მნიშვნელოვან გლობალურ ხელშეკრულებებზე დაეკისრა პასუხისმგებლობა. სტოკჰოლმის კონფერენციიდან უახლოეს პერიოდში, UNEP-ის მიღმა, გაეროში კიდევ მრავალი გლობალური ხელშეკრულება მიიღეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის 1982 წლის გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS). კონვენციამ ზღვის გარემოს და მისი ცოცხალი რესურსების დაცვაზე გლობალური ნორმების მისაღებად სრულყოფილი

⁵⁶ იქვე, 32.

⁵⁷ იქვე, 34.

ფარგლები დაადგინა. UNCLOS გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ტექნოლოგიების გადაცემისა და პასუხისმგებლობების შესახებ დეტალურ და მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ღონისძიებებსა და დებულებებს მოიცავს.

სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ ევროკავშირმა გარემოსდაცვითი ნორმები შეიმუშავა,⁵⁸ ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) გარემოს კომიტეტი შეიქმნა. ასევე, დაიდო ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც მიგრირებადი სახეობების დაცვას ეხებოდა, ამ პერიოდის ბოლოს კი გაეროს ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციები, პრაქტიკულად, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის სფეროს საკითხებზე საქმიანობდნენ. 1971 წელს, ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების, GATT-ის საფუძველზე, გარემოს ღონისძიებებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ჯგუფი შეიქმნა, რომელიც 1991 წლამდე ვერ შეიკრიბა, თუმცა აქტიურად დაკავდა გარემოს საკითხებით. ამასთან, 1990 წელს მიღებული მუხლებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაარსდა.

1991 წელს მსოფლიო ბანკმა, გაეროს გარემოს პროგრამამ (UNEP) და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) შექმნეს გლობალური პროექტების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც სარგებელს მოუტანდა გლობალურ მემკვიდრეობას (global commons). ამასობაში GATT-ის უმოქმედო ჯგუფიც გააქტიურდა.⁵⁹

საერთაშორისო სამართლის კომისიამ⁶⁰ დაასრულა საე-

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე., 35

⁶⁰ ეს არის საერთაშორისო ინსტიტუცია, რომელიც დაარსდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ასამბლეის მანდატის შესასრულებლად

რთაშორისო წყალმდინარეების არასანაოსნო სამართლის მუხლების პროექტის პირველი მოხმენა. გაეროს გენერალურ-მა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დრიფტერული ქსელების გამოყენება აიკრძალა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ ორგანომ მსოფლიო სტანდარტის დამდგენი ნორმატიული აქტი მიიღო. ამავე პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული აქტების ზეგავლენა გაძლიერდა. სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მრავალი არასავალდებულო ინსტრუმენტი დაადგინეს. ამათგან შემდგომ პროცესებზე ზეგავლენა იქონია:

1. 1978 წლის გაეროს განვითარების პროგრამის პრინციპების პროექტმა;⁶¹
2. 1981 წლის მონტევიდეოს პროგრამამ;
3. 1982 წლის ბუნების დაცვის მსოფლიო ქარტიამ.

არასამთავრობოების ძალისხმევა უკავშირდებოდა ბუნების შენარჩუნების საერთაშორისო კავშირს (IUCN), გაეროს გარემოს პროგრამასა და ბუნების მსოფლიო ფონდს შორის თანამშრომლობას, რასაც შედეგად მოჰყვა 1980 წლის მსოფლიოს შენარჩუნების სტრატეგია და 1991 წლის დოკუმენტი, სახელწოდებით „დედამიწის მოვლა: სტრატეგია მდგრადი სიცოცხლისათვის.“⁶²

1947 წელს, გაეროს წესდების 13(1)(a) მუხლის საფუძველზე: „საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი კოდიფიკაციისათვის... ...კვლევების ინიცირებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით.“

⁶¹ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 36.

⁶² Caring for the Earth: A Strategy for Sustainable Living, Published in Partnership by IUCN, UNEP, WWF, Gland, Switzerland, October 1991.

მეოთხე პერიოდი - ინტეგრაციის პერიოდი 1992 წლის რიო დე ჟანეიროდან დღემდე.

1987 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბრანტლენდის მოხსენება მოისმინა და მომდევნო წლისთვის გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენცია მოიწვია. 1989 წლის დეკემბერში, გენერალური ასამბლეის N44/228 რეზოლუციით დადგინდა, რომ ეს კონფერენცია 1992 წლის ივნისში, ბრაზილიაში გაიმართებოდა. კონფერენციის მიზანი იყო სტრატეგიებისა და ღონისძიებების შემუშავება გარემოს დეგრადაციისა და მასზე მავნე ზიანის შესაჩერებლად. კონფერენცია, ასევე, ყველა ქვეყანაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევის გაჯანსაღებას შეეხებოდა.

გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარების შესახებ (UNCED) მართლაც ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში, 1992 წლის 3-14 ივნისს გაიმართა. მას 176 სახელმწიფო, 50-ზე მეტი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია და რამოდენიმე ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრებოდა. კონფერენციაზე სამი არასავალდებულო ხასიათის აქტი მიიღეს:

1. რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ;
2. ყველა ტიპის ტყეების მენეჯმენტის, კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების შესახებ გლობალური კონსენსუსის ავტორიტეტული პრინციპები;
3. 21-ე დღის წესრიგი.

ასევე, ორი საერთაშორისო ხელშეკრულების, ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის ხელმოწერა დაიწყო.

საერთაშორისო სამართალში UNCED-ის წვლილი დროთა განმავლობაში გამოვლინდება: შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია და დადგინდა ახალი თემატური სივრცე, რომელიც ცნობილია, როგორც „მდგრადი განვითარების საერთაშორისო სამართალი“ (მის მნიშვნელოვან ნაწილს გარემოს საერთაშორისო სამართალი შეადგენს).⁶³

რიოს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების დამტკიცება გარემოს სამართალს ნორმებისა და სტანდარტების ავტონომიური დარგის სტატუსს ანიჭებს, რომლის მიზანია, გარკვეული ეკონომიკური საქმიანობებით გამოწვეული დამანგრეველი ეფექტი გარემოს თავიდან ააცილოს. ეს კონფერენცია გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის წონასწორობის დაცვას შეეხებოდა. ალბათ, ამიტომაც რიოს დეკლარაცია განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის კომპრომისების სერიას მოიცავს და იცავს ბალანსს გარემოს დაცვის მიზნებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. დეკლარაცია 27 პრინციპისგან შედგება, რის საფუძველზეც, 27-ე პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებმა და მოსახლეობამ უნდა ითანამშრომლონ და საერთაშორისო სამართალი მდგრადი განვითარების სფეროში განავითარონ. მიუხედავად იმისა, რომ რიოს დეკლარაცია არასავალდებულოა, ზოგიერთი დებულება ჩვეულებით სამართალს, ან ახლადწარმოშობილ ნორმებს ასახავს, ზოგიც მომავალ სამართლებრივ განვითარებებს უხელმძღვანელობას. დეკლარაცია „მდგრადი განვითარების“ განმარტებისა და გამოყენების საფუძველია. მისი მიზანია, მიაღწიოს ბალანსს გარემოსა და განვითარებას შო-

⁶³ Principle 27th of Rio Declaration.

რის. განვითარებადი სახელმწიფოების დაჟინებული მოთხოვნით, დეკლარაციამ დაკარგა თავისი პირვანდელი სახელწოდება, „დედამიწის ქარტია“ და გარკვეულწილად, ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციას ან უნივერსალურ შეთანხმებას დაემსგავსა, როგორც ის ბრანტლენდმა მოიხსენია.

რიოს დეკლარაციის 1 პრინციპი გარემოსა და განვითარების საკითხების მიმართ ანთროპოცენტრულ მიდგომას გულისხმობს. მასში ნათქვამია, რომ ადამიანები „მდგრადი განვითარების“ მთავარი საზრუნავი არიან და მათ „ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება ბუნებასთან ჰარმონიაში აქვთ.“ ამით აღიარებულია, რომ ადამიანს სუფთა და ჯანმრთელ გარემოზე აქვს უფლება. ამ დეკლარაციამ სტოკჰოლმის 21-ე პრინციპი უფრო განამტკიცა და მას „განვითარების“ ცნება დაამატა. ეს დამატება 176-მა სახელმწიფომ კონსენსუსით მიიღო და აშკარად ცვლის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას, რომელიც სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპის საფუძველი იყო: იზრდება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ეროვნული განვითარებისა და გარემოს ეროვნული პოლიტიკის წარმართვის დროს.

რიოს მე-3 პრინციპი აღიარებს, რომ განვითარების უფლებით თანაბრად უნდა დაკმაყოფილდეს გარემოზე ამჟამინდელი და მომავალი თაობის მოთხოვნილებები. ეს პრინციპი არის განვითარებადი სახელმწიფოებისა და ჯგუფ 77-ის გამარჯვება, რადგან „განვითარების უფლების“ ცნება საერთაშორისო ინსტრუმენტებში კონსენსუსით პირველად განამტკიცეს. ამ უფლების ბუნება და ფარგლები არის ღია, რადგან ჯერ გაურკვეველია, თუ ვის ეკუთვნის ეს უფლება, სახელმწიფოებს, მოსახლეობას თუ ინდივიდებს.

რიოს მე-4 პრინციპით, გარემოს საკითხები და მიზნები საერთაშორისო ურთიერთობებიდან ეკონომიკური ბირთვისკენ არის მიმართული, ხოლო თავისი მე-7 პრინციპით დეკლარაცია სახელმწიფოთა „საერთო, მაგრამ დიფერენციალურ პასუხისმგებლობას“ აღიარებს.

„წინდახედული მიდგომა“⁶⁴ ასახულია რიოს დეკლარაციის მე-16 პრინციპში. დეკლარაციის სხვა საკითხები გარემოს დაცვასა და თავისუფალი ვაჭრობის ვალდებულებებს შორის ურთიერთკავშირს მოიცავს. იგი ხელს უწყობს შესაბამის დემოგრაფიულ პოლიტიკასა და ქალთა სრულყოფილ ჩართულობას.⁶⁵

დეკლარაციის დებულებათა პაკეტი სტოკჰოლმის დეკლარაციაზე მეტად სპეციფიურია და მისი წვლილი ჩვეულებითი სამართლის ნორმების განვითარებაში დროთა განმავლობაში უფრო შესამჩნევი გახდება. ამ დებულებების უმეტესობა ხელშეკრულებებსა და სხვა საერთაშორისო აქტებში, ასევე, მრავალი სახელმწიფოს შიდა პრაქტიკაში უკვე აისახა.

რიოს კონფერენციაზე მიღებული მეორე მნიშვნელოვანი, არასავალდებულო დოკუმენტი არის „დღის წესრიგი 21“, რომელიც პრეამბულისა და ოთხი ნაწილისგან შედგება. ის, სხვასთან ერთად, მოიცავს შემდეგ საკითხებს: ატმოსფეროს დაცვა. მიწის რესურსების დაგეგმარება და მართვა, გაუტყურობა, მთის მდგრადი განვითარება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ბიოტექნოლოგიების მენეჯმენტი, ოკეანეების, ზღვებისა და სანაპირო ზონების დაცვა, მათი ცოცხალი რესურსების დაცვა და განვითარება, მტკნარი წყლის ხარისხისა და

⁶⁴ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 44.

⁶⁵ Principle 20th of Rio Declaration.

მინოდების დაცვა, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების მენეჯმენტი, მომნამლავი ნარჩენების მენეჯმენტი, რადიოაქტიური ნარჩენების მენეჯმენტი და სხვა.

რიოს კონფერენციის შემდეგ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ხუთი მომდევნო რეზოლუცია მიიღო, რის საფუძველზეც გვალვისა და გაუდაბნოების კონვენციის მოლაპარაკებების კომიტეტი შექმნა. ასევე, ასამბლეამ პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოების მდგრადი განვითარების შესახებ გლობალური კონფერენცია მოიწვია. ამავე პერიოდში რამდენიმე ახალი დოკუმენტი მიიღეს და სხვა დოკუმენტებზე დაწყებული მოლაპარაკებები გააგრძელეს. ასევე, საყურადღებოა მონტევიდეოს გარემოს სამართლის პროგრამის გადასინჯვა.

1993 წლის ივლისში საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად გადაეცა უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის დავა მდინარე დუნაის გაბჩიკოვოს კაშხლის შესახებ.

ევროპის საბჭომ მიიღო კონვენცია გარემოს დაზიანებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ,⁶⁶ რომლის პროცედურულ, მათ შორის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული სასამართლო დაცვის საკითხებს რიოს დეკლარაციის რეკომენდაციები დაუკავშირეს.

1997 წლის მაისში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ტრანსსასაზღვრო წყალმდინარეების არასანაოსნო გამოყენების შესახებ.⁶⁷ თუმცა მის ამოქმედებას 17

⁶⁶ Convention on Civil Liability for Damage Resulting from Activities Dangerous to the Environment. European Treaty Series - No. 150 Lugano, 21.VI.1993.

⁶⁷ United Nations Convention on the Law of the Non-navigational Uses of International Watercourses of May 21, 1997. Entered into force on 17 August 2014. See General Assembly resolution 51/229, annex, Official Records of the General Assembly, Fifty-first Session, Supplement No. 49 (A/51/49).

წელი დასჭირდა, რადგან სახელმწიფოები დანაწილებული მდინარეების რესურსებზე რაიმე ვალდებულებების აღებისგან თავს იკავებდნენ. ამის მაგალითი უფრო განვითარებადი სახელმწიფოები არიან. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოწვევა არასანაოსნო მდინარეებზე კაშხლების მშენებლობაა, რაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს მოდიფიკაციის პრობლემას იწვევს. საკითხი მწვავედ დგას როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ორმხრივ დონეზეც. ამავე პერიოდში მიიღეს ტრანსსასაზღვრო წყალშემცველ ფენებზე მუხლების პროექტიც. ამ თემას ვრცლად და დეტალურად განიხილავს ჩემი პუბლიკაცია, რომელშიც მოცემულია ამ მუხლების პროექტის ანალიზი და მისი შედარება 1997 წლის კონვენციასთან.⁶⁸

2002 წლის სექტემბერში, იოჰანესბურგში რიოს კონფერენციის ათი წლის იუბილის აღსანიშნავად, მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი გაიმართა. მასზე რაიმე კონვენცია ან პრინციპი არ მიუღიათ და უფრო სიღარიბის აღმოფხვრაზე იყო ფოკუსირებული. მდგრადი განვითარების იოჰანესბურგის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ გლობალური გარემო კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. სამიტის იმპლემენტაციის გეგმა ზოგადი კომენტარების გრძელ ნუსხასა და გასათარებელი სპეციფიკური მოქმედებების მოკლე ჩამონათვალს მოიცავს.

საერთაშორისო სამართლებრივი განვითარებების სამომავლო სასარგებლო ინდიკატორები, მონტევიდეოს პროგრამაში არის ასახული, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამა-

⁶⁸ ვრცლად იხ. ჩინჩალაძე ნ., ტრანსსასაზღვრო წყალშემცველების მუხლების პროექტის ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი,“ N2(41), 2014, 146.

მის მმართველმა საბჭომ 2009 წლის თებერვალში მიიღო, 2015 წელს კი გადახედა.

2010 წლის 31 მაისიდან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ანტარქტიკის ცნობილი პრეცედენტის განიხილვა დაიწყო, რომლის მოდავე მხარე, იაპონიის წინააღმდეგ, ავსტრალია იყო, ხოლო რეგისტრარში სპეციალური განაცხადის შევსებით, საქმეში ახალი ზეღანდიაც ჩაერთო. ამ საქმეზე განჩინება სასამართლომ 2014 წლის 31 მარტს გამოიტანა.⁶⁹

ეს დავა სახელმძღვანელოს მე-6 თავში არის აღწერილი და მასში კარგად ჩანს, რამდენად ფრთხილია საერთაშორისო სასამართლო ამ რეგიონის ნორმების დარღვევის გამოვლენაში.

ამავე პერიოდში გამოიკვეთა ცნობილი მეცნიერების შეფასება, რომ „მოსამართლეები და მეცნიერები ახდენენ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტირებას, როგორც მავალეებელს სახელმწიფოებისთვის, აღკვეთონ კლიმატის ცვლილება თავიანთი სითბური აირების გავრცელების შეზღუდვის გზით. ეს არგუმენტი არსებითია კლიმატის დაცვის განვითარებისთვის“.⁷⁰

2021 წლის 9 ივლისს აზია-წყნარი ოკეანის სახელმწიფოების კლიმატის კვირეულის (APCW) ონლაინ-თემატური სესიები გაიხსნა, რომელიც კოვიდპანდემიის მსოფლიოში კლიმატის ცვლილების საკითხებს მიეძღვნა. მას იაპონიის მთავრობა მასპინძლობდა. ონლაინ სესიებში 2 800-ზე მეტი ორგანიზაცია

⁶⁹ Whaling in the Antarctic (Australia v. Japan: New Zealand intervening) 2010., 148. იხ. სახელმძღვანელოს მე-6 თავი.

⁷⁰ Mayer B., Climate Change Mitigation as an Obligation Under Human Rights Treaties? The American Journal of International Law Vol. 115:3, 2021, 409.

და ინდივიდი, მათ შორის იაპონიის გარემოს დაცვის უწყების ხელმძღვანელი, კეიკო სეგევა მონაწილეობდა. ცნობილია, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი სითბური აირების მსოფლიო მოცულობის ნახევარზე მეტს ავრცელებს. ეს მსოფლიოს ყველაზე სწრაფად განვითარებადი და გლობალური მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილის მქონე რეგიონებია. ამდენად, ივლისის ონლაინ კვირეულზე გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენცია **COP26** გლაზგოში, 2021 წლის ნოემბრისთვის დაიგეგმა. ამასთან, 2021 სექტემბერში აფრიკის კლიმატის კვირეული, ოქტომბერში კი მაღალი დონის შეხვედრა დაიგეგმა. სესიაზე გაეროს გარემოს პროგრამის აზია-წყნარი ოკეანის განყოფილების დირექტორმა, დეჩენ ცერინგმა განაცხადა: „ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელმაც კლიმატის კოლაფსი, ბიომრავალფეროვნების მასობრივი დანაკარგი უნდა შეაჩეროს და გაუმკლავდეს დაბინძურების გამომწვევას.“⁷¹ ეს მოქმედებები ცხადყოფს, რომ ინტეგრაციის პერიოდში მთავარ გამოწვევად დეკარბონიზაცია ანუ სითბურ ეფექტთან სამართლებრივი და პრაქტიკული ბრძოლა რჩება.

2021 წლის გლაზგოს კლიმატის დაცვის კონფერენციის შედეგად, შეერთებული შტატები დაბრუნდა პარიზის შეთანხმებაში, ამ იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რომელსაც 196 მხარე სახელმწიფო ჰყავს. იქ მსოფლიოს 200-მდე სახელმწიფო იყო წარმოდგენილი და, მათ შორის, საქართველოც. გაეროს კლიმატის ცვლილების აღმასრულებელმა მდივანმა პატრიცია ესპონიზამ გამოყო გლაზგოს

⁷¹ Asia-Pacific Climate Week 2021 Sends Strong Signal to COP26, Un Climate Press Release, 09 Jul, 2021. იხ. <https://unfccc.int/news/asia-pacific-climate-week-2021-sends-strong-signal-to-cop26>

შემდეგი ოთხი მთავარი მიღწევა: პირველი, - კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია, რაც დღეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ემისიების შემცირება; მეორე, - ფინანსირების კრიტიკულ საკითხებზე მთავრობები შეთანხმდნენ, რომ განვითარებად სახელმწიფოებს უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ; მესამე, - ემისიების კლების გადაუდებელი საკითხი, მთავრობებმა განიხილეს მოქმედებათა ზრდის გზები ემისიათა ხვრელის ამოსავსებად; მეოთხე, - გაიდლაინების დასრულება პარიზის შეთანხმების სრულად იმპლემენტაციისათვის (კოპრომისი მიღწეულია მე-6 მუხლთან მიმართებით).⁷²

⁷² იხ. <https://unfccc.int/news/4-key-achievements-of-cop26>

III თავი.

საერთაშორისო სამართალწარმოება და რეგულირება

საერთაშორისო სამართალი არის დარგი, რომელიც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობისთვის იურიდიულად სავალდებულო ნორმებს მოიცავს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38(1) მუხლით, ეს ნორმები მომდინარეობს ოთხი წყაროდან: ხელშეკრულებები, საერთაშორისო ჩვეულება, სამართლის ძირითადი პრინციპები და დამხმარე წყაროები, როგორც არის სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებები, ასევე, იურისტებისა და იურისტთა ჯგუფების შრომები. საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) მიერ მომზადებულ 1989 წლის ჩამონათვალში გარემოს საერთაშორისო სამართლის წყაროები უფრო დაწვრილებით არის ასახული.

საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმები პირდაპირ განაგებს ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის. საყოველთაოდ მიღებულია, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ერთადერთი შემსრულებლები არ არიან. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმები წარმოშობს ვალდებულებებს საერთაშორისო საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც, კერძოდ, ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, ხოლო უფრო შეზღუდულად - არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის ინდივიდებისა და კორპორაციებისთვის.

საერთაშორისო სამართლის ტრადიციული წყაროები, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებთან ერთად (რბილი და

მყარი სამართლის ჩათვლით), მთელი რიგი საერთაშორისო ვალდებულებების სათავეა. ეს ვალდებულებები, პირდაპირ ან ირიბად, გარემოს დაცვას შეეხება და ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს გარეშე არის წარმოშობილი. საერთაშორისო სამართლის ნორმათშემოქმედებითი ფუნქცია დეცენტრალიზებული და ფრაგმენტულია. შესაბამისად, გარემოს საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები ორმხრივი და მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობების კომპლექსურ ქსელს მოიცავს.

1992 წელს, რიოში, გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა გარემოსა და განვითარების სფეროში არსებული საერთაშორისო სამართალწარმოების პროცესის შეზღუდვებზე.

დომინირებს ინსტიტუციური და პროცედურული ხასიათის სამი სახის შეზღუდვა:

1. კრიტიკული საკითხებისა და საკანონმდებლო პრიორიტეტების იდენტიფიცირების მექანიზმების განმტკიცება;
2. იმის დადგენა, რომ ყველა აქტორი (განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოები) მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში, გარემოზე საერთაშორისო შეთანხმებების მოლაპარაკებებში, იმპლემენტაციაში, გადასინჯვასა და მართვაში;
3. საერთაშორისო, მათ შორის გარემოს შეთანხმებებით შექმნილ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციით სამართალწარმოების პროცესის რაციონალიზება.⁷³

⁷³ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 95.

1. ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო აქტები

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში კოდიფიცირებულია ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც მოიცავს 1969 წლის ვენის კონვენცია „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ და იმავე ვენის 1986 წლის „კონვენცია სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებების სამართლის შესახებ“.⁷⁴ 1969 წლის ვენის კონვენციის უმეტესი ნაწილი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ასახავს, ასევე, ქმნის საფუძველს სახელშეკრულებო სამართლებრივი საკითხებისთვის. გარემოს ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს გარკვეული სამართლებრივი საკითხები:

- ა) ხელშეკრულების მოქმედება მესამე ანუ არამხარეზე;
- ბ) ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტაციასთან სათანადო მიდგომა;
- გ) ორ ან რამდენიმე ხელშეკრულებას შორის კონფლიქტის შედეგები;
- დ) დათქმებისა და საინტერპრეტაციო დეკლარაციების იურიდიული ეფექტი;
- ე) არარატიფიცირებული ხელშეკრულებების იურიდიული ეფექტი.

ნორმები, რომლებიც ხელშეკრულებათა ინტერპრეტაციას შეეხება, გაწერილია 1969 წლის ვენის კონვენციის 31-ე და 32-ე

⁷⁴ 1986 Convention on the Law of Treaties Between States and International Organisations.

მუხლებში. 31-ე მუხლი ადგენს პირდაპირ ნორმას, რომ ხელშეკრულება უნდა იქნეს ინტერპრეტირებული „კეთილსინდისიერად, მისი დანიშნულების მიხედვით, კონტექსტის შესაბამისად, მისი მიღების ობიექტისა და მიზნის შუქზე.“ 32-ე მუხლი იძლევა რაკურსის შესაძლებლობას, ინტერპრეტაციის დამხმარე საშუალებებისთვის, რასაც უკვე დადგენილი შინაარსის დასამოწმებლად იყენებენ.

გარემოს დაცვის ხელშეკრულებები (რომლებიც, ასევე, მოიხსენიება, როგორც კონვენციები, შეთანხმებები და ოქმები) არის საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების პირდაპირი წყარო. ხელშეკრულება შეიძლება მიიღონ ორმხრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ხელშეკრულება განიმარტება, როგორც „საერთაშორისო შეთანხმება, მიღწეული სახელმწიფოებს შორის წერილობითი ფორმით და მართული საერთაშორისო სამართლით, ან ასახული ერთ, ორ ან მეტ ინსტრუმენტში, მისი კონკრეტული დანიშნულების მიხედვით.“ ამ დეფინიციის ბირთვში ჩადებულია იდეა, რომ ხელშეკრულება მხარეებისთვის საერთაშორისო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს. არის თუ არა ამ ინსტრუმენტის მოწოდება ასეთი სავალდებულო მოვალეობების შექმნა, ეს მისი მიღების მახასიათებლებიდან და გარემოებებიდან ხდება ნათელი. 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაცია, 1987 წლის UNEP-ის პრინციპების პროექტი, 1982 წლის ბუნების მსოფლიო ქარტია, 1992 წლის რიოს დეკლარაცია და 2002 წლის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის იმპლემენტაციის გეგმა არ წარმოშობენ სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს

არ არის ხელშეკრულებები, რაც მაინც არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ასახავდნენ ან ხელს უწყობდნენ ასეთი ნორმების განვითარებას არასახელშეკრულებო სამართლის გზით.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთია ნორმების არსებობა და მეორე - მათი აღსრულება. ნორმების აღსრულება ნიშნავს მათ განხორციელებას, რაც გულისხმობს ვალდებული პირის დარწმუნებას და საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. თუმცა საერთაშორისო სამართლის აღსრულება არ შეიძლება განხორციელდეს ისეთივე საშუალებებით, როგორებიცაა ეს ხდება შიდასახელმწიფოებრივი კანონების შემთხვევაში. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოებას არ გააჩნია აღმასრულებელი ძალა, პოლიცია ან სავალდებულო იურისდიქცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის სფეროში, წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების პრობლემა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან საშუალებები და ტექნიკა, რომლებითაც შეიძლება იქნეს მიღწეული ყოველივე ეს განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. საერთაშორისო სამართლის აღსრულების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია: დარწმუნება, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა, დახმარება და ფინანსური წახალისება, აგრეთვე სრულყოფილი სამართლის ნორმის პროექტების შედგენა და ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში იმ სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის საერთაშორისო სამართლის ნორმის იმპლემენტაციას. ეს პოლიტიკა ბევრად უფრო უზრუნველყოფს საე-

რთაშორისო სამართლის აღსრულებას, ვიდრე იძულებითი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სანქციების გამოყენება.⁷⁵

გარემოს ხელშეკრულებებს იგივე ზოგადი მახასიათებლები აქვთ, რაც სხვა ხელშეკრულებებს. ის „ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ 1969 წლის ვენის კონვენციისა და ჩვეულებითი სამართლის ძირითადი ნორმების საგანია. მართალია, კონკრეტული მახასიათებლები მაინც აქვთ, თუმცა სტანდარტული ფორმატი არ შექმნილა. გარემოს რეგიონულ ან გლობალურ პრობლემას **ჩარჩო ხელშეკრულება** აწესრიგებს. ის ადგენს ძირითად ვალდებულებებს, ქმნის მთავარ ინსტიტუციურ ღონისძიებებსა და შესაბამის ოქმში დეტალური ვალდებულებების დადგენის პროცედურებს ასახავს. ჩარჩო შეთანხმებას ან ოქმს შეიძლება ჰქონდეს დანართები, რაც მოიცავს სამეცნიერო, ტექნიკურ ან ადმინისტრაციულ დებულებებს (როგორც არის დავების მოგვარება ან ინფორმაციის გაცვლა). ასევე, შეიძლება, მოიცავდეს სახეობების, ნივთიერებათა ან საქმიანობების ჩამონათვალს, რომელსაც ის არეგულირებს. მოიცავდეს, ასევე, მხარეებს, რომლებზეც ერთი ან ორი არსებითი ვალდებულება ვრცელდება. სამნაწილიანი მიდგომა (ჩარჩო შეთანხმება, ოქმი, დანართი/დამატება) მოქნილია და პოლიტიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური განვითარებების შესაბამისად, სამართლებრივი შესწორებების ან სხვა ცვლილებების საშუალებას იძლევა.

UNEP-ის რეგისტრარი და ECOLEX-ის ხელშეკრულებათა ჩამონათვალი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, ისევე,

⁷⁵ მ. ბითაძე საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 69.

როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ არ შეეხება გარემოს საკითხებს, მაგრამ გარემოზე ვალდებულებებს ადგენს. მაგალითად, ვაჭრობისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური შეთანხმებები, როგორც არის GATT (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება), ასევე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) და რეგიონული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, რითიც მსოფლიო ბანკი და მრავალმხრივი რეგიონული ბანკები დაარსდა. ასეთია 2000 წლის 23 ივნისს ხელმოწერილი კოტონაუს შეთანხმებაც „მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობის შესახებ“; ადამიანის უფლებების შესახებ რეგიონული და საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე, უცხოური ინვესტიციების შესახებ როგორც ორმხრივი, ისე სხვა შეთანხმებები.

ხელშეკრულების მიღების პროცესი

გარემოს ხელშეკრულების მიღებამდე და ძალაში შესვლამდე გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რასაც დრო სჭირდება. სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, საერთაშორისოდ დასაკანონებელი გარემოს საკითხისთვის, განსაზღვრავს ფორუმს ან ინსტიტუციას, რომელიც საკანონმდებლო ფორუმი უნდა გახდეს. თუ სუბიექტი უკვე მოცულია ჩარჩო ხელშეკრულებით, ახალი სამართლებრივი ვალდებულება აისახება ოქმში ან არსებული ოქმის შესწორებებში. ასეთ შემთხვევებში შესაბამისი ფორუმი შეიძლება, იყოს მხარეთა კონფერენცია ან ექვივალენტური ინსტიტუცია, რომელიც ჩარჩო შეთანხმებით არის დაარსებული. როცა ახალი ხელშეკრულება იდება, დაინტერესებული სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ რომელი ორგანიზაცია ეწევა მოლაპარაკებებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ასეთი გადანაცვლება შეიძლება

ურთიერთგამომირიცხავიც იყოს. ამგვარად, მართალია, 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციაზე მოლაპარაკებები გაეროს გარემოს პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა, განვითარებადმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს, რომ კლიმატის ცვლილების კონვენციაზე გაეროს განვითარების პროგრამა კი არა, გაეროს გენერალური ასამბლეა ყოფილიყო პასუხისმგებელი. ეს განაპირობა იმან, რომ განვითარებადი სახელმწიფოები უფრო კარგად იყვნენ წარმოდგენილი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, ვიდრე გაეროს განვითარების პროგრამაში და მოლაპარაკებებში მონაწილეობა უკეთესად შეეძლოთ. იგივე წარმოდგენების გამო, 1992 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური ასამბლეა ვერ შეთანხმდა, თუ სად უნდა შეკრებილიყო გაეროს მდგრადი განვითარების კომისია: ჟენევაში, ნიუ იორკში, თუ ორივეგან. როცა მოლაპარაკებების ფორუმი შეთანხმებულია, ამ ორგანოს შეუძლია, დაადგინოს მოლაპარაკების პროცესი. ეს შეიძლება, იყოს სამთავრობო ექსპერტების არაფორმალური, **ad hoc** (საგანგებო) ჯგუფი. ასეთი იყო გაეროს გარემოს პროგრამის ხელმძღვანელი საბჭო, რომელიც 1985 წლის ვენის ოზონის კონვენციისათვის შეიქმნა. ასევე, შეიძლება იყოს არაფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურა, როგორც არის კლიმატის ცვლილების კონვენციის სამთავრობათაშორისო მოლაპარაკებების კომიტეტი, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1989 წლის 44/212 რეზოლუციით შეიქმნა.

მოლაპარაკებები შეიძლება დროში ხანგრძლივი ან პირიქით, ხანმოკლე იყოს. მაგალითად, 1985 წლის ვენის ოზონის კონვენციის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 5 წელიწადი, ხოლო „გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ“ 1982 წლის კონ-

ვენციის მოლაპარაკებები 20 წელი გრძელდებოდა. კლიმატის ცვლილების საკითხებზე მოლაპარაკებები დღესაც მიმდინარეობს, რაც მომავალში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის გამონაბოლქვის შემცირების მოთხოვნებსა და სხვა დებულებებს მოიცავს. მეორე მხრივ, „კლიმატის ცვლილების შესახებ“ 1992 წლის კონვენციის მოლაპარაკებები სულ რაღაც 15 თვეში დასრულდა.

როცა ხელშეკრულების ტექსტის პროექტი შეთანხმებულია, მას მიიღებენ და ხელმოწერისთვის ღიად აცხადებენ. შემდეგ ის ძალაში შედის მისი ამოქმედების დებულებების შესაბამისად. ხელშეკრულებებში გარკვევით ჩამოთვლიან იმ გარემოებებს, რა პირობებშიც ისინი ძალაში შევლენ. ეს, უმეტესად, არის გარკვეული რაოდენობის სახელმწიფოების მიერ მისი რატიფიკაცია. გარემოს სამართლის სფეროს გლობალური ხელშეკრულებები **ძალაში შესვლისთვის მცირე რაოდენობის რატიფიკაციას** მოითხოვენ. ზოგჯერ ხელშეკრულების ძალაში შესვლა დამოკიდებულია გარკვეულ სახელმწიფოთა მონაწილეობაზე ან სახელმწიფოებზე, რომლებიც საქმიანობათა გარკვეულ პროცენტს წარმოადგენენ. მაგალითად, „ნავთობით დაბინძურების კომპენსაციის საერთაშორისო ფონდის შექმნის შესახებ“ 1971 წლის საერთაშორისო კონვენციის 1992 წლის კონვენციის ოქმი ძალაში შევიდა უკვე 1996 წლის 30 მაისს იმ 8 სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ, რომლებიც 450 მილიონ ტონა ნავთობს მოიპოვებენ. „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ 1987 წლის მონრეალის ოქმი ძალაში შევიდა იმ 11 სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ, რომლებიც, 1986 წლის მონრეალის ოქმით, კონტროლირებადი ნივთიერებების

გლობალური მოხმარების 2/3-ს შეადგენენ. „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის“ 1997 წლის კიოტოს ოქმი ძალაში შევიდა 55 სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ, იმ განვითარებული სახელმწიფოების ჩათვლით, რომლებიც ნახშირორჟანგის მთლიანი ემისიების 55%-ს გამოყოფენ.

დათქმები⁷⁶

გარემოს თანამედროვე საერთაშორისო შეთანხმებების უმეტესობა დათქმებს არ მოიცავს, ზოგ შემთხვევაში კი დათქმები მხოლოდ ხელშეკრულების დებულებებთან მკაცრ შესაბამისობაში დაიშვება. დათქმების აკრძალვის საერთო ტენდენცია მიზნად ისახავს ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობების გავრცელების არიდებას. გარემოს სფეროში ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს:

1. გარემოს მრავალი ხელშეკრულება არის ჩარჩო შეთანხმება, რომელიც ძირითად სტრუქტურებს და სახელმძღვანელოებს (გაიდლაინებს) ითვალისწინებს და არა სპეციფიურ დებულებებს, რომლებიც ცალკეულ საქმიანობას ან პრაქტიკას შეეხება;
2. როცა ხელშეკრულება შეეხება განსაკუთრებით მგრძობიარე ან ურთიერთგამომრიცხავ საკითხებს, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტერესებს უკავშირდება,

⁷⁶ „საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერისა თუ რატიფიკაციის დროს, სახელმწიფოს განაცხადის უფლება, რომლის მიზანია, შეზღუდოს ზოგიერთი მუხლის მოქმედება ან მათი მოქმედება გარკვეული პირობებით განსაზღვროს.“ ვრცლად იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 78.

შეთანხმებული ტექსტი ხშირად დელიკატური კომპრო-
მისების სერიაა, რასაც საფუძვლად უდევს ერთი ან მეტი
სახელმწიფოსთვის თავის არიდების შესაძლებლობის
მინიჭება.

მოქნილობის საშუალებას თავად ტექსტი უნდა იძლეო-
დეს. დათქმები ან თავის არიდების სხვა ფორმები, როგორც
წესი, დაშვებულია „მეორადი კანონმდებლობის“ მიმართ. ასე-
თი არის გარემოს რომელიმე შეთანხმებით შექმნილი ინსტი-
ტუციის აქტი. კარგი მაგალითია 1983 წელს „ვეშაპის რენვის
საერთაშორისო კონვენციაზე“ ყოფილი სსრკ-ის, ნორვეგიის,
ისლანდიისა და იაპონიის დათქმა, რაც ვეშაპის კომერციული
რენვის მორატორიუმში გამოიხატა. ეს მართლმსაჯულების სა-
ერთაშორისო სასამართლომ ანტარქტიკის პრეცედენტში (ავ-
სტრალია იაპონიის წინააღმდეგ) გამოიყენა.⁷⁷

შესწორება⁷⁸

გარემოს თითქმის ყველა ხელშეკრულებაში დევს მკაფიო
დებულება შესწორების ფორმალური პროცესისთვის. ეს არის
მხარეებს შორის მომავალი ხელშეკრულების მიღება. არა-
ფორმალური შესწორება შესაძლოა სიტყვიერი ან მხარეთა
მდუმარე თანხმობით მიიღონ, ან იყოს იმ ორგანოთა გადა-
წყვეტილება ან აქტი, რომელიც de facto შესწორების ხელშეკ-

⁷⁷ International Court of Justice, Reports of Judgments, Advisory Opinions and Orders, Whaling in the Antarctic, (Australia v. Japan: New Zealand Intervening) Judgment of 31 March 2014, 148.

⁷⁸ „ხელშეკრულების ტექსტში ცვლილების შეტანა მისი მიღების შემდეგ.“
ვრცლად იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-
ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 385.

რულებების საფუძველზე შეიქმნა. 1985 წლის ვენის კონვენცია და 1987 წლის მონრეალის ოქმი შესწორების ახალ მეთოდს ასახავს, რასაც ფართოდ იყენებენ. 1985 წლის ვენის კონვენცია არის ჩარჩო ხელშეკრულება ოქმის ორი დანართითა და დებულებით. 1987 წლის მონრეალის ოქმი შესწორდა და გადაისინჯა 1990, 1992, 1997 და 2007 წლებში.

სხვა საერთაშორისო აქტები

სხვა სახის საერთაშორისო აქტები შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციის ან გარემოს ხელშეკრულების მხარეთა კონფერენციის სავალდებულო გადაწყვეტილება, რეზოლუცია, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული აქტები, რომლებიც სახელმწიფოთა დეკლარაციების, მემორანდუმის ან „სამოქმედო გეგმის“ ფორმით სავალდებულო ან არ არის სავალდებულო. მართალია, არასავალდებულო აქტებს „რბილ სამართალს“ უწოდებენ, მაგრამ ისინი ჩვეულებითი სამართლის განვითარებას ხელს უწყობენ ან მივყავართ სავალდებულო ნორმების მიღებამდე, ხელშეკრულებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის აქტის სახით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის 1992 წლის რიოს დეკლარაცია, რომელიც გარემოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს ავითარებს. მას საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები ხშირად იყენებენ. ასევე, მნიშვნელოვანია მინისტრების მესამე დეკლარაცია „ჩრდილოეთის ზღვის შესახებ“ (1990 წ). მისი ელემენტები შედის იმ კომისიების რეზოლიციებში, რომლებიც „გემებისა და საფრენი აპარატებისაგან ჩამარხვით ზღვის დაბინძურების პრევენციის შესახებ“ ოსლოს 1972 წლისა და „ხმელეთიდან მომდინარე წყაროებით ზღვის გარემოს და-

ბინძურების პრევენციის შესახებ“ პარიზის 1974 წლის კონვენციებით შეიქმნა და დღეს „ჩრდილოაღმოსავლეთ ატლანტიკის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ“ (OSPAR) 1992 წლის კონვენციაში არის ასახული.

2. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი⁷⁹

ჩვეულებით ნორმებს გარემოს საერთაშორისო სამართალში მეორე ადგილი უკავია. ჩვეულება წარმოშობს ვალდებულებებს ყველა სახელმწიფოსთვის (ან ერთი რეგიონის ყველა სახელმწიფოსთვის), იმათ გარდა, რომლებიც „დაჟინებით უარყოფდნენ“ პრაქტიკას და მის სამართლებრივ შედეგებს.⁸⁰ ჩვეულებითი ნორმა შესაძლოა, კონვენციის ნორმასთან ერთად მოქმედებდეს, ასევე, იძლეოდეს ინფორმაციას კონვენციური ნორმის შინაარსისა და ეფექტის შესახებ და დავის მოგვარების მიზნით, განსხვავებული მოქმედების საბაბს წარმოშობდეს. ჩვეულებითი ნორმის არსებობა შესაძლოა, ძნელი დასამტკიცებელი გახდეს.

„დიდი დავაა იმაზე, თუ რა ადგენს „ნორმებს“ ან „პრინციპებს“ გარემოს სამართლის სფეროში; რა არის „რბილი სამართალი“ და გარემოს რომელი ხელშეკრულების ნორმა ან პრინციპი უწყობს ხელს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის განვითარებას,⁸¹ - ეს აღიარებითი განცხადება Iron Rhine-ის

⁷⁹ იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 288.

⁸⁰ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 116.

⁸¹ ვრცლად იხ. Award in the Arbitration regarding the Iron Rhine (“Ijzeren Rijn”)

(ბელგია v. ნიდერლანდები) საარბიტრაჟო ტრიბუნალს ეკუთვნის. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის არსებობა მოითხოვს შესატყვის სახელმწიფოთა პრაქტიკას, რომელიც იშვიათად გვთავაზობს რომელიმე კონკრეტული ნორმის კონტექსტისა თუ შინაარსის მქონე მკაფიო ხელმძღვანელობას. ამის მიუხედავად, ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფოთა პრაქტიკისგან მომდინარეობს და მისგან არის მართული. მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა საერთაშორისო მოქმედება, საერთაშორისო ორგანიზაციების არასავალდებულო აქტები, სამთავრობათაშორისო განცხადებები და დეკლარაციები. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38(1) მუხლი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ორ ელემენტს ადგენს: სახელმწიფოთა პრაქტიკასა და კანონის, სამართლის აზრს (Opinio Juris).

სახელმწიფოთა პრაქტიკა

სახელმწიფოთა პრაქტიკა შესაძლოა, სხვადასხვა წყაროსგან წარმოიშვას. ესენია: ხელშეკრულებათა რატიფიკაცია; ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებსა და სხვა საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა; ეროვნული კანონმდებლობა; ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები; გაეროს გენერალურ ასამბლეასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში ხმის მიცემა ან სხვა აქტი; მინისტრებისა და სხვა სამთავრობო და დიპლომატიური წარმომადგენლების განცხადებები; ფორმალური დიპლომატიური შენიშვნები; სა-

Railway between the Kingdom of Belgium and the Kingdom of the Netherlands, Part II, Reports of International Arbitral Awards, Volume XXVII, United Nations, 2008, 58, 66.

მთავრობო იურისტების სამართლებრივი მოსაზრებები. სახელმწიფოთა პრაქტიკის მტკიცებულებას ჩამოთვლილი წყაროების მოსამზადებელი მასალებიც ქმნის. მისი სხვა წყაროებია: სახელმწიფოთა სასამართლო განხილვები ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებზე; საპარლამენტო დებატები; დიპლომატიური მასალების კრებულები; საერთაშორისო კონფერენციებისა და ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები. ამ კუთხით საინტერესო სასამართლო განხილვები არის: ბირთვული ცდები (Nuclear Testing, ავსტრალია და ახალი ზელანდია v. საფრანგეთი), რომელიც შეეხო გარკვეულ ფოსფატოვან მინებს ნაურუში; ახალი ზელანდიის არგუმენტები ბირთვულ ცდებზე (1995 წ.); გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სარეკომენდაციო მოსაზრება ბირთვული იარაღის გამოყენების მართლზომიერების შესახებ; გაბრიკოვოს პრეცედენტი და საქმე, „სანარმო მდ. ურუგვაიზე“ (Pulp Mills, არგენტინა v. ურუგვაი).

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედებაზე სახელმწიფოს უუნარობა, ასევე, წარმოადგენს სახელმწიფოთა პრაქტიკის არსებობის მტკიცებულებას. გარემოს დეგრადაციის გამომწვევი დაბინძურების გარკვეული ხარისხების ან გარკვეული საქმიანობების დაშვება იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ სახელმწიფოებისთვის არის მისაღები ასეთი დონეები და საქმიანობები, რაც საერთაშორისო სამართალთან შეუთავსებელია. სახელმწიფოთა პრაქტიკამ სამართლის ნორმა რომ განავითაროს, პრაქტიკა უნდა იყოს ზოგადი (საერთო) და მთელი მსოფლიოს, ან ცალკეული რეგიონის სახელმწიფოთა მონაწილეობას მოითხოვს. ამ მხრივ გაეროს საერთაშორისო სასამა-

რთლომ ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეზე (1969 წ.) დაადგინა: „შესაძლოა მოხდეს ისე, რომ დროის გარკვეული პერიოდის გასვლის გარეშე, კონვენციაში ფართო და წარმომადგენლობითი მონაწილეობა თავისთავად მოიცავდეს იმ სახელმწიფოებს, რომლის ინტერესებიც სპეციფიურ შემხებლობაში.“⁸² 1986 წელს, სამხედრო და ნახევრადსამხედრო საქმიანობების ქეისში (Military and Paramilitary activities case) გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ „ხელახლა განიხილა ურთიერთმიმართება ხელშეკრულებებსა და ჩვეულებას შორის იმის დადგენით, რომ მრავალმხრივი კონვენციები შესაძლოა, თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს იმ ნორმების განმარტებისთვის, ან უფრო მეტიც, განვითარებისათვის, რომლებიც ჩვეულებიდან მომდინარეობენ.“⁸³ კონკრეტულ ნორმასთან შეუთავსებელი სახელმწიფოთა მიდგომის შემთხვევები ამ ნორმის დარღვევად უნდა განიხილებოდეს და არა ახალი ნორმის აღიარებად. ხელშეკრულებასა და ჩვეულებას შორის ახლო ურთიერთმიმართებაა და ხშირად ურთიერთდამოკიდებულების ელემენტებს ემყარება. ხელშეკრულება შესაძლოა, აკოდიფიცირებდეს ან ავითარებდეს ჩვეულებითი სამართლის ნორმას, რაც 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციით (UNCLOS) **მოხდა**. ამის საპირისპიროდ, ჩვეულებითი სამართლის ნორმას შეიძლება, ხელშეკრულების დადება და იმპლემენტაცია გამოხატავდეს ჩრდ. ზღვის კონტინენტური შელფის საქმეში სასამართლომ

⁸² ib. ICJ Reports 3, par.73, North Sea Continental Shelf case, 1969, 052-19690220, N de vente: 327.

⁸³ ICJ Reports 97, Case concerning Military and Paramilitary Activities, 1986, 070-198660627, N de vente: 520.

აღმოაჩინა, რომ 1958 წელს „კონტინენტური შელფის შესახებ“ ვენევის კონვენციის გაფორმების შემდეგ (ხელმოწერისა და რატიფიკაციის ჩათვლით), სახელმწიფოთა პრაქტიკა ჩვეულებითი სამართლის ნორმას ქმნის.

„ადამიანის გარემოს შესახებ“ სტოკჰოლმის 1972 წლის დეკლარაციის⁸⁴ 21-ე პრინციპი არის მაგალითი ხელშეკრულებისა, რომელიც ხელს უწყობს ჩვეულების განვითარებას. 1996 წელს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 21-ე პრინციპში ასახული ნორმის ჩვეულებითი სტატუსი დაადასტურა. მდ. ურუგვაის ქარხნის საქმეზე (Pulp Mills)⁸⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ „საყოველთაო საერთაშორისო სამართლის მოთხოვნა“ არის ვალდებულება, განახორციელონ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, როცა არსებობს რისკი, რომ წარმოებული ინდუსტრიული საქმიანობა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში, კერძოდ, დანაწილებული რესურსისთვის მნიშვნელოვან მავნე ზიანს მოიტანს. ეს განხილვები ადასტურებს, რომ საერთაშორისო სასამართლო უმკლავდება უზარმაზარ ამოცანას, მოახდინოს სახელმწიფოთა პრაქტიკიდან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების დედუქცია და ასეთი ნორმების არსებობა უფრო ელასტიური და პრაგმატული საშუალებებით დაადგინოს.

⁸⁴ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება, აითვისონ საკუთარი რესურსები და გარემო თავიანთი პოლიტიკის შესაბამისად. ასევე, ეკისრებათ პასუხისმგებლობა, მათი იურისდიქციისა და კონტროლის ფარგლებში წარმოებული საქმიანობებით უზრუნველყონ, რომ სხვა სახელმწიფოების გარემოს ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ სივრცეებს ზიანი არ მიადგეს.“

⁸⁵ Case Concerning Pulp Mills on the River Uruguay judgement of 20 April 2010 www.icj-cij.org/docket/files/135/15877.pdf

სამართლის მოსაზრება (Opinio Juris)

ჩვეულებითი სამართლის მეორე ელემენტი არის ე.წ. სამართლის საჭირო მოსაზრება (Opinio Juris Sive Necessitates). მისი მტკიცებულებით, სახელმწიფოს ქცევას განაპირობებს რწმენა, რომ ასეთი ქცევა სამართლით მოითხოვება. საერთაშორისო სასამართლომ ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე Opinio Juris-ის შინაარსი და როლი განსაზღვრა: „განსახილველი მოქმედებები უნდა მომდინარეობდეს არა მხოლოდ დამკვიდრებული პრაქტიკიდან, არამედ მისი წარმართვით უნდა გამოაშკარავდეს რწმენა, რომ ასეთი პრაქტიკა აღიარებულია სავალდებულოდ, არსებული ნორმით, რომელიც ამას მოითხოვს. ასეთი რწმენის საჭიროება, ე.ი. სუბიექტური ელემენტის არსებობა Opinio Juris Sive Necessitates-ის ცნებაში მკაფიოდ აისახება. სახელმწიფოები, რომელთაც საქმე შეეხება, უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი იურიდიულ ვალდებულებას ეთანხმებიან. მოქმედების სიხშირე ან ჩვეულებითი ხასიათი საკმარისი არ არის. ცერემონიებისა და პროტოკოლის სფეროში მრავალი სხვადასხვაგვარად შესრულებადი შეგნებული მოქმედება არსებობს, რომლებიც იურიდიული მოვალეობის შეგრძნებით კი არა, ტრადიციის მოსაზრებებით არის მოტივირებული.“⁸⁶

ჭიუტი მოწინააღმდეგე (დაჟინებით უარყოფელი)

ჩვეულებითი სამართლის ნორმა შეიძლება, განვითარდეს საერთაშორისო საზოგადოების ყველა სახელმწიფოს მკაფიო,

⁸⁶ ICJ Reports 3 at 44, North Sea Continental Shelf Case, 1969, 052-19690220, N de vente: 327.

აქტიური მხარდაჭერის გარეშე. თუმცა სახელმწიფოს დუმილის ან უმოქმედობის მიუხედავად, ეს ნორმა მისთვის მაინც სავალდებულო იქნება, რაც ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე საერთაშორისო სამართლის განხილვებშიც ჩანს. თუმცა სახელმწიფოს მაინც შეუძლია, თავიდან აიცილოს ნორმის მოქმედება, თუ ის ჭიუტად არ ასრულებს მას. ანგლო-ნორვეგიულ თევზჭერის საქმეზე (Anglo-Norwegian Fisheries case)⁸⁷ ეს ერთ-ერთი საკითხი იყო. გაერთიანებულმა სამეფომ ნორვეგიის პრაქტიკა არამართლზომიერად მიიჩნია, რადგან ნორვეგია ყურეების კალაპოტში ტერიტორიული ზღვის სიგანეს სწორი სანყისი ხაზების გავლებით ზომავდა. ამ შემთხვევაში ჭიუტი მოწინააღმდეგის პრინციპი ორივე სახელმწიფომ აღიარა. გარემოს სფეროში ჭიუტი წინააღმდეგობის მაგალითი, ასევე, არის აშშ-ის მიერ მკაფიო უარყოფა, რომ „განვითარების უფლება“ სამართლის ნორმაა.⁸⁸ შემდეგი მაგალითი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1996 წლის შეფასებაში გვხვდება, რომ გარემოს 1997 წლის ჟენევის I პროტოკოლის ვალდებულებები არ გამოხატავს ჩვეულებით სამართალს, რადგან გარკვეული სახელმწიფოები ბირთვულ იარაღებზე პროტოკოლის გავრცელებას ეწინააღმდეგებიან.

რეგიონული ჩვეულება

ჩვეულებითი სამართლის ნორმები შეიძლება, განვითარდეს რეგიონულ დონეზე, რაც საერთაშორისო სასამართლომ თავშესაფრის პრეცედენტში (Asylum Case)⁸⁹ აღიარა. მასში და-

⁸⁷ ვრცლად იხ. <https://www.icj-cij.org/en/case/5>

⁸⁸ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 217.

⁸⁹ Asylum Case, November 21, 1950, 7/1851.

დგინდა, რომ რეგიონული ან ლოკალური ჩვეულება, რაც ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს ახასიათებს, შეიძლება, ჩამოყალიბდეს, თუკი ნორმა შემხებლობაში მყოფი სახელმწიფოების მიერ მუდმივი გამოყენებით დამტკიცდება. ეს მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში, სადაც რეგიონულ რეჟიმებს, გლობალურთან ერთად, განსაკუთრებული როლი ეკისრებათ და რომლებთან მიმართებაშიც ზოგი რეგიონი (ევროპა და ანტარქტიკა) განსაკუთრებით კარგად არის განვითარებული.

3. ძირითადი პრინციპები და დამხმარე წყაროები

ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული ძირითადი პრინციპები მიზნად ისახავს, მისცეს საშუალება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, რომ მუნიციპულური სამართლის ძირითადი პრინციპები განსაკუთრებით მაშინ გამოიყენოს, როცა საკანონმდებლო ხვრელების ამოვსება არის საჭირო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თანასწორობის“ პრინციპის როლი, რაც ჩრდ. ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე სასამართლომ ასე აღწერა: თანასწორობის კონცეფცია არის „მართლმსაჯულების იდეის პირდაპირი გამოშვება“ და „პირდაპირ მოქმედი ძირითადი პრინციპი, როგორც კანონი.“ ის შეიძლება, გამოიყენებოდეს, როგორც საერთაშორისო სამართლის ნაწილი, „რათა დააბალანსოს სხვადასხვა წარმოდგენები, რომლებსაც იგი შესატყვისად მიიჩნევს თანასწორი შედეგის მისაღწევად.“ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო იშვიათად ემყარებოდა ძირითად პრინციპებს, თუმცა სხვა საერთაშორისო ტრიბუნალები, როგორიცაა ევრო-

პის მართლმსაჯულების სასამართლო, ემყარებოდა მუნიციპალური სამართლის ძირითად პრინციპებს დასკვნების გასაკვეთებლად“⁹⁰

დამხმარე წყაროები არის სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები და იურისტთა შრომები. ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ზემოთ, როგორც ისტორიის, ისე წინამდებარე თავში შევხებით, ხოლო მათი მოკლე მიმოხილვა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს დანართებში არის წარმოდგენილი. იურისტთა შრომებს ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. მაგალითად, Trail Smelter-ის საქმე პროფესორ ქლაიდ იგლეტონის შრომებს ემყარებოდა. ასევე, არსებობს იმის გარკვეული მტკიცებულებები, რომ გარემოს საერთაშორისო სამართალზე აკადემიური და სხვა შრომები⁹¹ ახდენს გავლენას.

⁹⁰ Re Imports of Waste E.C. Commission v. Belgium Case (C-2/90), 9 July 1992 (FN1).

⁹¹ *ib. Opinions of Judge Weeramantry in the Nuclear Tests Case (1995) ICJ Reports 34 et.seq. and in the Gabcikovo-Nagymaros case (1997) ICJ Reports 92-4.*

IV ტაჰი.

ძირითადი პრინციპები და ნორმები

გარემოს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები ასახულია ხელშეკრულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო აქტებში, სახელმწიფოთა პრაქტიკაში და რბილი სამართლის დადგენილებებში. ეს პრინციპებია:

1. სუვერენიტეტი ბუნებრივ რესურსებზე და პასუხისმგებლობა, არ გამოიწვიონ გარემოს ზიანი (სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე და რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპები);
2. აღმკვეთი მოქმედების პრინციპი;
3. თანამშრომლობის პრინციპი;
4. მდგრადი განვითარების პრინციპი;
5. წინდახედულობის პრინციპი;
6. პრინციპი - „ვინც აბინძურებს, იხდის“;
7. საერთო, თუმცა დიფერენციალური პასუხისმგებლობის პრინციპი.

1. სუვერენიტიტი ბუნებრივ რესურსებზე და პასუხისმგებლობა, არ გამოიწვიონ გარემოს ზიანი (სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე და რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპები)

გარემოს საერთაშორისო სამართლის ნორმები განვითარდა ორი ურთიერთსაპირისპირო, ფუნდამენტური მიზნის კონტექსტში: სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლებები თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე და მეორე, სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიწვიონ გარემოს ზიანი. ეს მიზნები განსხვავებულია სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპში⁹² და გარემოს საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედად რჩება. მისი მიღებიდან 20 წლის შემდეგაც, სახელმწიფოებმა, რომლებიც რიოს დეკლარაციაზე მართავენ მოლაპარაკებებს, მე-2 პრინციპის მიღების დროს არსებითად ვერაფერი შეცვალეს. გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს რიოს კონფერენციაზე მხოლოდ ორი სიტყვა - „და განვითარების“ დაამატეს. 21-ე და მე-2 პრინციპები მოიცავს ორ ელემენტს, რომელთა განცალკავებაც, მათი შინაარსისა და ეფექტის ძირეული ცვლილების გარეშე, შეუძლებელია. ესენია:

- ა. სახელმწიფოთა სუვერენული უფლება, აითვისონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები;

⁹² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება, თავიანთი პოლიტიკის შესაბამისად აითვისონ თავიანთი საკუთარი რესურსები, გარემო და ეკისრებათ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ მათი იურისდიქციისა და კონტროლის ფარგლებში წარმოებული საქმიანობებით, ზიანი არ მიადგეს სხვა სახელმწიფოების გარემოს ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებსგარე სივრცეებს.

ბ. პასუხისმგებლობა ან ვალდებულება, არ გამოიწვიონ სხვა სახელმწიფოთა გარემოს ან ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არსებული სივრცეების ზიანი. ის, რომ 21-ე პრინციპი ჩვეულებით სამართალს ასახავს, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1996 წლის სარეკომენდაციო მოსაზრებაში დადასტურდა, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენების ან მისით დამუქრების ლეგალურობას შეეხება.⁹³

გარემოს საკითხებზე სუვერენიტეტის პრინციპის გავრცელება წინ უსწრებს სტოკჰოლმის დეკლარაციას და ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპიდან იღებს სათავეს. ეს პრინციპი აისახა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში, რომლებსაც 1952 წლიდან პერიოდულად იღებდნენ. ეს რეზოლუციები მჭიდროდ უკავშირდებოდა ლონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფოები და უცხოური კერძო კომპანიები განვითარებად სახელმწიფოებში ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით, ნავთობისა და მინერალების ექსპლუატაციისთვის მართავდნენ. ისინი ცდილობდნენ, საკუთარ რესურსებზე სუვერენული სახელმწიფოების უფლებები შეესაბამებინათ ინვესტირების სტაბილურობის სამართლებრივ საფუძველთან, რაც უცხოურ კომპანიებს სურდათ. 1962 წელს გაეროს გენერალურმა ასამაბლემ თვალსაჩინო რეზოლუცია მიიღო, როცა გადაწყვიტა, რომ „მოსახლეობისა და ერების უფლებები თავიანთ ბუნებრივ სიკეთეებსა და რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტისა, უნდა გამოიყენებოდეს მათი ეროვნული განვითარების ინტერესებით, სახელმწიფოს მოსა-

⁹³ ვრცლად იხ. <https://www.icj-cij.org/en/case/95>

ხლეობის კეთილდღეობისთვის.“⁹⁴ ამ რეზოლუციის მიხედვით, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტი არის საერთაშორისო სამართლებრივი უფლება და ზოგიერთი საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ მიღებულია, როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი (1982 წლის საარბიტრაჟო ტრიბუნალი - კუვეიტი დამოუკიდებელი ამერიკული ნავთობკომპანიის წინააღმდეგ).⁹⁵ 1970-იანი წლებისთვის ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპი განმტკიცდა, როგორც გარემოს დასაცავად საჭირო თანამშრომლობა და რაც საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა. 1972 წელს, სტოკჰოლმის კონფერენციის გამართვამდე, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს, ჩამოაყალიბოს გარემოსთან ადამიანის ზემოქმედების ეროვნული პოლიტიკა, მისი კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად და ეროვნული სუვერენიტეტის სრული გამოყენებით.

21-ე და მე-2 პრინციპების პირველი ელემენტი მრავალ საერთაშორისო კონვენციაში არის ასახული. ასეთებია: 1993 წლის ლონდონის კონვენცია „ცხოველთა მოპოვების შესახებ“; 1971 წლის რამსარის კონვენცია „ტენიანი ტერიტორიების შესახებ“; 1992 წლის „კლიმატის ცვლილების კონვენცია“; 1992 წლის „ბიომრავალფეროვნების კონვენცია“; 2010 წლის „ბიომრავალფეროვნების კონვენციის ნაგოიას ოქმი“.

21-ე და მე-2 პრინციპების მეორე ელემენტი გამოხატავს სახელმწიფოთა შეხედულებას, რომ ბუნებრივ რესურსებზე

⁹⁴ General Assembly resolution 1803 (XVII) of 14 December 1962 on “Permanent sovereignty over natural resources”.

⁹⁵ Ad-Hoc-Award, Kuwait v. The American Independent Oil Company (AMINOIL), 21 ILM 976, March 24, 1982.

მათი მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის გამოყენების დროს გარემოზე შეზღუდვების სუბიექტები არიან. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა, მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არ გამოიწვიონ გარემოს ზიანი, წინ უსწრებს სტოკჰოლმის კონფერენციას და უკავშირდება ყველა სახელმწიფოს ვალდებულებას, „ტერიტორიაზე დაიცვან სხვა სახელმწიფოთა უფლებები, კერძოდ კი თავიანთი მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის უფლება მშვიდობისა და ომის დროს.“⁹⁶ ეს ვალდებულება გადამუშავდა და საფუძვლად დაედო საარბიტრაჟო ტრიბუნალის Trail Smelter-ის საქმის დადგენილებას: „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ...არც ერთ სახელმწიფოს უფლება არ აქვს, გამოიყენოს ან დაუშვას თავისი ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომ კვამლით ზიანი მიადგეს მეორის ტერიტორიას, ქონებას ან იქ მდებარე პირებს, როცა სერიოზული შედეგი დგება და ზიანი აშკარაა.“

21-ე და მე-2 პრინციპები ნათელყოფენ, რომ თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის გამოყენების შესახებ სახელმწიფოთა უფლება არ არის შეუზღუდავი და გარკვეული იძულების საგანია გარემოს კუთხით (საერთაშორისო სამართლის კომისიის მუხლების პროექტი, მავნე საქმიანობებისგან ტრანსსასაზღვრო ზიანის პრევენციის მუხლების პროექტი, პრეამბულა და მე-4 მუხლი (პრევენცია)).

2. აღმკვეთი მოქმედების პრინციპი

21-ე და მე-2 პრინციპებთან ახლოს დგას პრინციპი, რომელიც მოითხოვს გარემოს დაზიანების პრევენციას და იმ

⁹⁶ Netherlands v. USA, Island of Palmas Case, April, 1928.

საქმიანობათა სხვაგვარად შეზღუდვას, შემცირებას ან კონტროლს, რამაც შეიძლება, ასეთი ზიანის რისკი გამოიწვიოს. Iron Rhine-ის (ნაწილობრივ უმოქმედო რკინიგზა, რომელიც ერთმანეთთან ბელგიის ანტვერპენის პორტსა და გერმანიის მიონხენგლადბახს, ნირპელტისა და დანიის ქალაქების, ვირტისა და როერმონდის გავლით აკავშირებს) საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღიარა შემდეგი: „სადღეისოდ გარემოს საერთაშორისო სამართალში მზარდი ყურადღება პრევენციის ვალდებულებას ეთმობა, ხოლო გარემოს საერთაშორისო ნორმების უმეტესობა ფორმულირებულია იმ გავლენაზე, რასაც ერთ ტერიტორიაზე წარმოებული საქმიანობები მეორე ტერიტორიაზე ახდენენ.“ ტრიბუნალმა განაცხადა, რომ „პრევენციის ვალდებულება“ უკვე „საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპია,“ რომელიც მხოლოდ დამოუკიდებელ, ავტონომიურ კი არა, ისეთ საქმიანობებშიც გამოიყენება, რომლებიც მხარეებს შორის სპეციალური ხელშეკრულებების იმპლემენტაციისთვის იწარმოება.“ ასეთი მიდგომა ქარხნის პრეცედენტშიც (Pulp Mills) დადასტურდა, რომელშიც გაეროს საერთაშორისო სასამართლომ „სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე შესასრულებელ პრევენციის პრინციპზე, როგორც ჩვეულებით ნორმაზე“ მიუთითა. სასამართლომ ზიანის პრევენციის ვალდებულებასა და სათანადო მონდომების გამოჩენის მოთხოვნას შორის ურთიერთკავშირი გამოიყენა. მან „სათანადო მონდომებით მოქმედების“ ვალდებულება დაასახელა ვალდებულებად, რომელიც არა მხოლოდ შესატყვისი ნორმებისა და ზომების მიღებას მოითხოვს, არამედ მოითხოვს გარკვეულ სიფხიზლესაც მათი შესრულების და ად-

მინისტრაციული კონტროლის წარმოების დროს საჯარო და კერძო სექტორზე, როგორც არის ასეთი ოპერატორების მიერ წარმოებული საქმიანობების მონიტორინგი.“ ასეთი მიდგომა საერთაშორისო სამართლის კომისიამ 2001 წლის მავნე (მომნამლავი) საქმიანობებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო ზიანის პრევენციის მუხლების პროექტის მე-3 მუხლში გამოიყენა, რომელიც სახელმწიფოებისგან „შესატყვისი ზომების მიღებას მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზიანის პრევენციისთვის (აღკვეთისათვის) ან მისი რისკის შემცირებისათვის“⁹⁷ მოითხოვს. მუხლების პროექტის კომენტარი აქცენტირებს იმაზე, რომ „სათანადო მიდგომების ვალდებულება, მიზნად არ ისახავს გარანტიას, რომ მნიშვნელოვანი ზიანი სრულად იქნება არიდებული, თუ ამის გაკეთება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ზიანის წარმომშობ სახელმწიფოს მოეთხოვება, ...რისკის შესამცირებლად ყველა შესაძლო ზომას მიმართოს. ამ თვალსაზრისით ის ვერ გახდება იმის გარანტი, რომ ზიანი საერთოდ არ დადგეს.

21-ე და მე-2 პრინციპებისგან პრევენციის ვალდებულება შეიძლება ორ რიგად განვასხვავოთ. პირველი: 21-ე და მე-2 პრინციპები სუვერენიტეტის პრინციპის პატივისცემას ეფუძნება, მაშინ, როცა პრევენციის (აღკვეთის) პრინციპის მიზანია, შეამციროს გარემოს ზიანი. მეორე: პრევენციის (აღკვეთის) პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს არა მხოლოდ ტრანსსასაზღვრო ზიანი, არამედ გარემოს ზიანიც საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, შესაბამისი რეგუ-

⁹⁷ Draft Articles on Prevention of Transboundary Harm from Hazardous Activities, with Commentaries, 2001, UN, 2008, 153.

ლაციების, ადმინისტრაციული და სხვა ზომების მეშვეობით. ალკვეთის (პრევენციის) პრინციპი მოითხოვს ზომების მიღებას (მოქმედებას) ადრეულ საფეხურზე და თუ შესაძლებელია, ზიანის არსებითად დადგომამდე (სასამართლოს შენიშვნა გაბჩიკოვოს საქმეზე). პრინციპი სახელმწიფოთა პრაქტიკაში გარემოს მთელი რიგი ამოცანების მხრივ არის გამოვლენილი. პრევენციის პრინციპი ასახულია შიდა გარემოს დაცვით კანონმდებლობაშიც, რომელიც გულისხმობს ავტორიზაციის პროცედურებს, გარემოს სტანდარტებზე საერთაშორისო და ეროვნულ დადგენილებებს, ადგენს ხელმისაწვდომობას გარემოს ინფორმაციაზე. პრევენციული მიდგომა პირდაპირ ან არაპირდაპირ ასახულია 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციაში (პრინციპები 6, 7, 15, 18, 24) 1987 წლის გაეროს გარემოს პროგრამის (UNEP) პრინციპების პროექტში (პრინციპი 1), 1982 წლის ბუნების მსოფლიო ქარტიაში, 1992 წლის ⁹⁸რიოს დეკლარაციაში (პრინციპები 11, 14, 15).

3. თანამშრომლობის პრინციპი

„კეთილმეზობლობის პრინციპი“, რომელიც ფორმულირებულია გაეროს წესდების 74-ე მუხლში, სოციალური, ეკონომიკური და კომერციული საკითხების მიმართ გარემოს საერთაშორისო ნორმების განვითარება-გამოყენებას ნიშნავს. მისი ტრადიციული პრონციპი ასეთია: „გამოიყენე შენი ქონება ისე, რომ სხვისი არ დააზიანო“ (sic utere tuo et alienum non laedas). ეს პრინციპი მრავალ ხელშეკრულებასა და სხვა სახის საე-

⁹⁸ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 200-203.

რთაშორისო აქტში არის ასახული. განსაკუთრებით მომნამლავი (მაგნე) საქმიანობებისა და საგანგებო სიტუაციების მხრივ, მას სახელმწიფოთა პრაქტიკაც ხელს უწყობს. სტოკჰოლმის დეკლარაციის 24-ე პრინციპი გარემოს დაცვის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგად პოლიტიკურ მიდგომას გამოხატავს. რიოს დეკლარაციის 27-ე პრინციპი ბევრად უფრო თანმიმდევრულად ადგენს, რომ „სახელმწიფოებმა და ერებმა უნდა ითანამშრომლონ კეთილსინდისიერად და პარტნიორობის სულისკვეთებით, ამ დეკლარაციაში ასახული პრინციპების დასაცავად და მდგრადი განვითარების სფეროში საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარებისათვის.“ თანამშრომლობის პრინციპის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული დანიშნულება ასახულია მრავალ საერთაშორისო ინსტრუმენტში. მათ შორის არის 1992 წლის ინდუსტრიული შემთხვევების კონვენციის პრეამბულა, რომელშიც ვკითხულობთ: „საერთაშორისო სამართლისა და ჩვეულების, განსაკუთრებით კეთილმეზობლობის, ნაცვალგების, ანტიდისკრიმინაციისა და კეთილსინდისიერების პრინციპები“ და პროცედურული ნორმები ასახულია 1997 წლის წყალმდინარეების კონვენციაში. თანამშრომლობის ვალდებულება დადგენილია გარემოს ორმხრივი და რეგიონული გამოყენების, თითქმის, ყველა შეთანხმებაში. საერთაშორისო სასამართლო შეგვახსენებს, რომ თანამშრომლობა ხელსაყრელი საერთო რეჟიმების დასადგენად არის საჭირო (1999 წლის კისიკილი/სედუდუს კუნძულის საქმე, ბოცვანა v. ნამიბია).

ზოგადად, თანამშრომლობის ვალდებულება შესაძლოა, ხელშეკრულების ამოცანების იმპლემენტაციას შეეხებოდეს

(1968 წლის აფრიკის ბუნების კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი; 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციის მე-5 მუხლი).

სახელმწიფოთა პრაქტიკა რომ კეთილმეზობლობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს ემხრობა, ეს საერთაშორისო სასამართლოების და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში, მათ შორის, ლენოს ტბის (Lac Lanoux) პრეცედენტში არის ასახული. თანამშრომლობის ვალდებულების ბუნება და ფარგლები ცენტრალური საკითხი იყო უნგრეთისა და სლოვაკეთის დავაში, რომელიც გაბჩიკოვოს (Gabcikovo-Nagymaros) პროექტს შეეხებოდა. უნგრეთის სარჩელში ეწერა, რომ ჩეხოსლოვაკია და შემდეგ სლოვაკეთი კეთილსინდისიერად არ თანამშრომლობდნენ ტრანსსასაზღვრო რესურსების პრინციპების იმპლემენტაციის საკითხზე. მათ ჰქონდათ ვალდებულება, მოლაპარაკებები ეწარმოებინათ კეთილსინდისიერად და თანამშრომლობის სულისკვეთებით, რომ აღიკვეთოს დავები და მოხდეს დროული შეტყობინება გეგმებზე. ეს გეგმები იმ საქმიანობების წარმოებას ან მათზე ნებართვას შეეხება, რომლებსაც შესაძლოა, ტრანსსასაზღვრო შექრა, ან ამის მნიშვნელოვანი რისკი მოჰყვეს. ასევე, ვალდებული არიან, ჩაერთონ კეთილსინდისიერ კონსულტაციებში, რათა სიტუაცია თანასწორუფლებიანად მოგვარდეს (1992 წლის 22 ოქტომბრის უნგრეთის სარჩელი). საერთაშორისო სასამართლომ დეტალურად აღარ განმარტა, თუ რას ნიშნავდა თანამშრომლობის ვალდებულება. მან მიუთითა იმაზე, რაც ადრე განაცხადა ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე, ისევე, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელიც მხარეებს 1977 წლის ხელშეკრულების გამოყენებას

ავალდებულებს „გონივრულად და იმგვარად, რომ მიზანი მიღ-
ნეულ იქნას.“ (1977 წლის საერთაშორისო სასამართლოს ანგა-
რიშები ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე).

4. მდგრადი განვითარების პრინციპი⁹⁹

ძირითადი პრინციპი, რითიც სახელმწიფოებმა განვითარება და თავიანთი ბუნებრივი რესურსების მდგრადი ფორმით გამოყენება უნდა უზრუნველყონ, გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციაზე (UNCED) ახლახან გაჩნდა. თუმცა იდეებს, რომლებიც მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველია, სამართლებრივ ინსტრუმენტებში დიდი ხნის ისტორია აქვს. თვით ტერმინი ხელშეკრულებებში 1980-იანი წლებიდან გამოჩნდა. ძირითადი პრინციპი, „მდგრადი განვითარება,“ პირველად გამოიყენეს „1992 წლის ევროპის ეკონომიკური რაიონის შეთანხმების“ (EEA Agreement) პრეამბულაში. ტერმინი აქამად რეგულარულად გამოიყენება გარემოს, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საერთაშორისო ინსტრუმენტებში. მას სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლო და ტრიბუნალი იყენებს და ჩამოყალიბდა, როგორც კონცეფცია.

ტერმინი „მდგრადი განვითარება“ 1987 წლის მოხსენებაში ჰარლემ ბრანტლენდმა¹⁰⁰ განმარტა, როგორც „განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს

⁹⁹ დამატებით იხ. ჩინჩალაძე ნ., მდგრადი განვითარების კონცეფციის გაფართოებისთვის კოვიდ პანდემიის პირობებში, ჟურნალი „ორბელიანი,“ N3, თბილისი, 2020.

¹⁰⁰ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი 1981, 1986-89 და 1990-96 წლებში; ჯანმოს გენერალური დირექტორი 1998-2003 წლებში.

ისე, რომ საფრთხეს არ უქმნის მომავალი თაობების შესაძლებლობებს, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები.“ განმარტება ორ კონცეფციას მოიცავს:

1. „მოთხოვნილებების“ კონცეფცია, კერძოდ, მსოფლიოს ღარიბთა ძირითადი მოთხოვნილებები, რასაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს;
2. შეზღუდვების იდეა, რომელსაც სახელმწიფო ტექნოლოგიაზე ან სოციალურ ორგანიზაციაზე აწესებს, რომ გარემოს შესაძლებლობაზე ახლანდელი და მომავალი მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს.

ეს ორი მახასიათებელი, როგორც გამოწვევა, საუკეთესოდ კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში გამოვლინდა, თუ როგორ არ სურთ ადამიანებს მოთხოვნილებებზე, სხვადასხვა რიტუალებსა თუ ხალხმრავალ გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობაზე შეზღუდვების შესრულება, როცა საქმე შეეხება საკუთარი და სხვათა ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნებას. თუმცა 1987 წელს, მდგრადი განვითარების კონცეფციაში შეზღუდვების ცნება მხოლოდ ბუნებრივ რესურსებს შეეხებოდა, როცა ის ჰარლემ ბრანტლენდმა ჩამოაყალიბა. 34 წლის შემდეგ ამ კონცეფციის გაფართოების საჭიროება დადგა, რაც მსოფლიოს კოვიდ პანდემიის პირობებმაც დაადასტურა.

სახელმწიფოთა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „მდგრადობის“ იდეა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში 1893 წლიდან გამოიკვეთა, როცა აშშ-მ დაიცვა თავისი უფლება, გამანადგურებელი მოპოვებისგან სელაპის ლეგიტიმური და სათანადო გამოყენება კაცობრიობის საკეთილდღეოდ უზრუნველყო. მას შემდეგ მრავალმა ხელშეკრულებამ და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებმა, ისევე, როგორც საერთაშორისო

სასამართლოების გადაწყვეტილებებმა პირდაპირ ან არაპირდაპირ მხარი დაუჭირა მდგრადი განვითარების კონცეფციას და პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, უზრუნველყონ. მისი გამოყენება მსოფლიოს ყველა ნაწილში არის აღიარებული. საერთაშორისო შეთანხმებებში ასახულია „მდგრადი განვითარების“ კონცეფციის ოთხი სამართლებრივი ელემენტი:

1. შენარჩუნდეს ბუნებრივი რესურსები მომავალი თაობების საკეთილდღეოდ (თაობათაშორისი თანასწორობის პრინციპი);
2. მიზანი, რომ ბუნებრივი რესურსები გამოიყენებოდეს „მდგრადი,“ „სათანადო,“ „რაციონალური“, „გონივრული“, „შესატყვისი“ ფორმით (მდგრადი გამოყენების პრინციპი);
3. ბუნებრივი რესურსების „თანაბარი“ გამოყენება, რომლის დროსაც ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს ითვალისწინებს (თანაბარი გამოყენების პრინციპი ანუ თაობათაშორისი სამართლიანობა¹⁰¹);
4. იმის უზრუნველყოფა, რომ გარემოს წარმოდგენები ინტეგრირებულია ეკონომიკურ და განვითარების სხვა გეგმებში, პროგრამებსა და პროექტებში, ხოლო განვითარების მოთხოვნები გარემოს ამოცანების დასახვის დროს გათვალისწინებულია (ინტეგრაციის პრინციპი).

¹⁰¹ სამართლიანობა, ამ შემთხვევაში, გულისხმობს თაობათა თანაბარ უფლებებს ბუნებრივ რესურსებზე, რაც მათ თანასწორობაში გამოიხატება. ამდენად, აქ თავისუფლად შეგვიძლია, გამოვიყენოთ სიტყვა „თანასწორობა,“ რაც სამართლიანობის გამომხატველი იქნება.

ეს ოთხი ელემენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ხშირად კომბინაციით (ერთმანეთის შემცვლელად) გამოიყენება, რაც იმას მოწმობს, რომ მათ ჯერ არ აქვთ საყოველთაოდ მიღებული, ან შეთანხმებული სამართლებრივი დეფინიცია თუ სტატუსი. 1989 წლის ლოუმ IV-ის კონვენცია არის ვაჭრობისა და დახმარების შეთანხმება, რომელსაც ევროგაერთიანებასა და აფრიკის, კარიბის, წყნარი ოკეანის 71 სახელმწიფოს მიერ პირველად 1975 წელს, ტოგოს ქალაქ ლოუმში მოენერა ხელი. კონვენცია აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, მდგრადი განვითარების კონცეფციის რამდენიმე ელემენტი ერთად, ერთ იურიდულ ტექსტში იყოს თავმოყრილი. ამის დემონსტრირება კონვენციის 33-ე მუხლია, რომელიც ასე იკითხება: „ამ კონვენციის ჩარჩოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და შენარჩუნება, ნიადაგისა და ტყეების განადგურების შეჩერება, ეკოლოგიური ბალანსის აღდგენა, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მათი რაციონალურად გამოყენება არის მთავარი მიზნები, რომლებსაც შემხებლობაში მყოფი მხარე სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ, რომ საზოგადოების მხარდაჭერით, თავიანთი მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების განმტკიცებასა და მომავალი თაობების დაცვას მიაღწიონ.“¹⁰² ამ მუხლში ბრანტლენდის მოხსენების იდენტიფიცირებული ელემენტები „მდგრადი განვითარების“ ცნების გამოყენების გარეშე ჩაიდო. ჩნდება გარკვეული ეჭვი, რომ „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფორმას იძენს, რაც საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა მიმართულებების გამოყენებას ინტეგ-

¹⁰² სრული ტექსტი: http://ctr.sice.oas.org/Trade/CARIFORUM-ECEPA/Cotonou_Agreement_&Lome4_lome4_e.pdf

რირებულიად მოითხოვს. გაბჩიკოვო-ნაგიმაროს პრეცედენტში საერთაშორისო სასამართლომ კონცეფცია რეჟიმის მიმართებაში გამოიყენა, რომელიც მომავალში მხარეებმა უნდა დაადგინონ. სასამართლომ განაცხადა: „წლების განმავლობაში კაცობრიობა, ეკონომიკური და სხვა მიზეზებით, ბუნებას მუდმივად ეხებოდა. წარსულში ეს გარემოზე ზეგავლენის შესახებ წარმოდგენის გარეშე ხდებოდა. კაცობრიობისთვის მზარდი რისკის მქონე ასეთი ინტერვენციების შედეგად, გასული ორი ასწლეულის განმავლობაში ახალი ნორმები და სტანდარტები განვითარდა და მრავალ ინსტრუმენტში ჩაიდო. ეს ახალი ნორმები გათვალისწინებული უნდა იქნეს, ხოლო ახალ სტანდარტებს შესაბამისი წონა მიენიჭოს სახელმწიფოების როგორც ახალი, ისე წარსულში დაწყებული საქმიანობების წარმოების დროს. ეკონომიკურ განვითარებასთან გარემოს დაცვის მისადაგების საჭიროება გამომხატულია მდგრადი განვითარების კონცეფციაში. ამ პრეცედენტის მიზნებისთვის, გარემოზე გაბჩიკოვოს ჰიდროელექტროსადგურის მოქმედების ზემოქმედება მხარეებმა ერთად უნდა შეაფასონ. კერძოდ, მათ დამაკმაყოფილებელი გამოსავალი უნდა იპოვონ წყლის მოცულობაზე, რომელიც დუნაის ძველ კალაპაქსოტსა და მდინარის ორივე მხარის განშტოებაში უნდა დაბრუნდეს.“¹⁰³

მომავალი თაობები

საერთაშორისო სამართალში კარგად არის ცნობილი შემდეგი იდეა: „ჩვენ, ამჟამინდელი თაობების წევრებს, დედამიწა მომავალი თაობებისათვის მოგვანდეს.“ ეს იდეა ჯერ კიდევ 1893 წლის წყნარი ოკეანის ზღვის კატების არბიტრაჟში აშშ-მ

¹⁰³ Gabcikovo-Nagymaros case, 1997.

მოიხსენია. შემდეგ ისეთ ხელშეკრულებებში გაჩნდა, როგორც არის 1946 წლის „ვეშაპზე ნადირობის საერთაშორისო კონვენცია“, 1968 წლის „აფრიკის ბუნების კონვენცია“ და 1972 წლის „მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია“. უფრო ახალი ხელშეკრულებები, ამჟამინდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ, გარკვეული რესურსებისა და გარემოს სხვა სიკეთეების შენარჩუნებას ითვალისწინებს. ამაში შედის ველური ფლორა („საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებზე საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ 1973 წლის კონვენციის პრეამბულა) და ფაუნა; ზღვის გარემო (1978 წლის კუვეიტის კონვენცია); ძირითადი განახლებადი ბუნებრივი რესურსები (1976 წლის „წყნარი ოკეანის ბუნების კონვენციის პრეამბულა“); გარემო ზოგადად (1977 წლის ENMOD გარემოს მოდიფიკაციის საშუალებების სამხედრო ან სხვა ანტაგონისტურ მიზნებში გამოყენების აკრძალვის კონვენციის პრეამბულა); დედამიწის რესურსები (1979 წლის ბონის კონვენციის პრეამბულა); ბუნებრივი მემკვიდრეობა (1985 წლის ნაირობის კონვენცია); ბუნებრივი რესურსები (1985 წლის სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ერთა ასოციაციის კონვენციის პრეამბულა); წყლის რესურსები (1992 წლის ტრანსსასაზღვრო წყლების კონვენციის 2(5)(c) მუხლი); ბიომრავალფეროვნება (1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენცია) და კლიმატის სისტემა (1992 წლის კლიმატის ცვლილების კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი).

5. წინდახედულობის პრინციპი

მაშინ, როცა პრევენციისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ელემენტები გარემოს საერთაშორისო ხელ-

შეკრულებებსა და სხვა აქტებში 1930-იანი წლებიდან აისახა, წინდახედულობის პრინციპი ინსტრუმენტებში მხოლოდ 1980-იანი წლების შუა ხანებიდან ჩნდება, შედარებით ადრე კი დასავლეთ გერმანიის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში გამოიკვეთა. წინდახედულობის პრინციპი მიზნად ისახავს მეცნიერული გაურკვევლობის დროს ხელმძღვანელობას გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და გამოყენებაში. პრინციპი მის მნიშვნელობასა და ეფექტს შორის განსხვავებაზე უთანხმოებას წარმოშობს, როგორც ეს სახელმწიფოთა მოსაზრებებსა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში არის ასახული. ერთი მხრივ, ზოგს მიაჩნია, რომ ის ქმნის საფუძველს ადრეული საერთაშორისო სამართლებრივი მოქმედებისთვის, რათა მაღალი საშიშროების მქონე გარემოს საკითხები მოიცვას. ასეთი საკითხია ქიმიური დაბინძურება და კლიმატის ცვლილება. მეორე მხრივ, მისი ოპონენტები აცხადებენ, რომ პრინციპი ადამიანის საქმიანობას ზედმეტად აწესრიგებს და ზღუდავს. რიოს დეკლარაციის მე-15 პრინციპის ბირთვი, რომელიც დღესაც განიცდის ევოლუციას, გულისხმობს შემდეგს: „...როცა სახეზეა სერიოზული და გარდაუვალი ზიანის საშიშროება, სრული მეცნიერული დასკვნის არარსებობა მიზეზად არ უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტური ღონისძიებების გადადებისთვის, რათა გარემოს დეგრადაცია აღიკვეთოს“.

წინდახედულობის პრინციპი, რასაც აშშ და ზოგი სხვა სახელმწიფო „წინდახედულ მიდგომას“ უწოდებს, 1989 წლიდან დღემდე მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაში აისახა. ყოველ ინსტრუმენტში მისი ზუსტი მნიშვნელობა ერთნაირი არ არის. რიოს დეკლარაციის მე-15 პრინციპს ფართო მხარდაჭერა აქვს. ეს პრინციპი უფრო გარემოს ტრადიციულ შეთანხმებებში

არის ასახული, რომლებიც მხარეებსა და მათ მიერ შექმნილ ინსტიტუციებს მოუწოდებს შემდეგს: იმოქმედონ და მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ემყარება „მეცნიერულ აღმოჩენებსა“ და მეთოდებს ან ცოდნას, რომელიც იმ დროისათვის არის ხელმისაწვდომი (1960 წლის რადიაციის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი). ამ სტანდარტების მიხედვით, მოქმედება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მეცნიერული მტკიცებულება, რომ გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი ადგება. ასეთი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში არავითარი მოქმედება არ უნდა განხორციელდეს. ტრადიციული მიდგომის მაგალითია 1974 წლის პარიზის კონვენცია, რომელმაც მხარეებს დამატებითი ზომების მიღების ნება დართო, თუკი მეცნიერული მტკიცებულება ადგენს, რომ შესაძლებელია, ამ ნივთიერებამ საზღვაო რაიონში სერიოზული მონამღვა გამოიწვიოს და სასწრაფო მოქმედება არის საჭირო. ამით მხარეებს მეტად ძნელად დასადგენი შესაბამისი მეცნიერული მტკიცებულების შექმნა, შემდეგ კი მოქმედება მოეთხოვათ.

1969 წლის ინტერვენციის კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ხელშეკრულება იყო, რომელმაც უმოქმედობის, ტრადიციული მიდგომის შეზღუდვები აღიარა. ის პროპორციული ზომების მიღებას უშვებს, რათა შეამციროს და აღკვეთოს სანაპირო სახელმწიფოების ნავთობით დაბინძურების დიდი საფრთხე, იმის გათვალისწინებით, რომ ზიანი აუცილებლად დადგება, თუკი ამ ზომებს არ მიიღებენ (მუხლები 1 და 5(3)(a)). 1980-იანი წლების მოვლენები, ოზონის ამონურვის მხრივ, „წინდახედულობით მოქმედებას“ მეტად დაეხმარა. პირველი ხელშეკრულება, რომელმაც ეს ტერმინი გამოიყენა, 1985

წლის ვენის კონვენცია იყო. მასში „წინდახედულობის ზომები“ მხარეთა მიერ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არის მიღებული და აღიარებული. 1987 წელს მონრეალის ოქმის მხარეებმა „წინდახედულობის ღონისძიებები“ ემისიების გასაკონტროლებლად განსაზღვრეს, რაც მათ ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე უკვე მიღებული ჰქონდათ. მხარეებმა დაადგინეს შემდეგი დეტერმინაცია: „ოზონის შრის დასაცავად, წინდახედულობის ღონისძიებათა მიღების გზით, იმ ნივთიერებათა საერთო გლობალური ემისიების თანაბარი კოტროლი, რაც მას ანადგურებს.“

წინდახედული მიდგომა გარემოს სხვა სუბსტანციების, მაგალითად, ზღვის გარემოსთან მიმართებაშიც გამოიყენება. ჩრდილოეთის ზღვის დაცვის 1984 წლის საერთაშორისო კონვენციის მინისტრთა დეკლარაციის პრეამბულაში წერია, რომ მაშინ, როცა ზღვის გარემოზე ზიანი გარდაუვალია, სახელმწიფოები, მოქმედებათა განხორციელებამდე, მავნე შედეგების მტკიცებულებას დიდი ხნის განმავლობაში არ უნდა დაელოდონ.

6. პრინციპი - „ვინც აბინძურებს - ანაზღაურებს“

პრინციპი, „ვინც აბინძურებს - ანაზღაურებს,“ გამოხატავს დაბინძურების ხარჯების დაფარვას იმ პირის მიერ, რომელიც დაბინძურებაზე არის პასუხისმგებელი. პრინციპის შინაარსი და ცელკეულ შემთხვევებსა და სიტუაციებში მისი გამოყენების საკითხი საინტერპრეტაციოდ ღიაა. ეს, კერძოდ, იმ ღირებულების მოცულობას შეეხება, რაც გადასახდელია და ასევე, გარე-

მოებებს, რომლებშიც ეს პრინციპი, გამონაკლისის სახით, არ გამოიყენება. ამ პრინციპს ფართო მხარდაჭერა აქვს და მჭიდროდ უკავშირდება ნორმებს, რომლებიც გარემოს ზიანისათვის სამოქალაქო და სახელმწიფო პასუხისმგებლობას აწესრიგებს (ამ მხრივ საინტერესოა გაეროს კომპენსაციის კომისია. ის 1991 წელს შეიქმნა რეპარაციისთვის, რომელიც კუვეიტში ერაყის უკანონო შეჭრას შეეხებოდა. მისი გადაწყვეტილებები გარემოს სარჩელებისთვის კომპენსაციას შეეხება და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის უნიკალური წყაროა). ამ პრინციპს არ მიუღია ის მხარდაჭერა, რაც წლების განმავლობაში აღმკვეთი ზომების პრინციპს, ხოლო ბოლო დროს წინდახედულობის პრინციპს ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ის მრავალ რეგიონულ შეთანხმებაში გამოიყენება. რეინის ქლორიდის (**Rhine Chlorides**) პრეცედენტში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შენიშნა შემდეგი: „პრინციპი ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე მრავალ საერთაშორისო ინსტრუმენტში აისახება და ...ეფექტურობის სხვადასხვა დონეზე მოქმედებს,“ მაგრამ ტრიბუნალს არ განუხილავს ეს პრინციპი, როგორც ძირითადი საერთაშორისო სამართლის ნაწილი“.¹⁰⁴ ზოგიერთი ქვეყნის მიერ, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებში, „ვინც აბინძურებს, იხდის,“ პრინციპის ასეთი მტკიცე უარყოფა კარგად ჩანს რიოს დეკლარაციის მე-16 პრინციპის კომპრომისულ შინაარსში. მასში წერია: „ეროვნულმა უწყებებმა ხელი უნდა შეუწყონ გარემოს ფასების ინტერნაციონალიზაციასა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას იმ მიდგომის გათვალისწინებით, რომ დამაბინძურებელმა დაბინძურების საფასური უნდა გადაიხადოს საჯარო ინტერესის გათვალისწინებითა

¹⁰⁴ Rhine Chlorides case, 2004.

და საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად.“ ამ ტექსტის შინაარსს ნაწილობრივ ემთხვევა ზოგი განვითარებული და ასევე, განვითარებადი სახელმწიფოს შეხედულებაც, რომ პრინციპი გამოყენებადი ეროვნულ დონეზე და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებისთვის ან პასუხისმგებლობისთვის საერთაშორისო დონეზე ვერ გამოიყენება. პრინციპი, „ვინც აბინძურებს, იხდის,“ ასახულია იმ პირველ ინსტრუმენტებში, რომლებიც მავნე საქმიანობებით გამოწვეული ზიანის გამო, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მინიმალურ ნორმებს ადგენს. ასეთი არის, მაგალითად, „ბირთვულ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ 1997 წლის კონვენცია, ასევე, „ბირთვული ენერჯის სფეროში მესამე მხარეთა პასუხისმგებლობის შესახებ“ პარიზის 1960 წლის კონვენცია და „ბირთვული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ ვენის 1963 წლის კონვენცია.

7. საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობის პრინციპი

საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში თანასწორობის გამოყენებით განვითარდა. ამ პრინციპს ავითარებს იმის აღიარებაც, რომ განვითარებადი სახელმწიფოების მოთხოვნები გასათვალისწინებელია გარემოს საერთაშორისო სამართლის ნორმების განვითარების, გამოყენებისა და ინტერპრეტაციის დროს. რიოს დეკლარაციის მე-7 პრინციპში წერია: „სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ გლობალური პარტნიორობის სულისკვეთებით, დედამიწის ეკოსისტემის ჯანმრთელობისა

და მთლიანობის შესანარჩუნებლად, დასაცავად და აღსადგენად. გლობალური გარემოს დეგრადაციების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოებს აქვთ საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობა. განვითარებადი სახელმწიფოები აცნობიერებენ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აქვთ მდგრადი განვითარების საერთაშორისო გავრცელებაში, გლობალურ გარემოზე მათი საზოგადოებების ზემოქმედებასა და ასევე, ტექნოლოგიებსა და რესურსებზე, რომლებსაც ისინი განაგებენ.“ იგივე შინაარსის არის კლიმატის ცვლილების 1992 წლის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „მხარეებმა უნდა იმოქმედონ თანასწორობის საფუძველზე, ასევე, მათი საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობების შესაბამისად და უპირატესი უნარების მიხედვით.“

საერთო, მაგრამ დიფერენციალური პასუხისმგებლობის პრინციპი მოიცავს ორ ელემენტს:

1. სახელმწიფოთა საერთო პასუხისმგებლობა გარემოს ან მისი ნაწილების დაცვაზე ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე.
2. გარემოს ცალკეული პრობლემის დროს გასათვალისწინებელია განსხვავებული გარემოებები თითოეული სახელმწიფოს შენატანის კუთხით. ასევე, გასათვალისწინებელია მისი შესაძლებლობა, შეამციროს, გააკონტროლოს საფრთხე და ხელი შეუშალოს მას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ პრინციპის გამოყენებას, მინიმუმ, ორი შედეგი მოჰყვება: პირველი, ავალდებულებს სახელმწიფოებს, ან მოითხოვს მათგან, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საპასუხო ღონისძიებებში, რომლებიც გარე-

მოს პრობლემებს შეეხება; მეორე, მივყავართ გარემოს სტანდარტებამდე, რომლებიც სახელმწიფოებს განსხვავებულ ვალდებულებებს უდგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია, მისი ფესვები გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციამდეც შესამჩნევია და ასევე, რეგიონულ და გლობალურ დონეზე სახელმწიფოთა პრაქტიკით არის მხარდაჭერილი.

V ტავი.

მართვა: სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო აქტორები

საერთაშორისო მართლწესრიგის ამა თუ იმ ასპექტში, კერძოდ, გარემოს საკითხების შესახებ მოლაპარაკებებში მრავალი აქტორი მონაწილეობს. სხვადასხვა აქტორს, როგორც გარემოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებსა თუ ობიექტებს, განსხვავებული როლი და ფუნქცია აქვს. ეს ფუნქცია და როლი არის შემდეგი: სამართალშემოქმედების პროცესში მონაწილეობა; იმპლემენტაციის მონიტორინგი ანგარიშგების ჩათვლით; ვალდებულებათა იმპლემენტაციისა და შესრულების უზრუნველყოფა. თითოეული აქტორის როლი ემყარება მის საერთაშორისო სამართალსუბიექტობას, ასევე, უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მას მინიჭებული აქვს ცალკეული ხელშეკრულებებითა და სხვა აქტებით დადგენილი საყოველთაო საერთაშორისო სამართალითა და ნორმებით. რიოს დეკლარაცია და 21-ე დღის წესრიგი, ისევე, როგორც გარემოზე საერთაშორისო შეთანხმებების მზარდი რაოდენობა, მხარს უჭერს საერთაშორისოსამართლებრივ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო აქტორების გაფართოებულ როლს. ზემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია აქტორების ცნება ასე ჩამოვაყალიბოთ: **გარემოს საერთაშორისო სამართლის აქტორები, საერთაშორისო საჯარო**

სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტებთან ერთად, ის ინდივიდები (ფიზიკური და იურიდიული პირები) არიან, რომლებიც ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მონაწილეობენ ნორმათშემოქმედებაში, მართლწესრიგის დაცვასა და მის მონიტორინგში, ასევე, იმ ხელშეკრულებების მოლაპარაკებებში, რომლებიც ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე გარემოს თითოეული სუბსტანციის რაციონალური გამოყენების დაცვასა და შენარჩუნებას შეეხება.

გარემოს საერთაშორისო სამართალში ტერმინის, ცნების „აქტორის“ გაჩენა იმით არის განპირობებული, რომ გლობალური გარემოს დაცვისა და დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მტკიცუნელი საკითხების მოგვარებას მხოლოდ სუბიექტები თავს ვერ გაართმევენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა სუბსტანცია - ჰაერი, წყალი, მიწა, წიაღი, ფლორისა და ფაუნის სხვადასხვა სახეობები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და რომელიმე მათგანზე პლანეტის ერთ კონკრეტულ წერტილში მავნე ზემოქმედება უარყოფითად აისახება სხვაზე ან სხვებზე დედამიწის სხვა წერტილში და კოსმოსურ სივრცეშიც. ბეირუთში ატმოსფერული ჰაერის გარსში აეროზოლის გაფრქვევა ზოგადად ოზონის მოლეკულის შთანთქმას იწვევს, რასაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მოსახლეობა და ბუნების სხვა სახეობები კლიმატის ცვლილების ფორმით შეიგრძნობენ.

1. სახელმწიფოები

სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო საჯარო სამართლის პირველადი და მთავარი სუბიექტები არიან. ისინი ქმნიან, მიიღებენ და ასრულებენ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს, აფუძნებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და დაუშვებენ სხვა აქტორების მონაწილეობას საერთაშორისო სამართლებრივ პროცესში.

დღეისთვის გაერო 193 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. 1945 წელს, როცა გაერო შეიქმნა, მათი რიცხვი 51-ს შეადგენდა. 2002 წელს გაეროს წევრი შვეიცარია გახდა, ხოლო ყველაზე ბოლო წევრი, რომელიც გაეროში 2011 წელს მიიღეს, სამხრეთ სუდანია. გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში არის წარმოდგენილი, რომელშიც, ასევე, 2019 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით წარმოდგენილია ორი მუდმივი არანწევრი სახელმწიფო, ვატიკანი და პალესტინა. სხვა დანარჩენი გაეროს წევრები არ არიან და იმ წარმონაქმნებს შეადგენენ, რომლებსაც სახელმწიფოებრიობის ნიშნები არ გააჩნიათ. ასეთი არის დამოკიდებული და არათვითმმართველი ტერიტორიები.

საერთაშორისო სამართლებრივი და ინსტიტუციური ზომების მიხედვით, სახელმწიფოები განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებად იყოფა. „განვითარებულ“ კატეგორიაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 24 წევრი სახელმწიფო, რომლებიც ადრე „საბჭოთა“ ბლოკის ნაწილს შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებად მოიხსენიებენ. 155 სახელმწიფო „განვითარებად“ კატეგორიას ეკუთვნის, რომლე-

ბიც ე.წ. 77-ის ჯგუფში შედიან. „77-ის ჯგუფი“ მოლაპარაკებებში ხშირად გაეროს ფარგლებში არსებული ერთი ბლოკის სახით ერთვება. როგორც წესი, გაეროს ორგანოების არჩევის მიზნით, გაეროს სისტემაში სახელმწიფოები რეგიონულ ჯგუფებად გამოდიან. დღეისთვის ცნობილია ხუთი ასეთი ჯგუფი:

1. ლათინური ამერიკისა და კარიბის;
2. აფრიკის;
3. აზიის;
4. დასავლეთ ევროპისა და სხვათა;
5. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის.

„გარემოსა და განვითარების შესახებ“ გაეროს 1992 წლის კონფერენციამ (UNCED) განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების მიდგომებს შორის განსხვავებები შემდეგ საკითხებზე გამოავლინა: ატმოსფერული ემისიები, ზღვის დუ-დუმწოვართა კონსერვაცია, ტყეების დაცვა, ინსტიტუციური ღონისძიებანი და ფინანსური რესურსები. მათ რადიკალურად განსხვავებული მიდგომები აღმოაჩნდათ, თავიანთი ეკონომიკური შესაძლებლობებიდან და განვითარების დონეებიდან გამომდინარე.

2. საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების როლი საგანგებოდ (ad hoc) განვითარდა. 1945 წლიდან გარემოს საერთაშორისო ორგანიზაციები მომრავლდა. ისინი სუბრეგიონულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე იქმნებოდნენ და გარემოს დაცვის მხრივ, მთელ რიგ განსხვავებულ ფუნ-

ქციებს ატარებდნენ. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ხუთი ძირითადი ფუნქცია:

1. ქმნიან ფორუმს სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და კოორდინაციისთვის;
2. ქმნიან ინფორმაციას, რაც უფრო ფორმალური ფუნქციაა;
3. ხელს უწყობენ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების განვითარებას, რბილი სამართლის ჩათვლით;
4. ეხმარებიან იმპლემენტაციას;
5. ქმნიან დავების მოგვარების დამოუკიდებელ მექანიზმს ან ფორუმს.¹⁰⁵

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ეს ფუნქცია.

1. ფორუმის შექმნა სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და კოორდინაციისთვის. საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში სახელმწიფოთა მონაწილეობა კონსულტაციებისა და იდეების გაზიარების ძირითადი საშუალებაა, რაც რეგიონულ და გლობალურ მოქმედებებში საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევას ხელს უწყობს. ამგვარად, კლიმატის ცვლილების 1992 წლის კონვენციის ოფიციალური მოლაპარაკებების შემდეგ, მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები ცნობიერების ამაღლებით დაკავდნენ. ეს ორგანიზაციებია: გაეროს გენერალური ასამბლეა, ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაცია, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია და კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო კომისია. ამ გზით საერთაშორისო

¹⁰⁵ Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012, 55-56.

სო ორგანიზაციები ხელს უწყობენ გარემოს საკითხებზე დღის წესრიგის განვითარებას, რაშიც დაინტერესებულ სახელმწიფოთა მონაწილეობას აფართოებენ და ტექნიკურ კვლევასა და განვითარებას განაღრმავებენ. ასეთი ორგანიზაციები არასამთავრობო აქტორებთან საკონტაქტო როლსაც თამაშობენ.

2. ინფორმაციის შექმნა. საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები იღებენ და ავრცელებენ ინფორმაციას, ხელს უწყობენ ინფორმაციის გაცვლას, ქმნიან პირობებს როგორც სახელმწიფოთა, ისე სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს შორის კონსულტაციებისთვის. ორგანიზაციები საგანგებო სიტუაციათა და სხვა გადაუდებელ საკითხთა შეტყობინების არხია. მაგალითად, ევროკავშირის კომისიასა და ადამიანის უფლებათა სხვა ორგანოებში ინფორმაციის ფუნქცია ფორმალურ, ფაქტების დადგენის როლს მოიცავს.

3. საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების განვითარების ხელშეწყობა. ეს ფუნქცია არაფორმალურია, როცა ორგანიზაცია, მის ფარგლებს გარეთ, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების სრულყოფის დროს კატალიზატორად მოქმედებს. შესაძლოა, ეს ფორმალურად ორგანიზაციის შიგნითაც მოხდეს ისეთი აქტებისა და გადწყვეტილებების მიღების დროს, რომლებმაც შეიძლება სამართლებრივი ვალდებულებები წარმოშვან ან ხელი შეუწყონ სამართლებრივი ვალდებულებების შემდგომ განვითარებას. ორგანიზაციებს შეუძლიათ პოლიტიკური ინიციატივებისა და სტანდარტების განვითარება; იმ ნორმათა მიღება, რომლებიც სავალდებულო მოვალეობებს ადგენენ ან ჩვეულებით

სამართალს ასახავენ; ასევე, შეუძლიათ მიიღონ ახალი და დამხმარე ინსტიტუციური ღონისძიებები.

4. იმპლემენტაციისთვის დახმარება სხვადასხვა ფორმისაა. მხარეთაგან ან სხვა პირთაგან ინფორმაციის მიღება შესაძლოა ad hoc (საგანგებო) საფუძველზე შეზღუდული იყოს. დასაშვებია, ის მოხსენებების რეგულარულ მიღებაში, ასევე, გარემოს საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მხარეთა შორის პერიოდულ კომუნიკაციაში გამოიხატოს. იმპლემენტაციისთვის დახმარება შესაძლოა ტექნიკურ, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ საკითხებზე რჩევაც იყოს. მაგალითად, მონრეალის 1987 წლის ოქმით მხარეებს სურთ, იმპლემენტაციას უთანხმოების პროცედურის მოქმედებით, საიმპლემენტაციო კომიტეტის ჩათვლით მიაღწიონ; კლიმატის ცვლილების 1992 წლის კონვენცია საიმპლემენტაციო დამხმარე ორგანოს შექმნას ითვალისწინებს, რომ კონვენციის შესრულებაში, შეფასებასა და გადასინჯვაში მხარეთა კონფერენციას დახმარება გაუწიოს.¹⁰⁶

5. დავების მოგვარებისთვის დამოუკიდებელი ფორუმის ან მექანიზმის შექმნის ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოებს შორის წამოჭრილი დავების მოგვარებას. შესაძლებელია, ეს ზოგადი კომპეტენციის მქონე ორგანოთა მუშაობის გზით მოხდეს, როგორც არის გარემოს უთანხმოების კონფერენცია ან მხარეთა შეხვედრა. მათზე იღებენ დებულების ავტორიტეტულ ინტერპრეტაციას ან საკითხს გადასცემენ იმ ორგანოს, რომელიც შექმნილია დავის მოგვარების დასახმარებლად და სა-

¹⁰⁶ იქვე.

სამართლო ან კვაზისასამართლო ფუნქცია აქვს. ასეთი არის გაეროს საერთაშორისო სასამართლო, ევროპის სასამართლო, ადამიანთა უფლებების სასამართლოები, ტარიფებისა და ვაჭრობის საკითხების გენერალური შეთანხმება (GATT), დავების მოგვარების კომისიები. ზოგ ორგანიზაციას შესრულების ან შეთანხმების ფუნქცია აქვს. დღეისთვის ევროკავშირის კომისია არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც სათანადო უფლებამოსილება აქვს და საერთაშორისო სამართალსუბიექტობით არის აღჭურვილია, რომ ჩაერთოს შესრულების საქმიანობებში. ევროკომისიას ევროსასამართლოსათვის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ 50-ზე მეტი ქეისი (დავა) აქვს გადაცემული, რაც მათ მიერ გარემოსთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე შეუთანხმებლობას შეეხება. ორგანიზაციები, რომლებიც გარემოს დაცვის საკითხებით არიან დაკავებული, შეიძლება, გლობალურ და რეგიონულ კატეგორიებად დაიყოს. გლობალური ორგანიზაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია გაერო, გარემოზე მისი სპეციალური პროგრამა, „იუნეპი“ (UNEP) და ა.შ. საყურადღებოა, ასევე, საერთაშორისო სამართლის კომისია (ILC). 1981 წლიდან კომისია საერთაშორისო სამართლის სფეროს კომპეტენციის მქონე 34 წევრს აერთიანებდა, რომლებიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აირჩია. 1949 წლიდან დღემდე კომისიამ 30-ზე მეტ თემაზე იმუშავა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ასპექტების განვითარებაში, სახელშეკრულებო სამართლის, სახელმწიფო პასუხისმგებლობის, სახელმწიფოთა და ორგანიზაციათა შორის,

ასევე, ორ ან რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებებში. საერთაშორისო სამართლის კომისია გარემოს საკითხებითაც იყო დაკავებული. ღია ზღვისა და ტერიტორიული წყლების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ კომისიის მუხლების პროექტი საფუძვლად დაედო 1958 წლის ჟენევის კონვენციებს. ეს კონვენციები მოიცავდა ისეთ დებულებებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე. მისი მუხლების პროექტი „საერთაშორისო წყალმდინარეების არასანაოსნო გამოყენების სამართლის შესახებ“, საფუძვლად დაედო გაეროს გენერალური ასამბლეის 1997 წლის ამავე სახელწოდების კონვენციას, რომელიც 2014 წლის 17 აგვისტოს, მისი მიღებიდან 17 წლის შემდეგ შევიდა ძალაში.¹⁰⁷

1992 წელს, მისი მანდატისა და 21-ე დღის წესრიგის შესაბამისად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ასევე, ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOS) დააფუძნეს გაეროს მდგრადი განვითარების კომისია (CSD), რომლის მიზნებია:

1. უზრუნველყოს გარემოსა და განვითარების კონფერენციის (UNCED) მიღწევების შემდგომი ეფექტიანობა;
2. ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და გარემოსა და განვითარების საკითხების ინტეგრაციისათვის სამთავრობათაშორისი გადაწყვეტილებების მიღების რაციონალიზაცია უზრუნველყოს;
3. მდგრადი განვითარების მისაღწევად, ხელი შეუწყოს 21-ე დღის წესრიგის იმპლემენტაციას ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რაც სრულად ემყარ-

¹⁰⁷ იქვე.

რება რიოს დეკლარაციის პრინციპებსა და კონფერენციის სხვა ასპექტებს.¹⁰⁸

ამავე კომისიას შეუძლია განიხილოს და გააანალიზოს არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი.

გაეროს სისტემის გარეთ, რეგიონულ ორგანიზაციებს სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში, იმ პრინციპის გატარებაში, რომ გარემოს სხვადასხვა სტანდარტი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ რეგიონში გამოიყენებოდეს. რეგიონული ორგანიზაციების როლი პანდემიის პირობებშიც მნიშვნელოვნად იზრდება და გარკვეულ რეგიონულ საკითხებს უკავშირდება. რეგიონულ ორგანიზაციებს ჰარლემ ბრანტლენდის მოხსენებამაც მოუწოდა, რომ თავიანთი საქმიანობების გარემოსთან ინტეგრირებისათვის უფრო მეტი გააკეთონ.

ევროპის მასშტაბით გარემოს დაცვის რეგიონულ ნორმების განვითარებაში, თავად ევროკავშირთან ერთად, შემდეგი ორგანიზაციები თამაშობენ გადამწყვეტ როლს: 1. ევროპის საბჭო; 2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD); 3. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია (CSCE); 4. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც ბოლო დროს გარემოს სამართლისა და პოლიტიკის ინოვაციურ ხელშემწყობად გვევლინება ევროპაში.

ზოგი საერთაშორისო ორგანიზაცია, გეოგრაფიული გაგებით, არც რეგიონულ და არც გაეროს სააგენტო, ორგანო ან პროგრამა არ არის. ასეთია თანამეგობრობის სამდივნო, ის-

¹⁰⁸ იქვე.

ლამური კონფერენციის ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომლის წევრებიც აფრიკასა და აზიაში არიან და ნავთობის ექსპორტიორთა ქვეყნების ორგანიზაცია. ისინი დაინტერესებული არიან გარემოს საკითხებით, თუმცა გარემოს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიღება ან მათი შესრულების გარანტად ყოფნა არ შეუძლიათ.¹⁰⁹

3. არასამთავრობო აქტორები

არასამთავრობო აქტორები გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობენ და პროცესებზე დიდ გავლენას ახდენენ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან სამეცნიერო გაერთიანებებმა და გარემოს ჯგუფებმა, საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისთვის საზოგადოებრივი აზრის მობილიზება შეძლეს. კორპორაციული (ბიზნეს) სექტორიც იბრძოდა იმისთვის, რომ საერთაშორისო ნორმების გაფართოებასთან ერთად, მათი ხმაც შეესმინათ. არასამთავრობო აქტორები საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა მიმართულებით ფორმალურ როლს ასრულებენ.¹¹⁰ ისინი საერთაშორისო სამართლებრივი ქმედებებისთვის საჭირო საკითხების იდენტიფიცირებას ახდენენ; როგორც დამკვირვებლები, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობასა და სახელშეკრულებო მოლაპარაკებებში მონაწილეობენ; ფორმალურად და არაფორმალურად მონაწილეობენ რეგიონულ და გლობალურ დონეზე მიღებული პრინციპების, ნორმების ეროვნულ და საერთაშორისო იმპლემენტაციაში. ბოლო ორ ასწლეულში

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე, 86-91.

არასამთავრობო ინსტიტუციათა ექვსი (6) ძირითადი კატეგორია ჩამოყალიბდა:

1. სამეცნიერო გაერთიანება;
2. გარემოს არაკომერციული ჯგუფები და ასოციაციები;
3. კერძო ორგანიზაციები და ბიზნესჯგუფები;
4. სამართლებრივი (იურიდიული) ორგანიზაციები;
5. აკადემიური გაერთიანება;
6. ინდივიდები.¹¹¹

რიოს დეკლარაცია და 21-ე დღის წესრიგი არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც მნიშვნელოვანი პარტნიორების როლს დაამოწმებს და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, პროცესებში მათი მონაწილეობა გააფართოვოს.

21-ე დღის წესრიგის მე-2 თავის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „გარემოსა და განვითარების გამონწვევასთან გასამკლავებლად სახელმწიფოებმა გადანყვიტეს, გლობალური პარტნიორობა განავითარონ. ასეთი პარტნიორობა ავალებს ყველა სახელმწიფოს, ჩაერთონ განგრძობად და კონსტრუქციულ დიალოგში, შთაგონებულნი საქმიროებით, რომ მიაღწიონ უფრო ეფექტურ და თანასწორ მსოფლიო ეკონომიკას; უნდა გაითვალისწინონ, რომ მზარდია სახელმწიფოთა საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულება და რომ მდგრადი განვითარება საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში პრიორიტეტი უნდა გახდეს. აღიარებულია, რომ ამ ახალი პარტნიორობის წარმატებისთვის, მნიშვნელოვანია კონფრონტაციის დაძლევა, ძლიერი თანამშრომლობისა და სოლიდარობის გამყარება. ასევე, მნიშვნელოვანია ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის გაჯანსაღება და მრავალმხრივი თანამშრომლობა ახალ

¹¹¹ იქვე.

რეალობებთან ადაპტაციისთვის.“ ასეთი პარტნიორობის ფარგლებში, გაეროს სისტემის ორგანიზაციებსა და ფორუმებს, ორმხრივ პროგრამებსა და კერძო სექტორს ევალებათ, მზარდი ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა აღმოუჩინონ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ თვითორგანიზებულ ქსელებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც განვითარებად ქვეყნებში 21-ე დღის წესრიგის პროგრამების მონიტორინგსა და განვითარებას უწყობენ ხელს. უნდა უზრუნველყონ ისინი სწავლებებით, რომ გაფართოვდეს მათი, როგორც პარტნიორის როლი პროგრამის დიზაინსა და შესრულებაში. 21-ე დღის წესრიგი გაეროს სისტემას, საერთაშორისო ფინანსური და განვითარების სააგენტოების ჩათვლით, ასევე, ყველა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას მოუწოდებს, მიიღონ ზომები, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ გარემოს პოლიტიკის განსაზღვრასა და გადამწყვეტილებათა მიღებაში, ინდივიდუალური სააგენტოს დონიდან ჩაერთონ იმპლემენტაციასა და განვითარებებში, საერთაშორისო სააგენტოს დისკუსიებსა და გაეროს კონფერენციებში. 21-ე დღის წესრიგი მთავრობებისგან ეროვნულ დონეზე იგივე ზომების მიღებას მოითხოვს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა შეძლონ და დაიცვან არასამთავრობო ორგანიზაციათა უფლება, ხოლო სამართლებრივი მოქმედების გზით დაიცვან საჯარო ინტერესი.

არასამთავრობოები, როგორც დამკვირვებლები, საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში დიდი ხნის განმავლობაში მონაწილეობდნენ. ეს უფლება მათ ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულებით ან მისი პროცედურული ნორმებითა და პრაქტიკით მიენიჭათ. „ჩრდილოაღმოსავლეთ ატლანტიკის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ“ (OSPAR) 1992

ნლის კონვენციით, დამკვირვებლებისთვის სახელშეკრულებო დებულება პირველად გაითვალისწინეს, რომელიც სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობოებს არ განასხვავებდა. დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებისთანავე, კონვენცია თითოეულ დამკვირვებელს იდენტურ უფლებებს ანიჭებდა, როგორც არის კომისიისთვის რაიმე ინფორმაციისა და ანგარიშის მიწოდების უფლება, გარდა ხმის უფლებისა. (მე-11 მუხლი)

მოქალაქეები (გარკვეულ ასაკს მიღწეული ფიზიკური პირები), გარემოს ორგანიზაციების მეშვეობით, გარემოს საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და გამოყენებაში, ტრადიციულად, ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ. ადამიანის უფლებებსა და გარემოს საკითხებს შორის მზარდი ურთიერთმიმართება მიგვიყვანს იქამდე, რომ ინდივიდები საერთაშორისო ორგანოებშიც მოიპოვებენ ხელმისაწვდომობას. რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპი ითვალისწინებს შემდეგს: „გარემოს საკითხები შესაბამის დონეზე, შემხებლობაში მყოფი ყველა მოქალაქის მონაწილეობით უკეთესად მოგვარდება. თითოეულ ინდივიდს ეროვნულ დონეზე სათანადოდ მიუწვდება ხელი გარემოს ინფორმაციაზე, რომელსაც, მავნე მასალებსა და საქმიანობებზე ინფორმაციის ჩათვლით, საჯარო უწყებები ფლობენ. ასევე, მონაწილეობა შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფოებმა საზოგადოების ინფორმირებულობასა და ჩართულობას ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობით უნდა შეუწყონ ხელი. გარანტირებული უნდა იქნეს ეფექტური წვდომა სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესებზე, დაცვისა და დაკმაყოფილების ჩათვლით.“ რიოს დეკლარაციის ეს პრინციპი სავალდებულო არ არის, თუმცა გარკვეული საშუალებაა ეროვნული სტანდარტის დასადგენად.

აქვე საყურადღებოა მედიის ანუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი. მედიას აქვს უნარი, ცალკეული საერთაშორისო სამართლებრივი საკითხით, რომელიც საზოგადოების ინტერესს შეადგენს, სახელმწიფოს საჯარო ან კერძო პოზიცია შეცვალოს. მედია, ასევე, საშუალებას აძლევს მთავრობებს, გააკეთონ განცხადებები, რასაც სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ბირთვული ცდების საქმეში საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სარჩელზე გადაწყვეტილების მიღება საქირო აღარ იყო, რადგან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საფრანგეთი ატმოსფერულ ბირთვულ ცდებს 1974 წლის შემდეგ აღარ გააგრძელებს.¹¹²

¹¹² ICJ Reports 1974 on Nuclear Testing Case, two orders from June 22.

VI ტაკი.

საერთაშორისო კრეცენდენტები

1. თრაილ სმელტერის (TRAIL SMELTER) საქმე, კანადა აშშ-ის წინააღმდეგ¹¹³

ეს არის ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ცნობილი საქმე, რომელმაც გარემოს სამართალში ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ზიანის პრინციპი ჩამოაყალიბა. ზიანის წყარო იყო სადნობი და სალლობი ქარხნის მავნე გამონაბოლქვი, რომელიც დიდი ოდენობით მომწამლავ აირს, ნახშირორჟანგს შეიცავდა.

სმელტერი ფუნქციონირებდა კომპანია კომინკოს (COMINCO) სახელით, ვიდრე 2001 წელს კომპანია ტეკს არ შეერწყა. ის 1896 წლიდან თუთიასა და ფოლადს აწარმოებდა. სმელტერის კვამლმა კანადის ტერიტორიაზე, ასევე, აშშ-კანადის საზღვრის გარეთ, ვაშინგტონში ზიანი მიაყენა ტყეებსა და ნარგავებს. კვამლმა მობინადრეებიც დააზარალა, რომლებმაც სმელტერისგან კომპენსაცია მოითხოვეს. საარბიტრაჟო ტრიბუნალზე შეთანხმებას 1941 წლამდე ვერ მიაღწიეს.

კვამლის (მომწამლავი აირის) შედეგები აშშ-ის აგრარულმა დეპარტამენტმა გამოიძია და აგრარული სექტორისთვის ხილული და უხილავი ზიანი დაადგინა, რაც გამოხატული იყო შემდეგი ფორმებით: მცენარეების დაწვა, მოსავლიანობის კლება, ნარგავების ქვნობა, პროდუქტის შემცირება.

¹¹³ Trail smelter case (United States, Canada), 16 April 1938 and 11 March 1941, VOLUME III, 1905-1982.

1935 წელს, ოტავაში (ონტარიო) კანადამ ტრიბუნალის შექმნის კონვენციას მოაწერა ხელი. კონვენცია შედგებოდა 11 მუხლისგან, რომელთაგან 3 მუხლით დადგინდა ოთხი ძირითადი შეკითხვა, რაზეც სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა:

1. აზიანებდა თუ არა თრეილ სმელთერი ვაშინგტონის შტატს 1932 წლის 1 იანვრიდან და თუ ასეა, როგორი უნდა ყოფილიყო ანაზღაურება?
2. კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ოდენობის კომპენსაცია უნდა გადახდილიყო?
3. რა რეჟიმი უნდა დადგენილიყო თრეილ სმელთერისთვის?
4. კომპენსაციის ზუსტი ოდენობა უნდა განსლიყო თუ არა გაცემული პასუხების მიხედვით?

კომინკო იმ ზიანისთვის, რაც 1932 წლის 1 ივნისამდე გამოვლინდა, 350 000 დოლარის გადახდაზე დათანხმდა.

ამასთან, 1941 წლის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, მას ფერმერებისთვის დამატებით 78 000 დოლარის გადახდა დაეკისრა. ასევე, კომინკოს კვამლის შედეგების მართვა დაევალა.¹¹⁴

2. გაბჩიკოვოს (GABCIKOVO-NAGYMAROS) საქმე, უნგრეთი სლოვაკეთის წინააღმდეგ¹¹⁵

დავის საგანი იყო მდინარე დუნაიზე კაშხლის მშენებლობა და ოპერირება და 1997 წლის საქმედ თარიღდება. ის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განიხილა.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ Official citation: Gabčíkovo-Nagymaros Project (Hungary/Slovakia), Judgment, 1. C. J. Reports 1997, 7.

გაბჩიკოვო მდინარე დუნაიზე, უნგრეთის საზღვართან, დიდი რაის კუნძულის სამხრეთ ნაწილში, დუნაისკა სტრადადან 12 კილომეტრში მდებარეობს. მას ესაზღვრება დასავლეთიდან ბაკა, აღმოსავლეთიდან ვრაკუნი, სამხრეთ აღმოსავლეთიდან პატაში, ბალონი, საპი და ნარადი, ხოლო სამხრეთ დასავლეთიდან უნგრეთის სოფლები ლიპოტი და ასვანიარარო. ადმინისტრაციულად სოფელი დუნაისკა სტრადას რაიონის ტრნავას რეგიონს ეკუთვნის. ამ სოფელთან არის ახლოს გაბჩიკოვოს კაშხლის დიდი ნაწილი, რაც უნგრეთსა და სლოვაკეთის რესპუბლიკას შორის ხანგრძლივი დავის საგანი გახდა.

1993 წლის 2 ივლისს უნგრეთისა და სლოვაკეთის მთავრობებმა ერთობლივად შეატყობინეს საარბიტრაჟო სასამართლოს რეგისტრარს, რომ სპეციალურ შეთანხმებას მიაღწიეს, რომელსაც 1993 წლის 7 აპრილს ბრიუსელში მოაწერენ ხელს. შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს განსახილველად გადასცემენ საკითხებს, რომლებზეც უნგრეთის რესპუბლიკა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერალური რესპუბლიკა ვერ თანხმდებიან. უთანხმოება შეეხება ბუდაბეშტის 1977 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულების იმპლემენტაციასა და მოქმედების შეწყვეტას, რომელიც გაბჩიკოვო-ნაგიმაროს კაშხლების სისტემას და დავის ორმხრივად მოგვარების გადანყვეტილების ამოქმედებას უკავშირდება. სპეციალური შეთანხმება ადგენს, რომ ამ საქმეში სლოვაკეთის რესპუბლიკა ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერალური სახელმწიფოს ერთადერთი მემკვიდრე სახელმწიფოა.

მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმების მე-2 მუხლით სასამართლოს ეთხოვა:

- ა) დაედგინა, 1989 წელს უნდა შეენწყვიტა თუ არა უნგრეთს ნაგიმაროს პროექტის სამუშაოები გაბჩიკოვოს იმ ნა-

წილზე, რომელზეც ხელშეკრულება უნგრეთის პასუხისმგებლობას ადგენს;

- ბ) ჰქონდა თუ არა უფლება ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკას, 1991 წლის ნოემბერში გაეგრძელებინა მიღწეული შეთანხმება და ჩართულიყო სისტემის ოპერირებაში 1992 წლის ოქტომბრიდან (კაშხლის აგება ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, მდინარე დუნაის 1,851.7 კილომეტრზე, აქედან გამომდინარე შედეგებით წყლისა და ნაოსნობის მიმართულებისთვის);
- გ) რა იყო 1992 წლის 19 მაისის შეტყობინების იურიდიული შედეგები, რამაც უნგრეთის მიერ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა განაპირობა. სასამართლოს, ასევე, ეთხოვა, დაედგინა სამართლებრივი შედეგები მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ჩათვლით, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ზემოხსენებულ საკითხებზე წარმოიშობოდა.

1995 წლის ივნისში სლოვაკეთის აგენტმა სასამართლოს სთხოვა, მტკიცებულების მოპოვების მიზნით, მდინარე დუნაიზე გაბჩიკოვო-ნაგიმაროს ჰიდროელექტრო სადგურის პროექტი ენახა. საკითხზე „შეთანხმების ოქმს“ ორივე მხარემ 1995 წელს მოაწერა ხელი. 50 წლის განმავლობაში პირველად, ამ რაიონში ვიზიტი 1997 წლის 4 აპრილს შედგა, როცა ზეპირი პაექრობის პირველი და მეორე რაუნდი გაიმართა.¹¹⁶

გამოიკვეთა სადავო საკითხები:

1. *სამაჩთადმემკვიდრეობა;*
2. *ნაკისხი ვადებულებების შესხუდება;*
3. *მიყენებუდი ზიანის ანაზღაურება.*

¹¹⁶ Gabčíkovo Nagymaros case, 1993. დეტალურად იხ.: <https://www.icj-cij.org/en/case/92>

1997 წლის 25 სექტემბერის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა, რომ უნგრეთს არ ჰქონდა უფლება, 1989 წელს ნაგიმაროს პროექტის სამუშაოები გაბჩიკოვოს პროექტის იმ ნაწილზე შეეწყვიტა, რომელზეც პასუხისმგებელი იყო, ხოლო ჩეხოსლოვაკიას უფლება ჰქონდა, 1991 წლის ნოემბერში მუშაობა იმ შეთანხმებით გაეგრძელებინა, რაც ასახულია მხარეთა სპეციალური ხელშეკრულების (სახელწოდებით „შეთანხმება“) პირობებით. მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩეხოსლოვაკია უფლებამოსილი იყო, 1992 წლის ოქტომბრიდან კაშხლების სისტემა აემოქმედებინა; იყო ჩეხოსლოვაკეთის უფლებამონაცვლე იყო სლოვაკეთი, რომელიც 1993 წლის 1 იანვრიდან 1977 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულების მხარე გახდა. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ უნგრეთი და სლოვაკეთი ვალდებული არიან, მოლაპარაკებები პრევალირებული სიტუაციის შუქზე კეთილსინდისიერად გამართონ. ამასთან, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რომ ხსენებული ხელშეკრულების მიზნებს იმ ცვლილებების შესაბამისად მიაღწიონ, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ.

კომპენსაციის საკითხი

უნგრეთი ვალდებული იყო, კომპენსაცია გადაეხადა სლოვაკეთისთვის იმ ზიანის გამო, რაც ჩეხოსლოვაკიასა და სლოვაკეთს უნგრეთის პასუხისმგებლობით ჩატარებული სამუშაოების შეწყვეტით მიადგა. თავის მხრივ, სლოვაკეთი ვალდებული იყო, უნგრეთისთვის კომპენსაცია იმ ზიანისათვის გადაეხადა, რაც მას ჩეხოსლოვაკიის მიერ კაშხლის ფუნქციონირების დაწყებითა და სლოვაკეთის მიერ მისი ექსპლუატაციით მიადგა.

1998 წლის 3 სექტემბერს სლოვაკეთმა ამ საქმეზე სასამართლოსგან დამატებითი გადაწყვეტილება ითხოვა. სლოვა-

კეთმა ეს საჭიროდ ჩათვალა, რადგან უნგრეთი სასამართლოს 1997 წლის 25 სექტემბრის განჩინებას არ ასრულებდა. სასამართლოს მიმართ თხოვნაში სლოვაკეთმა დაასაბუთა, რომ მხარეებმა მოლაპარაკებების მთელი ციკლი გამართეს, რათა 1997 წლის განჩინება ცვლილებებით შეესრულებინათ. მათ, ასევე, წამოიწიეს ჩარჩო შეთანხმების პროექტი, რომელიც სლოვაკეთის მთავრობამაც გაიზიარა.

ამ უკანასკნელის საფუძველზე, უნგრეთის ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, გადაედო მიღება და ის შეაჩერა. სლოვაკეთმა სასამართლოს თხოვა, განჩინების შესრულებაზე ცვლილებები დაედგინა. თავისი თხოვნის საფუძველად სპეციალური შეთანხმება მოიხმო, რომელსაც სლოვაკეთმა და უნგრეთმა 1993 წლის 7 აპრილს, ბრიუსელში მოაწერეს ხელი. სლოვაკეთის მოთხოვნის შესახებ უნგრეთის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, მხარეებმა დაგეგმეს, რეგულარულად გაემართათ მოლაპარაკებები და მიღწეულ პროგრესზე სასამართლოსთვის ეცნობებინათ. ამ საქმეზე მუშაობა კვლავ გრძელდება.¹¹⁷

აღნიშნული საქმის წარმოებით გარემოს საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმების განვითარება

სასამართლოს შენიშვნით, არც ერთი მოდავე მხარე არ იზიარებს იმას, რომ გარემოს სამართლის ნორმები 1977 წლის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩამოყალიბდა. სასამართლო არ გამოიყენებს ხელშეკრულებების სამართლის შესა-

¹¹⁷ *ib. Trail of Smelter Case. Reports of International Arbitral Awards, 1938-1941, Volume III, 1905-1982.*

ხებ ვენის კონვენციის 64-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტას, საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმის, jus cogens-ის წარმოშობის გამო. მეორე მხრივ, სასამართლომ შენიშნა, რომ გარემოს სამართლის ახალი ნორმები მხარეთა ხელშეკრულების იმპლემენტაციის შესაბამისია და მხარეებს შეუძლიათ მათი ინკორპორირება ხელშეკრულების მე-15, მე-19 და მე-20 მუხლებით. ეს მუხლები სპეციფიურ ვალდებულებებს არ შეიცავენ. თუმცა მხარეებს თხოვენ, იმ ვალდებულებების შესრულება განაგრძონ, რაც დუნაიში წყლის ხარისხს უზრუნველყოფასა და გარემოს ახალი ნორმებით ბუნების დაცვას ითვალისწინებს. ეს მხარეებს შორის შეთხმებული ერთობლივი კონტრაქტუალური გეგმის საშუალებებით უნდა მოხდეს.¹¹⁸

3. სელაჰის ტყავის (PACIFIC FUR SEAL) საქმე, აშშ ბრიტანეთის წინააღმდეგ¹¹⁹

ბერინგის ზღვის 1893 წლის საარბიტრაჟო საქმე თევზჭერის დავამ განაპირობა, რაც დიდი ბრიტანეთს, ირლანდიასა და აშშ-ს შორის 1880-იან წლებში გაჩნდა. აშშ-ს სანაპირო დაცვის სამსახურებმა, კონფლიქტის დროს, კანადის რამდენიმე თევზსაჭერი გემი დააკავა. დიპლომატიური წარმომადგენლობის ვიზიტის შემდეგ, ბრიტანეთის იმპერიალისტურმა მთავრობამ გათავისუფლების ორდერი გამოსცა, მაგრამ არა-

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of United States in the Bering's sea and the preservation of fur seals, 15 August 1893, VOLUME XXVIII, 263-276.

ვინ გაუთავისუფლებიათ. ამან განაპირობა აშშ-ის პრეტენზია, რომელიც ბერინგის ზღვაში სელაპის რენჯის ინდუსტრიაზე ექსკლუზიურ იურისდიქციას შეეხებოდა. მოლაპარაკებები სასამართლოს გარეთ გაიმართა. გადაწყვეტილება ბრიტანეთის სასარგებლოდ მიიღეს მაშინ, როცა ამერიკელებს ექსკლუზიურ იურისდიქციაზე უარი ეთქვათ. გემებისთვის მიყენებული ზიანის გამო, ბრიტანელებს კომპენსაცია დაუნესდათ, ხოლო ამერიკის სელაპის რენჯის ზონა ისეთივე (60 მილი) დარჩა, როგორც მანამდე იყო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1867 წელს აშშ-ის მთავრობამ რუსეთისგან ალასკასა და მიმდებარე კუნძულებზე ტერიტორიული უფლებები მიიღო. ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო ხაზი ბერინგის სრუტის შუაში, სამხრეთ დასავლეთით მდებარე ალუუტისა და კომანდორსკის კუნძულებს შორის, შუაწერტილზე გაივლო. ის ბერინგის ზღვას ორ ნაწილად ყოფს. შედარებით დიდი ნაწილი ამერიკის მხარეს მოხვდა. ეს მონაკვეთი მოიცავდა პრიბილოვის კუნძულებს, რაც ამ ზღვებში სელაპის მთავარი სასუნთქი სივრცე იყო.¹²⁰

1868-1873 წლებში მიღებული კონგრესის აქტებით, პრიბილოვის კუნძულებსა და მის მიმდებარე წყლებში სელაპის ჟლეტა, სპეცილური პირობების გარდა, აიკრძალა. ამან აშშ-ს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ფართო ¹²¹შეუსაბამობა წარმოქმნა, რასაც პრეზიდენტის ვეტო დაემატა. ის პრეზიდენტმა ულისსეს გრანტმა ორი მნიშვნელო-

¹²⁰ Bering Sea Arbitration Encyclopedia Britannica, Vol.3 (11th ed), Cambridge University Press, 776-777.

¹²¹ იქვე.

ვანი შემთხვევის დროს გამოიყენა. აქტში სიტყვების - „მიმდებარე წყლების“ მნიშვნელობის არანაირი დეფინიცია არ იყო.

1870 წელს ამ კუნძულებზე სელაპის ხოცვის ექსკლუზიური უფლება აშშ-მ ალასკის კომერციულ კომპანიას იმ პირობით გადასცა, რომ წლიური ოდენობიდან მოკლულთა რაოდენობას შეამცირებდა და სელაპებს სხვაგვარადაც დაიცავდა.

1872 წელს აშშ-ს მთავრობის ყურადღება უცხოელი მეზღვაურების ოპერაციებმა მიიპყრეს, რომლებიც ალუუტის კუნძულების სრუტეებში გადაადგილებოდნენ. თუმცა სელაპების დაჭერის წინააღმდეგ მთავრობას წინდახედული ზომები არ მიუღია და ამ სრუტეების სამმილიანი ლიმიტის ფარგლებს გარეთ იურისდიქციაზე არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია.

1881 წლის 12 მარტს აშშ-ს ხაზინის მაშინდელი მეთაური წერდა: 1868 და 1873 წლების აქტებში სიტყვები, „წყლები, რომლებიც აკრავს მას,“ ადგენდნენ, რომ სასაზღვრო ხაზის აღმოსავლეთით მდებარე წყლები ალასკის ტერიტორიულ წყლებად მოიაზრებოდა. 1886 წლის მარტში ეს წერილი აშშ-ს ხაზინის ხელმძღვანელმა, დანიელ მენინგმა სან ფრანცისკოს წესებით საპუბლიკაციოდ გამოიყენა.

1886 წლის დასაწყისში კანადის გარკვეული გემებისთვის პრაქტიკად გადაიქცა ღია ოკეანის სამ მილში, ნებისმიერი წერტილიდან სელაპების გადაადგილება და მათი შემწყვდევა წყალში (ცნობილია, როგორც კუნძულოვანი სელაპის რენვა). ეს ხშირად მდებარეებისა და მამრების დახოცვით ხდებოდა. არქიპელაგური განადგურების დიდი შინაარსი ის არის, რომ დედა სელაპები საკვებისთვის შორს მიგრირებდნენ, როცა მამრები გამრავლების სეზონზე საერთოდ არ იკვებებოდნენ, მაგრამ კუნძულზე რჩებოდნენ. ასეთი პრაქტიკის შედეგად, რო-

გორც ბრიტანეთის, ისე აშშ-ის პასუხისმგებლობით სელაპის განადგურების რეალური შესაძლებლობა გამოაშკარავდა.¹²²

ბრიტანეთის ჩართულობა

1886 წლის ზაფხულში აშშ-ის სახაზინო სამსახურებმა ბრიტანული კოლუმბიის სამი მომპოვებელი გემი „კაროლენა“, „ონვორდი“ და „თორნტონი“ დააკავეს, ხოლო „კორვინი“ ხმელეთიდან 60 მილში დააპატიმრეს. მათი ქმედებები საოლქო მოსამართლემ დაგმო, რადგან ალასკის ტერიტორიის ფარგლებში (ლიმიტში) რენავდნენ და ეკისრებოდათ ვალდებულება, პატივი ეცათ ალასკის ოლქის სუვერენული კანონებისთვის (a pro tanto). ამას დიპლომატიური წარმომადგენლობების მოლაპარაკებები მოჰყვა, ხოლო 1887 წელს გამოიცა და შემდგომ განხორციელდა ორდერი, რასაც იგივე იურიდიული საფუძვლები ჰქონდა. ამ დროიდან აშშ-მა ბერინგის ზღვაში სელაპის რენვის ინდუსტრიის ექსკლუზიურ იურისდიქციაზე პრეტენზია განაცხადა. ამით ისიც დაადგინა, რომ სელაპის დაცვა საერთაშორისო ვალდებულება იყო და საერთაშორისო ზომებით უნდა დაცულიყო.

ბრიტანეთის იმპერიულმა მთავრობამ (რომელიც დღესაც პასუხისმგებელია დომინიონ კანადაზე) სარჩელი უარყო, თუმცა საერთაშორისო რეგულირების საკითხზე მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.¹²³

მოლაპარაკებები

1887 და 1890 წლებში რუსეთს, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის ერთობლივი კონვენციის მისაღებად მოლაპარაკებები

¹²² იქვე.

¹²³ იქვე.

მიმდინარეობდა, მაგრამ მხარეები ღია ზღვის არქიპელაგურ ზონაში სელაპის რენვის რეგულირებაზე ვერ თანხმდებოდნენ. ამერიკა პრიბილოვის კუნძულებზე სელაპის გასამრავლებელს ფლობდა. აშშ ამტკიცებდა, რომ ასეთი აკრძალვა იყო დაუშვებელი და არქიპელაგური რენვა მთელი სახეობის განადგურებას იწვევდა, რადგან წყალში მდედრებისა და მამრების გარჩევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. სელაპების დიდი ნაწილი სწორედ ასე მოკლეს, რამაც დიდი დანაკარგი გამოიწვია.

ბრიტანეთმა განაცხადა, რომ ყველა ცნობილ საქმეში სელაპები ხმელეთზე მოქმედებების შედეგად გაიჟლიტა, რაც არქიპელაგურ ზონაში სელაპის რენვას არასდროს გამოუწვევია.

მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო და აშშ-მა თავისი უფლება უკან გამოითხოვა. 1890 წლის ივნისში ამერიკის სახაზინო კატერებმა ბერინგის ზღვაში საქმიანობა განაგრძეს. ვაშინგტონში ბრიტანეთის ელჩმა, სერ ჯულიან პანცეფოტემ, უბრალოდ, ფორმალური პროტესტი გამოთქვა აშშ-ს მთავრობის მისამართით, რადგან ბრიტანეთისგან ჩარევაზე თანხმობა არ ჰქონდა.¹²⁴

არბიტრაჟი

ამ მოვლენებმა დიპლომატიური წინააღმდეგობა გამოიწვია და აშშ-მა ახალი მიდგომა ჩამოაყალიბა, რაც შემდეგ საარბიტრაჟო ტრიბუნალის საფუძველი გახდა.

ბერინგის, როგორც „დახურული ზღვის“ (mare clausum) პრეტენზია უარყვეს. თუმცა დადგინდა, რომ რუსეთმა ექსკლუზიური იურისდიქციის პრობლემა ფორმალურად გამოიყენა და ის

¹²⁴ იქვე.

აშშ-ს გადაეცა. ისინი inter alia, 1821 წლის „უკაზს“ დაემყარნენ, რომლითაც უცხოურ გემებს რუსეთისა და ამერიკის სანაპიროებთან 100 მილში მიახლოება აეკრძალათ.

დიდმა ბრიტანეთმა დაადგინა, რომ ეს „უკაზი,“ ასევე, რუსეთის მიერ დადებული მსგავსი ხელშეკრულებები იყო პროტესტის საგანი როგორც დიდი ბრიტანეთის, ისე აშშ-ისთვის და ამ პროტესტის თითოეული მხარისთვის. რუსეთი დათანხმდა, რომ მათი დავის საგანი წყნარი ოკეანის რომელიმე ნაწილში ნაოსნობას ან თევზჭერას არ შეეხებოდა.

აშშ-მა უპასუხა, რომ წყნარი ოკეანე ბერინგის ზღვას არ მოიცავს. ამერიკელებმა, ასევე, პრეტენზია გამოთქვეს სელაპზე და მისი დაცვის უფლებაზე სამ მილიანი ლიმიტის გარეთ. 1890 წლის აგვისტოში ლორდ სალისბურმა განაცხადა, რომ საკითხი განსახილველად არბიტრაჟს გადაეცემოდა. ასევე, საბოლოო შეფასება უნდა გაეკეთებინა სახელმწიფო მდივან ჯიმს ჯილესპი ბლეინს. მას ცალკეული სპეციფიური თემები უნდა გაერკვევია, რაც არბიტრებს უნდა განეხილათ.

1892 წლის 29 თებერვალს ვაშინგტონში განმსაზღვრელ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. თითოეულ მხარეს ორი არბიტრი, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტს, იტალიის მეფეს, ნორვეგიის მეფესა და შვედეთს ცალ-ცალკე თითო არბიტრი უნდა დაესახელებინა.

არბიტრაჟში განსახილველი საკითხები:

1. რა ექსკლუზიური იურისდიქცია მოქმედებდა ზღვაში, რომელიც ამჟამად „ბერინგის ზღვის“ სახელით არის ცნობილი? რა ექსკლუზიური უფლებები აქვთ იქ რუს მეთევზეებს ამ დრომდე და ალასკის აშშ-სათვის გადაცემამდე?

2. რამდენად შორს იყო დიდი ბრიტანეთის პრეტენზიები თევზჭერაზე და უარყოფილი დიდი ბრიტანეთის მიერ?
3. იყო თუ არა ჩართული „ბერინგის ზღვის“ სახელით ცნობილი წყლის ნაწილი ფრაზაში „წყნარი ოკეანე,“ რაც დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის გაფორმებულ 1825 წლის ხელშეკრულებაში იკითხება; რა ექსკლუზიურ უფლებებს იყენებდა რუსეთი ბერინგის ზღვაში ზემოხსენებული ხელშეკრულების შემდეგ?
4. მოქმედებდა თუ არა რუსეთის ყველა უფლება ისევე, როგორც სელაპის მრენავების იურისდიქცია ბერინგის ზღვაში საზღვაო საზღვრიდან აღმოსავლეთით; დარჩა თუ არა იურისდიქცია ხელშეუხებელი აშშ-სთვის 1867 წლის 30 მარტის ხელშეკრულებაში?
5. ჰქონდა თუ არა აშშ-ს დაცვის რაიმე (და რომელი) უფლება ქონებაზე, სელაპებზე, რომლებიც მიგრირებდნენ ბერინგის ზღვის კუნძულებზე, როცა ასეთი სელაპები სამილიანი ლიმიტის ფარგლებს გარეთ იპოვეს?¹²⁵

არბიტრებს ბრიტანეთის სასარგებლოდ უნდა დაედგინათ, რომელი უპირატესი რეგულაციები იყო საჭირო სელაპების დასაცავად; უნდა შექმნილიყო ერთობლივი კომისია ორი სახელმწიფოს მიერ, რომ მათ სელაპების ცხოვრების ფაქტებზე გამოძიებაში დახმარებოდა.

ზიანის საკითხი სამომავლო განხილვისთვის შემოინახეს, თუმცა ნებისმიერი მხარე უფლებამოსილი იყო, ნებისმიერი ფაქტიური საკითხი არბიტრებისთვის გადაეცა და მისი დადგენა ეთხოვა.

¹²⁵ იქვე.

ტრიბუნალის ადგილსამყოფელი იყო პარიზი. ხელშეკრულება აშშ-ის სენატმა 1892 წლის 29 მარტს მიიღო, ხოლო 1892 წლის 22 აპრილს პრეზიდენტის მიერ იქნა რატიფიცირებული.

აშშ-მა არბიტრად უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ჯონ მ. ჰარლანი და სენატის წევრი, ჯონ ტ. მორგანი დანიშნა. ბრიტანელი არბიტრები იყვნენ ლორდ ჰანენი და სერ ჯონ სპაროუ დავიდ თომპსონი.

ნეიტრალური არბიტრები იყვნენ ბარონ დე კოურსელი, მარკუს ვისკონტი-ვენოსტა და გრეგერს ვინთერ ვულფბერგ გრემი, რომლებიც უპირატესად საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იტალიის მეფემ, ნორვეგიამ და შვედეთის მეფემ დანიშნეს.

ტრიბუნალის სხდომები 1893 წლის თებერვალში დაიწყო და აგვისტოში დასრულდა. აშშ-ის მხრიდან ტრიბუნალის კონსული ჰენრი ვილიამს ბლოდჯეტი იყო.

როცა ტრიბუნალს მტკიცებულება გადაეცა, ნათელი გახდა, რომ ბერინგის ზღვაში ექსკლუზიური იურისდიქციის პრეტენზიისთვის (პირველი პრეტენზია) აშშ-ს მეტად სუსტი პოზიცია ჰქონდა, რაზეც მკვეთრ აქცენტს აშშ-ის კონსული (წარმომადგენლი) არ აკეთებდა.¹²⁶

მთავახი ახგუმენგის ჰეადუხი შეკითხვა შემდეგ ოხ პიეგენზიას უკავშირდება, ხაც აშშ-მა დასვა. ესენია: სედაპებზე საკუთების უფლება და მათი დაცვის უფლება სამშინდიანი ღიმინის ფაჩგლებს გაჩეთ.

¹²⁶ Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of United States in the Bering's sea and the preservation of fur seals, 15 August, 1893, VOLUME XXVIII, 263-276.

ვარაუდობდნენ, რომ სელაპს შინაურ ცხოველების მსგავსი მახასიათებლები ჰქონდა, ამიტომ შეიძლებოდა, რომ ის საკუთრების უფლების საგანი გამხდარიყო. ისინი მეტად შორის იყვნენ ადამიანისგან, რომ მათი გაზრდა ნაკადის დაშლის გარეშეც ყოფილიყო შესაძლებელი. ხმელეთისკენ მათი გადაადგილება ლეგიტიმური იყო.

აშშ, როგორც მიწის მესაკუთრე, ინდუსტრიას *კაცობიანობის საკეთილდღეოდ* ფლობდა. მეორე მხრივ, არქიპელაგური რეწვა ხელოვნური სეპარაციის და ამდენად, არალეგიტიმური მეთოდი იყო; ეს *contra bonus mores* (ზღვის წესების საწინააღმდეგო) და მეკობრეობის მსგავსი ქმედება იყო.

შესაბამისად, აშშ-მა, როგორც სელაპების მესაკუთრემ და ლეგიტიმური ინდუსტრიის მესვეურმა, ასეთი პრაქტიკის გამოყენებაზე პრეტენზია განაცხადა.

გამოყენების ასეთი უფლება სამართლის არცერთ სისტემას არ ჰქონდა აღიარებული. აშშ-ის კონსულ ჯეიმს კარტერმა წარმოადგინა საერთაშორისო იურისპრუდენციის თეორია, რომელიც ნოველას ჰგავდა. მან განაცხადა, რომ ტრიბუნალის დადგენილება „უფლების პრინციპებს“ უნდა ეყრდნობოდეს; „უფლების პრინციპის ან ნორმის ძალით, უფლება ნიშნავდა მორალურ ნორმას, ნაკარნახევს მართლმსაჯულების საერთო სტანდარტით, რომელზეც ცივილიზებული ერები შეთანხმდნენ. საერთაშორისო მართლმსაჯულების ეს სტანდარტი არსებობდა, მაგრამ სხვა სახელი ჰქონდა საერთაშორისო სამართლისთვის; გარკვეული აღიარებული ნორმები არსებობდა, რომლებიც დუმდნენ ძირითადი ნორმის გამოყენების დროს.“¹²⁷

¹²⁷ *ib. Bering Sea Arbitration Encyclopedia Britannica, Vol.3 (11th ed), Cambridge University Press, 776-777.*

პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ საერთშორისო ტრიბუნალს უნდა მიეღო ახალი კანონი და ის რეტროსპექტულად გამოეყენებინა. კარტერის პოზიცია წარმატებით უკუაგდო დიდი ბრიტანეთის წამყვანმა კონსულმა, ჩარლზ რასელმა.

გადაწყვეტილება, რომელსაც ხელი მოეწერა და გამოქვეყნდა 1893 წლის 15 აგვისტოს, ყველა მიმართულებით დიდი ბრიტანეთის სასარგებლო იყო. ზიანის საკითხი, რაც დათქმული იყო, საბოლოოდ, შერეულმა კომისიამ მოაგვარა. კომისია 1896 წლის თებერვალში ორმა სახელმწიფომ შექმნა. მთლიან თანხად, რაც სელაპის ბრიტანელი მრეწავებისთვის უნდა გადაეხადათ, 473,151.26 დოლარი დადგინდა (იმ დროის ინფლაციის შესაბამისობით 10 მლნ დოლარი).

რაკი გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ მიიღეს, არბიტრაჟის ხელშეკრულების თანახმად, ტრიბუნალმა სელაპის შესანარჩუნებლად მთელი რიგი რეგულაციები დაადგინა, რაც შესასრულებლად ორივე მხარისთვის იყო სავალდებულო. მათ არქიპელაგური რენვა დროში და ადგილის მიხედვით შეამცირეს. ამასთან, პრიბილოვის კუნძულების გარშემო 60-მილიანი ზონა დაფიქსირდა, რომელშიც სელაპები არ უნდა მოემწყვდიათ წელიწადის არც ერთ დროს, ხოლო ყოველი წლის 1 მაისიდან 31 ივლისამდე ბერინგის ზღვაში არსად არ უნდა დადევნებოდნენ.

მხოლოდ ლიცენზირებული მრეწავი გემები იყვნენ უფლებამოსილი, ჩართულიყვნენ სელაპის მოპოვებაში. ცეცხლსასროლი და ფეთქებადი იარაღის გამოყენება აიკრძალა. რეგულაციები ძალაში რჩებოდა, ვიდრე ორმხრივი შეთანხმებით არ აიკრძალებოდა და ყოველ ხუთ წელიწადში შესაბამისი ცვლილებებით უნდა გამოეყენებულყო.

ამ რეგულაციებმა მიზანს მიაღწიეს, რადგან დედა სელაპები ამ არეალში კი არა, არამედ მისგან მედატ მოშორებით იკვებებოდნენ. მდებარე სელაპებს მრენავები მანამ იმწყვდევდნენ, ვიდრე გამრავლების პერიოდი დაეწყებოდათ. ყველაზე ბევრი სელაპი 1894 წელს დაიჭირეს. ეს დადგენილი რეგულაციების პირველი წელი იყო, როცა სელაპების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, არქიპელაგური რენვა იზღუდებოდა და მცირდებოდა.

დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მეცნიერთა ერთობლივმა კომისიამ ეს პრობლემა შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ არქიპელაგური რენვა შეწყვეტილიყო. ამის მიუხედავად, შემდგომი ერთობლივი ტრიბუნალები ახალ სამართლებრივ შეზღუდვებზე არ რეაგირებდნენ და არქიპელაგურ რენვაში იაპონიაც ჩაერთო. საბოლოოდ, 1911 წლის 17 ივლისს, ჩრდილოეთ წყნარი ოკეანის სელაპის ტყავის 1911 წლის კონვენციამ სელაპის რენვის ინდუსტრია შეაჩერა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1911 წლის 15 დეკემბერს და ორმოცდაათი (50) წელი იმოქმედა, რომლის მანდატიც პრიბილოვის კუნძულები სელაპებისთვის ოაზისად გადაიქცა.¹²⁸

4. ლენოს ტბის (LAC LANOUX) საქმე, საფრანგეთი ესპანეთის წინააღმდეგ¹²⁹

დავის საგანი - ლენოს ტბის ჰიდრო რესურსები (171 ჰექტარი ფართობი, წყლის ოდენობა 73 ჰა მეტრ კუბი (59.000 აკრ)).

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ Lake Lanoux Arbitration (France v. Spain) (1957) 12 R.I.A.A. 281; 24 I.L.R. 101.

საერთაშორისო სასამართლო 1957 წლის 16 ნოემბერს (საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმით) შედგა.

ამ საარბიტრაჟო საქმის ფაქტები პირენეის ნახევარკუნძულზე საფრანგეთის მთავრობის მიერ ლენოს ტბის წყლის გამოყენებას უკავშირდება. ესპანეთის მთავრობა შიშობდა, რომ ეს სამუშაოები დაარღვევდა ესპანეთის უფლებებსა და ინტერესებს, რაც 1866 წლის 26 მაისის ბაიონის ხელშეკრულებასა და მის დამატებით აქტში იყო ასახული. ეს ხელშეკრულება საფრანგეთსა და ესპანეთს შორის დაიდო, რომელშიც დადგინილი იყო, რომ ასეთი სამუშაოები მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმების გარეშე არ უნდა ტარდებოდეს. ლენოს ტბა პირენეის სამხრეთ ნაწილში, საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. დაგეგმილი სამუშაოები მდინარე კაროლის წყლის 25%-ს შეაკავებდა. ამ მდინარეს ესპანეთში 18,000 ფერმერი სარწყავად იყენებდა. ის საფრანგეთის ტერიტორიის წყლის ნაკადებით საზრდოობდა და მთლიანად საფრანგეთის ტერიტორიაზე მიედინებოდა.

მნიშვნელოვანია ბაიონის ხელშეკრულების მე-10 და მე-11 მუხლები.

მე-10 მუხლის თანახმად, თუ მოსარგებლეთა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ თითოეული მხარისთვის, როგორც წესი, საზღვართან მდებარე ქვემო დინების წყალი რჩება, ეს წყალი უნდა განაწილდეს უპირატესი სანაპირო სახელმწიფო მიწის მესაკუთრე ორ სახელმწიფოს შორის იმ პროპორციით, რაც სარწყავ მიწებს სჭირდება, გარდა იმ მიწისა, რომელიც უკვე მორწყულია.

მე-11 მუხლი ადგენს ვალდებულებას, რომელიც წყალმდინარეების საქმიანობის მწარმოებელი თითოეული მხარის მიერ მეორე მხარის წინასწარ შეტყობინებას გულისხმობს.

ესპანეთის მთავრობამ ტრიბუნალს მოთხოვა, განეცხადებინა, რომ საფრანგეთის მთავრობას, ესპანეთთან შეთანხმების გარეშე, არ შეუძლია, განახორციელოს ლენოს ტბის წყლებზე საქმიანობები მხოლოდ იმ ცვლილებებით, რაც საფრანგეთის ენერგოპროექტში არის დადგენილი. ამით საფრანგეთის მთავრობა 1866 წლის 26 მაისის ბაიონის ხელშეკრულებასა და იმავე თარიღით მიღებულ დამატებით აქტს არღვევს.

საფრანგეთის მთავრობამ ტრიბუნალს თხოვა, განეცხადებინა, რომ საფრანგეთი მართებულად მოქმედებს, როცა ორ მთავრობას შორის რაიმე შეთანხმების გარეშე აწარმოებს ასეთ საქმიანობებს. ლენოს ტბის წყლების უტილიზაცია იმ პირობებით, რასაც ითვალისწინებს საფრანგეთის პროექტი, არის ასახული 1956 წლის 19 ნოემბრის კომპრომისში (არბიტრაჟის შეთანხმებაში), რომ საფრანგეთი არ არღვევს 1866 წლის 26 მაისის ბაიონის ხელშეკრულებასა და იმავე თარიღის დამატებით აქტს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ცნობილია მხოლოდ შემდეგი სახის საერთაშორისო პრაქტიკა: სახელმწიფოების უფლება, რომ საერთაშორისო წყალმდინარების ჰიდროენერჯია აითვისონ მხოლოდ დაინტერესებული სახელმწიფოების წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და პირობით, ჩვეულებითი ნორმა არ არის. ამ მიმართებით საყურადღებოა 1923 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი ჟენევის მრავალმხრივი კონვენცია. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი, პირენეის ტრადიციული სამართლის მსგავსად, წინასწარი შეთანხმების საჭიროებაზე 1866 წლის ხელშეკრულებისა და მისი დამატებითი აქტის ინტერპრეტაციის საორიენტაციო მტკიცებულებას არ გვთავაზობს. ის კიდევ უფრო ნაკლებად გვრთავს ნებას, დავასკვნათ,

რომ არსებობს ამ შინაარსის სამართლის ზოგადი პრინციპი ან ჩვეულება.

მეორე სადავო საკითხი, რომელზეც ტრიბუნალმა იმსჯელა, იყო ის, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული ინტერესები? სანაპირო სახელმწიფოს საქმიანობაზე ნებისმიერი ინტერესი პირენეის ხელშეკრულების მე-16 მუხლს, ჰიდროენერჯის ათვისების თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკას შეესატყვისება. თუ ინტერესების დაცვის მეთოდი მოიცავს კომუნიკაციას, ის ქვემო დინების სახელმწიფომ ნოტიფიკაციამდე, პროტესტამდე ან სხვა წარმომადგენლობამდე არ უნდა დაიყვანოს.

ტრიბუნალმა საბოლოოდ დაადგინა: „კეთილსინდისიერების ნორმების საფუძველზე, ზემო დინების სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს სხვადასხვა ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებასაც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ცდილობდეს და უნდა აჩვენოს, რომ მეორე სანაპირო სახელმწიფოს ინტერესებს საკუთარი ინტერესების მსგავსად იცავს.“¹³⁰

5. ბირთვული ცდების (NUCLEAR TESTING) საქმე, ავსტრალია და ახალი ზელანდია საფრანგეთის წინააღმდეგ¹³¹

1973 წლის 9 მაისს ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ წამოიწიეს დავა საფრანგეთის წინააღმდეგ ატმოსფერული ბირთვული ცდების გამო, რომელსაც საფრანგეთი სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონში ატარებდა.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ Nuclear Tests Case (Australia V. France), ICJ, 1974. <https://www.icj-cij.org/en/case/58>

საფრანგეთმა მიიჩნია, რომ სასამართლოს ამ საქმეზე იურსდიქცია არ გააჩნდა და უარი თქვა, გამოსულიყო საჯარო მოსმენებზე ან მოემზადებინა შესაგებელი.

1973 წლის 22 ივნისის განკარგულებით, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის თხოვნის საფუძველზე, საერთაშორისო სასამართლომ განაჩინა, რომ საფრანგეთმა უნდა შეწყვიტოს ბირთვული ცდები, რაც ავსტრალიასა და ახალი ზელანდიაში რადიოაქტიური ნარჩენების გავრცელებას გამოიწვევს.

ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საფრანგეთის ხელისუფლების საჯარო განცხადებები მოჰყვა, რაც ატმოსფერული ბირთვული ცდების მომავალ გეგმებს შეეხებოდა.

1974 წლის 20 დეკემბერს სასამართლომ ორი განჩინებით დაადგინა, რომ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სარჩელს საფუძველი აღარ ჰქონდა და არანაირი გადაწყვეტილება საჭირო აღარ იყო.

ამრიგად, სასამართლო დაემყარა იმას, რომ ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ მიზანს მიაღწიეს, რადგან საფრანგეთმა საჯაროდ არაერთხელ განაცხადა, რომ 1974 წლის სერიების გასაგრძელებლად, შემდგომი ატმოსფერული ბირთვული ცდების ჩატარებას აღარ აპირებს.

6. მდინარე ურუგვაის საწარმოს (PULP MILLS) საქმე, არგენტინა ურუგვაის წინააღმდეგ¹³²

2006 წლის 4 მაისს არგენტინამ ურუგვაის წინააღმდეგ შუავსო სარჩელი, ურუგვაის მიერ მისი ვალდებულებების დარღვე-

¹³² Pulp Mills on the River Uruguay (Argentina v. Uruguay), Judgment, I.C.J. Reports, 2010, 14.

ვის გამო, რაც ერთობლივი მექანიზმით მდინარე ურუგვაის იმ ნაწილის ოპტიმალურ და რაციონალურ უტილიზაციას შეეხება, რომელიც მათ საერთო საზღვარს შეადგენდა. მდინარის სტატუტი განერილია 1975 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებაში (შემდგომში - სტატუტი). თავის სარჩელში არგენტინამ ურუგვაის ბრალი დასდო მდინარე ურუგვაიზე ორი საწარმოს აგებაში ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებისა და კონსულტაციების გარეშე, რისი პროცედურაც სტატუტით იყო გათვალისწინებული. არგენტინა აცხადებდა, რომ ეს საწარმოები საფრთხეს უქმნიდა მდინარესა და მის გარემოს, აუარესებდა მდინარის წყლების ხარისხს და არგენტინისთვის მნიშვნელოვან ტრანსსასაზღვრო ზიანს იწვევდა. სასამართლოს იურისდიქციის საფუძვლად არგენტინამ სტატუტის მე-60 მუხლის პირველი პარაგრაფი მიუთითა. მისი მიხედვით, რაიმე დავა, რომელიც შეეხება ამ სტატუტის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას და პირდაპირი მოლაპარაკებების გზით ვერ მოგვარდება, შეიძლება, ნებისმიერმა მხარემ სასამართლოს გადასცეს.¹³³

არგენტინის განაცხადს თან ახლდა თხოვნა დებულებითი ზომების შესახებ, რომლითაც არგენტინა სთხოვდა ურუგვაის, შეეჩერებინა საწარმოების აგება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე; ეთანამშრომლა არგენტინასთან მდინარე ურუგვაის წყლოვანი გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით; თავი შეეკავებინა ორი ტურბინის ასაგებად შემდგომი ცალმხრივი მოქმედებებისგან, რაც სტატუტს არ შეესაბამებოდა; ასევე, თავი შეეკავებინა ნებისმიერი სხვა მოქმედებისგან, რომელიც დავას დაამძიმებდა და მის მოგვარებას უფრო გა-

¹³³ No. 21425 Statute of the River Uruguay, Salto, 26 February, 1975.

ართულებდა. საჯარო მოსმენები, პროცედურული ღონისძიებების გამოსაკვეთად, 2006 წლის 8-9 ივნისს შედგა. 2006 წლის 13 ივლისის განკარგულებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებული გარემოებებით რაიმე გადაწყვეტილების მიღებას სტატუტის 41-ე მუხლი არ სჭირდებოდა.

2006 წლის 29 ნოემბერს გადაწყვეტილების მოთხოვნით, თავის მხრივ, ურუგვამ წარადგინა თხოვნა. საფუძველი იყო ის, რომ 2006 წლის 20 ნოემბერს არგენტინის მოქალაქეების ორგანიზებულმა ჯგუფებმა მოახდინეს „სასიცოცხლო საერთაშორისო მდინარის“ ხიდის ბლოკირება მდინარე ურუგვა-იზე, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარღვევებს იწვევდა და რომ არგენტინას ბლოკირების მოსახსნელად ძალისხმევა დასჭირდა. დასასრულს, ურუგვამ სასამართლოს თხოვა, არგენტინისთვის დაეკისრებინა „შესაბამისი გონივრული ნაბიჯების გადადგმა... რომ დასრულდეს ან თავიდან იქნეს აცილებული ტრანზიტში შეჭრა ურუგვაისა და არგენტინას შორის, მათ შორის, ხიდებისა და გზების ბლოკირება ორ სახელმწიფოს შორის“; თავი შეიკავოს „რაიმე მოქმედებისგან, რამაც შესაძლოა, დაამძიმოს, გააფართოვოს ან გაართულოს ამ დავის მოგვარება“; თავი შეიკავოს „რაიმე სხვა ზომების მიღებისგან, რომლებმაც შესაძლოა, სასამართლო დავაში ურუგვაის უფლებები დაარღვიოს“. 2006 წლის 18-19 დეკემბერს გადაწყვეტილების მისაღებად საჯარო მოსმენები გაიმართა. 2007 წლის 23 იანვრის განკარგულებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი გარემოებებით სასამართლოს უფლებამოსილება სტატუტის 41-ე მუხლის გამოყენებას არ მოითხოვდა.

მომდევნო საჯარო მოსმენები 2009 წლის 14 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით შედგა. სასამართლომ თავისი განჩინება 2010 წლის 20 აპრილს გამოსცა. არგენტინის არგუმენტით, პროექტები ნებადართული იყო ურუგვაის მიერ წინასწარი შეტყობინებისა და კონსულტაციის მექანიზმის დარღვევით, რასაც სტატუტის 7-13 მუხლები (პროცედურული დარღვევები) ითვალისწინებდა. არგენტინის ამ არგუმენტზე სასამართლომ შენიშნა, რომ ურუგვაიმ მდინარე ურუგვაის ადმინისტრაციულ კომისიას, CARU-ს პროექტების შესახებ არ შეატყობინა, როგორც ეს სტატუტში არის გათვალისწინებული. სასამართლომ დაასკვნა, რომ გარემოს თავდაპირველი ნებართვების გაცემამდე, თითოეული ტურბინისა და ორიონის (ბოტნიას) ტურბინის მიმდებარედ საპორტო ტერმინალის დაგეგმილი სამუშაოების შესახებ CARU-სა და არგენტინის არაინფორმირებით, ურუგვაიმ სტატუტი დაარღვია.

არგენტინის პრეტენზია იყო შემდეგი: ურუგვაის მხრიდან ნებადართულ ინდუსტრიულ საქმიანობებს ექნება (ან უკვე აქვს) მავნე ზეგავლენა მდინარის წყლის ხარისხსა და სივრცეზე, რომელზეც უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი ტრანს-სასაზღვრო ზიანი როგორც მდინარის წყლის ხარისხზე, ისე არგენტინაზე (არსებითი დარღვევები). სასამართლომ, მხარეთა არგუმენტების დეტალური განხილვის შემდეგ, დაადგინა: ჩანანერებში არ არსებობდა „არავითარი საბოლოო მტკიცებულება, რომ ურუგვაიმ არ იმოქმედა პროფესიონალურ დონეზე სათანადო წინდახედულობით ან რომ ორიონის (ბიტნიის) მილი დან გამონადენებს გამანადგურებელი ზემოქმედება ჰქონდათ ან გამოიწვიეს ზიანი ცოცხალ რესურსებზე, წყლის

ხარისხზე ან მდინარის ეკოლოგიურ ბალანსზე მას შემდეგ, რაც 2007 წლის ნოემბერში ოპერირება დაიწყო.“

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ურუგვაის სტატუსით გათვალისწინებული ძირითადი მოვალეობები არ დაურღვევია. დასკვნის დასასრულს, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სტატუსით „მხარეებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, ...თანამშრომლობა CARU-ს მეშვეობით განაგრძონ და მიანიჭონ მას უნარი, ამოქმედოს საჭირო საშუალებები მდინარის თანასწორი გამოყენებისთვის მისი გარემოს დაცვის უზრუნველყოფით.“¹³⁴

7. ანტარქტიკის (ANTARCTIC WHALING) საქმე, ავსტრალია იაპონიის წინააღმდეგ და ახალი ზელანდიის ჩართულობა¹³⁵

2010 წლის 31 მაისს ავსტრალიამ იაპონიის წინააღმდეგ წამოიწყო საქმე, რომელიც შეეხებოდა „იაპონიის განგრძობადი ფართომასშტაბიან პროგრამას ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების შესახებ, ვეშაპთა კვლევის იაპონიის პროგრამის მეორე ფაზის სპეციალურ ნებართვას ანტარქტიკაში (JARPA II), ვეშაპის მოპოვების რეგულირებაზე საერთაშორისო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების იაპონიის მიერ დარღვევას (ICRW), ასევე, ზღვის ძუძუმწოვართა და ზღვის გარემოს შენარჩუნებაზე სხვა საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.“

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ Whaling in the Antarctic (Australia v. Japan: New Zealand intervening) 2010. <https://www.icj-cij.org/en/case/148/judgments>

სასამართლოს იურისდიქციის საფუძვლად ავსტრალიამ დაასახელა სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 2002 წლის 22 მარტისა და 2007 წლის 9 ივლისის განცხადებების მითითებით, რომლითაც ავსტრალიამ და იაპონიამ სასამართლოს იურისდიქცია უპირატესად სავალდებულოდ აღიარეს.

2012 წლის 20 ნოემბერს ახალმა ზელანდიამ საქმეში ჩარევის შესახებ რეგისტრარში დეკლარაცია შეავსო. მან სტატუტის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შენიშნა, რომ როგორც ICRW-ის მხარეს, პირდაპირი ინტერესი ჰქონდა იმ კონსტრუქციაზე, რომელსაც, კონვენციის მიხედვით, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განხილვებზე შექმნიდა.

2013 წლის 13 თებერვლის ორდერით სასამართლომ შენიშნა, რომ ახალი ზელანდია სტატუტითა და სასამართლოს წესებით დადგენილ მოთხოვნებს პასუხობდა და ცნო, რომ საქმეში ჩართვის შესახებ მისი დეკლარაცია დასაშვები იყო. საჯარო მოსმენები 2013 წლის 26 ივნისიდან 16 ივლისამდე გაიმართა, რომლის დროსაც ავსტრალიამ და იაპონიამ ზეპირი არგუმენტები წარმოადგინეს. სასამართლომ თითოეული მხარის მონვეულ ექსპერტებს მოუსმინა. ახალმა ზელანდიამ არსებით საკითხზე დაკვირვების ზეპირი შედეგი წარადგინა, რის გამოც ის საქმეში ჩაერთო.

2014 წლის 31 მარტის განჩინებაში სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ ამ საქმის განხილვაზე იურისდიქცია აქვს. იაპონიის არგუმენტის უარყოფით, დავა მოექცა ავსტრალიის დეკლარაციის დათქმის ფარგლებში, რითიც მან სასამართლოს იურისდიქცია სავალდებულოდ აღიარა. შემდეგ სასამართლო 1946 წლის კონვენციის VIII მუხლის ინტერპრეტაციისა და გამოყენების საკითხს დაუბრუნდა, რომლის პირველი პარაგრა-

ფი ადგენს, რომ მხარეებს „შეუძლიათ ნებისმიერ თავიანთ მოქალაქეს მიანიჭონ უფლება, ზღვის ეს ძუძუმწოვრები მოკლან, აიყვანონ ან უმკურნალონ მათ მეცნიერული კვლევის მიზნით.“

ამ დებულების ინტერპრეტაციის შესახებ სასამართლომ შენიშნა: თუ ვეშაპის მოპოვების პროგრამა მეცნიერულ კვლევას მოიცავს, ძუძუმწოვრების მოკვლა, აყვანა ან მკურნალობა, ამ პროგრამის მიხედვით, VIII მუხლის შინაარსში არ ჩაჯდება, თუ ეს საქმიანობები მეცნიერული კვლევის „მიზნებში“ არ შედის. იმისთვის, რომ შეფასდეს, იყენებს თუ არა პროგრამა მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის ლეთალურ მეთოდებს, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა პროგრამის დიზაინი და იმპლემენტაცია გონივრული დადგენილი მეცნიერული მიზნებისთვის.

VIII მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებაზე სასამართლომ შენიშნა, რომ JARPA II შესაძლოა, „მეცნიერულ კვლევად“ დახასიათდეს. თუმცა მან ჩათვალა, რომ წარდგენილი მტკიცებულება არ ადგენს, რომ პროგრამის დიზაინი და იმპლემენტაცია დადგენილი მიზნების მისაღწევად გონივრული იყო. სასამართლომ დაასკვნა, რომ იაპონიის მიერ, JARPA II-ის ფარგლებში, ზღვის ამ ძუძუმწოვართა მოკვლის, აყვანისა და მკურნალობისთვის სპეციალური ნებართვების გაცემა „მეცნიერული კვლევის მიზნით“ არ განხორციელებულა, რასაც 1946 წლის კონვენციის VIII მუხლის პირველი პარაგრაფი ითვალისწინებს.

შემდეგ სასამართლო ამ დასკვნის მახასიათებლებს ავსტრალიის პრეტენზიის საფუძველზე მიუბრუნდა, რომ იაპონიამ კონვენციის დანართში გაწერილი მთელი რიგი დებულებები დაარღვია. სასამართლომ დაადგინა, რომ იაპონიამ

ხსენებული რამდენიმე დებულება დაარღვია (კერძოდ, მორატორიუმები კომერციულ მოპოვებასა და ქარხნის გემებზე, ასევე, აკრძალვა კომერციულ ნადირობაზე სამხრეთ ოკეანის თავშესაფარში) და პასუხისმგებლობის საკითხი დასვა. რაკი JARPA II მიმდინარე პროგრამა იყო, სასამართლომ იაპონიას დააკისრა, გაეუქმებინა პროგრამასთან მიმართებით ყველა არსებული ნებართვა, დაშვება ან ლიცენზია ზღვის ამ ძუძუმწოვართა მოკვლაზე, აყვანაზე ან მკურნალობაზე. ასევე, კონვენციის VIII მუხლის 1 პარაგრაფის საფუძველზე, თავი შეეკავებინა მომავალი ნებართვების გაცემისგან ამ პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში.¹³⁶

¹³⁶ იქვე.

ბიბლიოგრაფია

1. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ლ. ალექსიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003.
2. ბითაძე მ., საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2021.
3. ბითაძე მ., ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2008.
4. ბითაძე მ., ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებულში, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006.
5. ყალიჩავა კ., საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის კონტროლი გარემოს დაცვის სამართალში (ევროპული, გერმანული და ქართული სამართლის შედარებითი ანალიზი), დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2015.
6. ყალიჩავა კ., გარემოსდაცვითი საქმიანობის დასაშვებობის კონტროლი იმისიების სამართლის მაგალითზე. ქართული, გერმანული და ევროპული სამართლის შედარება, თბილისი, 2016.
7. ჩინჩალაძე ნ., მდგრადი განვითარების კონცეფციის გაფართოებისთვის კოვიდ პანდემიის პირობებში, ჟურნალი „ორბელიანი“, №3, თბილისი, 2020.
8. ჩინჩალაძე ნ., რეკომენდაციები და წინადადებები მდინარე ჭოროხის ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენებისათვის, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ტ.IV, №1, 2001.
9. ჩინჩალაძე ნ., ტრანსსასაზღვრო წყალშემცველების მუხლების პროექტის ანალიზი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 2014.

10. 1996 წ. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ;
11. 2019 წ. 3 ივნისის №261 დადგენილება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
13. Ad-Hoc-Award, Kuwait v. The American Independent Oil Company (AMINOIL), 21 ILM 976, March 24, 1982.
14. Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of United States in the Bering's sea and the preservation of fur seals, 15 August 1893, VOLUME XXVIII.
15. Award in the Arbitration regarding the Iron Rhine (“Ijzeren Rijn”) Railway between the Kingdom of Belgium and the Kingdom of the Netherlands, Part II, Reports of International Arbitral Awards, Volume XXVII, United Nations, 2008.
16. Bering Sea Arbitration Encyclopedia Britannica, Vol.3 (11th ed), Cambridge University Press.
17. Caring for the Earth: A Strategy for Sustainable Living, Published in Partnership By IUCN, UNEP, WWF, Gland, Switzerland, October 1991.
18. Case Concerning Pulp Mills on the River Uruguay judgement of 20 April 2010 www.icj-cij.org/docket/files135/15877.pdf
19. Convention on Civil Liability for Damage Resulting from Activities Dangerous to the Environment. European Treaty Series - No. 150 Lugano, 21.VI.1993.
20. Convention on the Protection of the Environment, 1998.
21. Convention relative to the Preservation of Fauna and Flora in their Natural, 1933, London.
22. Gabčíkovo Nagymaros case, 1993. <https://www.icj-cij.org/en/case/92>
23. Gabčíkovo-Nagymaros Project (Hungary/Slovakia), Judgment, 1. C. J. Reports 1997.

24. General Assembly resolution 1803 (XVII) of 14 December 1962 on “Permanent sovereignty over natural resources”.
25. Draft Articles on Prevention of Transboundary Harm from Hazardous Activities, with Commentaries, 2001, UN, 2008.
26. ICJ Reports 3, par.73, North Sea Continental Shelf case, 1969, 052-19690220, N de vente: 327.
27. ICJ Reports 97, Case concerning Military and Paramilitary Activities, 1986, 070-198660627, N de vente: 520.
28. International Convention for the Protection of Birds Useful to Agriculture, 1902, Paris.
29. International Court of Justice, Reports of Judgments, Advisory Opinions and Orders, Whaling in the Antarctic, (Australia v. Japan: New Zealand Intervening) Judgment of 31 March 2014.
30. Lake Lanoux Arbitration (France v. Spain) (1957) 12 R.I.A.A. 281; 24 I.L.R. 101.
31. Mayer B., Climate Change Mitigation as an Obligation Under Human Rights Treaties? The American Journal of International Law Vol. 115:3, 2021.
32. No. 21425 Statute of the River Uruguay, Salto, 26 February, 1975.
33. Nuclear Tests Case (Australia V. France), ICJ, 1974. <https://www.icj-cij.org/en/case/58>
34. Opinions of Judge Weeramantry in the Nuclear Tests Case (1995) ICJ Reports 34 et.seq. and in the Gabčíkovo-Nagymaros case (1997) ICJ Reports.
35. Paris Convention Between France and Great Britain Relative to Fisheries, 1867.
36. Pulp Mills on the River Uruguay (Argentina v. Uruguay), Judgment, I.C.J. Reports, 2010.
37. Re Imports of Waste E.C. Commission v. Belgium Case (C-2/90), 9 July 1992 (FN1).
38. Report of The United Nations Conference on Environment and Development, United Nations, General Assembly, Rio de Janeiro, 3-14 June 1992.

39. Reports of International Arbitral Awards Recueil des Sentences Arbitrales Award between the United States and the United Kingdom relating to the rights of jurisdiction of United States in the Bering's sea and the preservation of fur seals, 15 August 1893, VOLUME XX-VIII, 263-276, United Nations, 2007.
40. Reports of International Arbitral Awards, Trail smelter case (United States, Canada), Volume III, United Nations, 2006.
41. Sands P., Peel J., Fabra A., Mackenzie R., Principles of International Environmental Law, Third Edition, Cambridge University Press, 2012.
42. The Compact Edition of The Oxford English Dictionary, 2nd edition, redacted by E. S. C. Weiner, J. A. Simpson, Oxford University Press, 1991.
43. The International Convention for the Regulation of Whaling, 1946, Washington.
44. The African Convention on the Conservation of Nature and Natural Resources, 1968, Algiers.
45. Trail Smelter Arbitral Tribunal Decision, American Journal of International law, Vol. 35, No. 4, 1941.
46. Trail smelter case (United States, Canada), 16 April 1938 and 11 March 1941, VOLUME III.
47. Treaty between the United States and Great Britain Relating to Boundary Waters and Questions Arising Between the United States and Canada, 1909.
48. United Nations Convention on the Law of the Non-navigational Uses of International Watercourses of May 21, 1997.
49. United Nations Scientific Conference on the Conservation and Utilization of Resources, February 8-13, 1950, NY. <https://digitallibrary.un.org/record/212442?ln=en>
50. UN Convention "on the Prohibition of Military or Any Other Hostile Use of Environmental Modification Techniques", 1977
51. United Nations Convention for Regulating the Police of the North Sea Fisheries (Overfishing Convention), 1882, the Hague.
52. United Nations Conference on Environment & Development Rio de

- Janerio, Brazil, 3 to 14 June 1992, Agenda 21. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf>
53. Whaling in the Antarctic (Australia v. Japan: New Zealand intervening) 2010. <https://www.icj-cij.org/en/case/148/judgments>
 54. 1972 Stockholm Declaration on Human Environment.
 55. 1974 Nordic Convention on the Protection of Environment.
 56. 1977 ENMOD Conventions.
 57. 1867 Convention between France and GB relative to Fisheries.
 58. 1882 North Sea Fisheries (Overfishing Convention).
 59. 1931 Geneva Convention for the Regulation of Whaling.
 60. 1902 Paris Convention to Protect Birds Useful for Agriculture.
 61. 1933 London Convention on the Preservation of Fauna and Flora.
 62. 1959 Antarctic Treaty.
 63. 1986 Convention on the Law of Treaties Between States and International Organisations.
 64. 1992 Rio Declaration on Environment and Development.
 65. 1992 Framework Convention of Climate Change.
 66. 1997 Kyoto Protocol to Framework Convention on Climate Change.
 67. 2001 Draft Articles on Prevention of Transboundary Harm from Hazardous Activities with Commentaries.

გამოყენებული ვებ-გვერდები

- https://legal.un.org/riaa/cases/vol_III/1905-1982.pdf
- www.regionalclimateweeks.org
- https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf
- https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CONF.151_26_Vol.I_Declaration.pdf
- https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_CONF.151_26_Vol.I_Declaration.pdf

- <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf>
- <http://www.sussex.ac.uk/Units/spru/hsp/documents/ENMOD.pdf>
- <https://www.ijc.org/en/boundary-waters-treaty-1909#:~:text=The%20Boundary%20Waters%20Treaty%20was,countries%20carry%20out%20its%20provisions>
- <https://www.iucn.org/>
- <https://digitallibrary.un.org/record/212442?ln=en>
- https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf
- <http://www.icj-cij.org/files/case-related/148/148-20140331-JUD-01-00-EN.pdf>; <https://www.icj-cij.org/en/case/148/judgments>;
- <http://creativecommons.org/licenses/by/4.0/>
- https://www.internationalwaterlaw.org/documents/regionaldocs/Uruguay_River_Statute_1975.pdf
- http://ctr.c.sice.oas.org/Trade/CARIFORUM-ECEPA/Cotonou_Agreement_&_Lome4_lome4_e.pdf
- <https://unfcc.int/news/4-key-achievements-of-cop26>

